

MAGISTER LEGUM

№3 2022

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტი

UDC (უაკ)- 34(082)
M-20

მთავარი რედაქტორი
პროფესორი გიორგი გორაძე

EDITOR IN CHIEF
Professor George Goradze

MAGISTER LEGUM

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტის სტუდენტური ჟურნალი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა

MAGISTER LEGUM

Student Journal of Sulkhan-Saba Orbeliani University
Faculty of Law
Sulkhan-Saba Orbeliani University Press

ISSN 2667-9566

შინაარსი

**პერსონალური პასუხისმგებლობა გუსტავ რადბრუნის
სამართლის ფილოსოფიაში1**

გიგა ხვიჩია

**პერსონალური მონაცემების ძირითადი პრინციპების
გამოწვევები განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ
მონაცემთა დამუშავებისას 23**

გიორგი ნოზაძე

**მთავრობის საკანონმდებლო უფლებამოსილების დელაგირების
ფარგლები პანდემიისას 40**

მარიამ ნატროშვილი

**მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი
სამედიცინო დელიქტების შემთხვევაში 66**

თამარ მამარდაშვილი

**ბასანივრების ხანდაზმულობის ვადა დასაქმებულის
მიერ ვალდებულების დარღვევის საფუძვლით შრომითი
ხელშეკრულების შეწყვეტის საქმეებზე 85**

მარიამ ბუგინიშვილი

**პირგანსმბელო, სოლიდარული პასუხისმგებლობა და
დაუყოვნებლივ აღსრულება: საქართველოს უზენაესი
სასამართლოს განჩინების ანალიზი..... 110**

ანა ნოზაძე

პერსონალური პასუხისმგებლობა გუსტავ რადბრუხის სამართლის ფილოსოფიაში

I. შესავალი

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს კანონი, ყოველთვის აქტუალურია როგორც სამართლის მეცნიერებისთვის, ასევე არაიურისტი ადამიანებისთვის, რადგან ცოტა რამეს თუ შეუძლია ადამიანის ცხოვრებაზე ისეთი გავლენის მოხდენა, როგორც სამართალს. ყოველივე ამაში კი სამართლიანი კანონის როლი უდიდესია, ბუნებითი და პოზიტიური სამართალი, როგორც განსხვავებული სამართლებრივი იდეების მატარებელი შეხედულება დიდი ხანია ურთიერთდაპირისპირებულ მხარედ გვევლინება, თუმცა ამ ორი თეორიის დაპირისპირება არსად ისე ნათლად არ ჩანს როგორც გუსტავ რადბრუხის სამართლის ფილოსოფიაში.

ნაშრომის მთავარი მიზანია აღნიშნული ორი თეორიის დაპირისპირება არა თეორიულ, არამედ პრაქტიკულ დონეზე განხილვა, სადაც ნათლად წარმოჩინდება, თუ რა მასშტაბები შეიძლება მიიღოს მხოლოდ დაწერილი, სამართლიანობისგან დაცლილი კანონების გამოყენებამ. ნაშრომში განხილული იქნება სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის დაპირისპირების თვალსაჩინო მაგალითები, საბოლოოდ კი პასუხი გაეცემა კითხვას, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი კანონი და სამართლიანობა ერთმანეთთან კოლიზიაში აღმოჩნდებიან, რომელი მხარის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს საკითხი და რამდენად ოპტიმალურია ასეთ დროს გაკეთებული არჩევანი.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდება ისეთ მნიშვნელოვან კითხვაზე, როგორიცაა უნდა დავემორჩილოთ თუ არა ბოროტ კა-

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრი.

ნონს, სად გადის ზღვარი პირად პასუხისმგებლობასა და დამდგარ უარყოფით შედეგს შორის და რამდენად შეიძლება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გამორიცხვა მაშინ, როდესაც აშკარაა კანონის მორჩილებით გამოწვეული საზიანო შედეგი. ამ მიზნით ნაშრომში განხილული იქნება გერმანელი მეცნიერის, გუსტავ რადბრუხის სამართლის ფილოსოფია, მათ შორის, სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის დაპირისპირების საკითხი.

II. პასუხისმგებლობის პოზიტიურსამართლებრივი სტანდარტი

ტერმინი „პოზიტივიზმი“ წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან **pozitum**, რაც გულისხმობს ისეთ სამართალს, როგორც გადმოცემულია. მთლიანობაში პოზიტიური სამართლის ბირთვი გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი კანონის იურიდიული ძალა შეიძლება ობიექტურად დადასტურებად წყაროს ეყრდნობოდეს.¹ სამართლებრივ სახელმწიფოში კანონის უზენაესობა უმნიშვნელოვანესი პრინციპია, სწორედ კანონი უნდა განაპირობებდეს თითოეული მოქმედების სისწორეს.

დანერვილი სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარეობს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც სამართლის სხვადასხვა დარგი მოიცავს. ამის კარგი მაგალითია სისხლის სამართალი, რომელიც განსაზღვრავს პირის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის. ბუნებრივია, ამას თავისი მიზანი აქვს. დანაშაულის დასჯა სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, ვინაიდან თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეებს თვითიუსტიცია ეკრძალებათ. სახელმწიფოზე გადადის მოქალაქეების დასაცავად სამართლებრივი ნორმების მიღების, მათ შორის, კონტროლის და სამართლებრივი ნორმების დარღვევისთვის შესაბამი-

¹ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, თბილისი, 2012, 25.

სი ღონისძიებების გატარების ვალდებულება.² სისხლის სამართალი არის სოციალური წესრიგის დაცვის უკანასკნელი საშუალება (*ultima ratio*). იგი არის ხელისუფლების ყველაზე ბასრი იარაღი.³

შესაბამისად, პირად პასუხისმგებლობას განაპირობებს დაწერილი პოზიტიური სამართალი. დაუწერელი სამართალი თავისთავად ბუნდოვანი და გაურკვეველია, მას არ შეუძლია უზრუნველყოს საიმედო, საზოგადო სტანდარტი, რომლისგანაც მოსალოდნელი იქნება ქცევის წარმართვა.⁴ ჯონ ოსტინის მიერ ასახული სამართალმცოდნეობის დარგის მთავარი მახასიათებელია კანონის, როგორც სუვერენის ბრძანების, გაგება. დანარჩენი, რაც ბრძანებად არ მიიჩნევა, სამართალი არ არის. მხოლოდ ზოგადი ბრძანებები ითვლება სამართლად და მხოლოდ მბრძანებლისგან გამოსული ბრძანებებია „პოზიტიური კანონები“.⁵ სწორედ აღნიშნული განაპირობებს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას პოზიტიურ-სამართლებრივი გაგებით, სადაც არსებობს ვალდებულება დაემორჩილო კანონს, რადგან იგი დადგენილია მბრძანებელი სუვერენის მიერ. როგორც ზემოთ ითქვა ეს პრინციპი ასახვას პოულობს სხვადასხვა მატერიალურ თუ საპროცესო კოდექსში, რომლითაც დგინდება ვალდებულება დავემორჩილოთ მას, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება ჩვენი პასუხისმგებლობის საკითხი.

კანონის პოზიტიურ-სამართლებრივი გაგება კრიტიკულად არის განხილული რადბრუხის სამართლის ფილოსოფიაში. პოზიტიური სამართალი თავისი ყველაზე ცუდი ფორმით ჰიტლერის მმართველობის დროს გამოვლინდა. ნაციონალ-სოციალიზმი, ერთი მხრივ, ჯარისკაცებს და, მეორე მხრივ, იურისტებს აიძულებდა დამორჩილებოდა ორ მაქსიმას: „ბრძანება ბრძანება“ და „კანონი კანონია“.⁶

² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 21.

³ ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2008, 17.

⁴ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, თბილისი, 2012, 29.

⁵ იქვე, 32.

⁶ რადბრუხი გ., კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, დ. გენგენავას თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 317.

პირველი მათგანი ყოველთვის შეზღუდული იყო: ჯარისკაცები ვალდებული არ იყვნენ შეესრულებინათ ბრძანებები, რომლებსაც დანაშაულებრივი მიზანი ჰქონდათ.⁷ მეორე მხრივ, მაქსიმას „კანონი კანონია“ არ ჰქონდა რაიმე შეზღუდვა. იგი გამოხატავდა მრავალი ათწლეულების განმავლობაში გერმანელ იურისტთა შორის გაბატონებულ, თითქმის უდავო პოზიტიურ-სამართლებრივ შეხედულებას.⁸ მეცნიერული პოზიტივიზმი უარყოფს ბუნებითი სამართალმცოდნეების შეხედულებას, რომ სამართალი არსებობს ადამიანის მიერ მისი ძალაში შეყვანისგან დამოუკიდებლად.⁹ თუმცა ბუნებითი სამართალი დაედო საფუძვლად გერმანული მმართველობის დროს დამნაშავეთა გასამართლების პროცესს, რომლის მიხედვით, „კანონები, რომელთა საფუძველზეც ებრაელთა ქონება გადადიოდა სახელმწიფოს საკუთრებაში, ბუნებით სამართალთან მოდიოდა წინააღმდეგობაში და ბათილი იყო მათი მიღების მომენტიდან“.¹⁰

კანონის ამგვარმა გაგებამ და მისმა მოქმედებამ (ამას ვუნოდებთ პოზიტიურ თეორიას) იურისტები და სხვა დანარჩენებიც დაუცველად აქცია დესპოტიზმის გამამართლებელი, საშინელი და დანაშაულებრივი კანონების წინაშე. საბოლოო ჯამში, პოზიტიური თეორია სამართალსა და ძალაუფლებას უთანაბრებს ერთმანეთს – სამართალი მხოლოდ იქაა, სადაც არის ძალაუფლება.¹¹ სწორედ პოზიტიურმა გაგებამ განაპირობა კონცეფცია „კანონი კანონია“, რომელმაც თავის მხრივ ბევრი უკანონობა გამოიწვია. შესაბამისად, პოზიტიურ-სამართლებრივი თეორია და, აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური

⁷ 1940 წლის გერმანიის სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსი, §47.

⁸ რადბრუხი გ., კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, დ. გეგენავას თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 318.

⁹ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, თბილისი, 2012, 26.

¹⁰ რადბრუხი გ., კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, დ. გეგენავას თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 317. იხ. ციტირება: Kleine H., Süddeutsche Juristen-Zeitung, №1, 1946, 36.

¹¹ რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2012, 238.

პასუხისმგებლობა კანონის მორჩილების თაობაზე აქტიურადაა გაკრიტიკებული გუსტავ რადბრუხის სამართლის ფილოსოფიაში. მისი აზრით, თუკი კანონები განზრახ გადაუხვევენ სამართლიანობისკენ სწრაფვას, მაგალითისთვის, თუკი ხდება ადამიანის უფლებების იძულებით მინიჭება ან ჩამორთმევა, ასეთ შემთხვევაში მსგავსი კანონები ბათილია, ხალხი არაა ვალდებული დაემორჩილოს მათ.¹²

III. პოზიტიური და ბუნებითი სამართლის კონფლიქტი რადბრუხის სამართლის ფილოსოფიაში

პოზიტიური და ბუნებითი სამართალი ორი დაპირისპირებული შეხედულებაა. პოზიტიური სამართლის მიხედვით, უპირატესია დანერგილი სამართალი, რომელიც უნდა გაიმიჯნოს მორალისგან.¹³ საწინააღმდეგოდ, ბუნებითი სამართალი მორალურობას პირველ ადგილზე აყენებს.¹⁴ აღნიშნული დაპირისპირება ნათლადაა წარმოდგენილი გუსტავ რადბრუხის სამართლის ფილოსოფიაში.

ეპოქალური მოვლენები გავლენას ახდენენ უკვე ფესვგადგმულ შეხედულებებზე და ხანდახან ცვლიან კიდეც მათ. ფასეულობები, რომლებიც ადრე მართებული და ხელშეუხებელი ჩანდა, შესაძლებელია, ამგვარი მოვლენების გამო გადაფასდეს. ასე შეცვალა ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს კატასტროფულად ნეტაგიურმა გამოცდილებამ სამართლის ფილოსოფოსის გუსტავ რადბრუხის პოზიცია, რომელიც მანამდე სამართლის პოზიტივისტური მოძღვრების მიმდევარი იყო.¹⁵

გუსტავ რადბრუხის გარდაცვალების შემდეგ განხილვა იმისა, თუ რამდენად შეიცვალა რადბრუხის შეხედულებები, აქტიურად მიმდინარეობდა. სამართლის ზოგი მეცნიერის აზრით, მსგავსი

¹² იქვე.

¹³ Haldemann F., Gustav Radbruch vs. Hans Kelsen: A Debate on Nazi Law, *Ratio Juris*, Vol. 18, No. 2, 2005, 167.

¹⁴ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძის თარგმანი, თბილისი, 2012, 22.

¹⁵ ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის კრიტიკა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №7, 2013, 24.

ცვლილებები არ მომხდარა, ნაწილის აზრით კი, მცირე ცვლილებები ნამდვილად იყო.¹⁶

ეს გავლენა რადბურხის სამართლის ფილოსოფიაზე პირველ რიგში სამართლის რელატივიზმისა და რაციონალიზმის უარყოფასა და ტრადიციული ბუნებითი სამართლისთვის უპირატესობის მინიჭებაში გამოიხატა.¹⁷ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომში რადბურხმა ყურადღება გაამახვილა კანონის მორალურ მხარესა და კანონის სისწორეს შორის კავშირზე.¹⁸

„სამართლის პოზიტივიზმს არ შეუძლია შექმნას კანონის ნამდვილობა. პოზიტივიზმში კანონის ნამდვილობის ერთადერთი მტკიცება ისაა, რომ კანონის უკან იმალება მისი აღსრულების ძალა, იგივე ძალა უზრუნველყოფს დაწერილის შესრულების ვალდებულებას, როგორც სავალდებულოს და არა მის სამართლებრივ სისწორეს, ნამდვილობას“.¹⁹ შესაბამისად, გუსტავ რადბურხმა პოზიტიური სამართლის მთავარი მახასიათებელი – კანონის მორჩილება და შესრულება – აქტიურად გააკრიტიკა, ვინაიდან გერმანიაში მესამე რაიხის მმართველობამ ნათლად წარმოაჩინა პოზიტივიზმის უარყოფითი მხარეები და შედეგები.

ბუნებითი და პოზიტიური სამართლის დაპირისპირება გუსტავ რადბურხის სამართლის ფილოსოფიაში სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის დაპირისპირების ფორმით გამოხატა. ვინაიდან პოზიტიური სამართალი ვერ უზრუნველყოფს კანონის ნამდვილობას და სისწორეს, საჭირო გახდა კანონის შინაარსში არა მხოლოდ სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის, არამედ სამართლიანობისა და საერთო სარგებლის პრინციპის შეტანაც.²⁰

¹⁶ Wolf E., *Revolution or Evolution in Gustav Radbruch's Legal Philosophy*, *Natural Law Forum*, Vol. 3, 1958, 2.

¹⁷ იქვე.

¹⁸ Radbruch G., *Statutory Lawlessness and Supra-Statutory Law*, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 26, No. 1, 1946, 24.

¹⁹ იქვე.

²⁰ რადბურხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ გვეგნავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი №1, 2012, 239.

გუსტავ რადბრუხი აღიარებს დაპირისპირებას ბუნებით და პოზიტიურ სამართალს შორის, რაც გამოიხატა სამართლებრივ უსაფრთხოებასა და სამართლიანობას შორის კომფლიქტში, რადგან პრინციპი „კანონი კანონია“ ვერ გვთავაზობს სამართლიანობის დაცვის გარანტიას. აღნიშნულმა პრინციპმა მესამე რაიხის მმართველობის დროს უამრავი დანაშაულის ჩადენა განაპირობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, გუსტავ რადბრუხმა სამართლებრივი უსაფრთხოება მეორეხარისხოვან მოვლენად არ ჩათვალა. ამ მიზნით რადბრუხმა ჩამოაყალიბა ე. წ რადბრუხის ფორმულა, რომელიც სამართლის პოზიტივიზმის ერთ-ერთი გამორჩეული კრიტიკაა.²¹ ამ ფორმულით რადბრუხმა წარმოაჩინა დაპირისპირება სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის. აღნიშნული ფორმულის მიხედვით, კონფლიქტი სამართლებრივ უსაფრთხოებასა და სამართლიანობას შორის შესაძლოა გადაიჭრას შემდეგნაირად: პოზიტიურ სამართალს გარანტირებული სამართალწარმოებით უნდა მიენიჭოს უპირატესობა მაშინაც, როდესაც იგი უსამართლოა და ხალხისთვის სარგებელი ვერ მოაქვს, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი კონფლიქტმა უსაფრთხოებასა და სამართლიანობას შორის გაუსაძლისი ხასიათი მიიღო, რა დროსაც კანონმა, როგორც ნაკლოვანმა სამართალმა, გზა უნდა დაუთმოს სამართლიანობას.²² როდესაც სამართლიანობისკენ სწარფვაც კი არ არსებობს, როცა თანასწორობა, როგორც სამართლიანობის არსი, განზრახ უგულვებელყოფილია პოზიტიური სამართლის შემუშავებისას, მაშინ კანონი არა მხოლოდ ნაკლოვანი სამართალი, არამედ თავად მისი ბუნებაც კი არასამართლებრივია.²³ აქედან გამომდინარე, გუსტავ რადბრუხმა კანონის შინაარსში შეიტანა სამართლიანობა და მორალურობა, როგორც კანონის სისწორის განმსაზღვრელი ფაქტორი.

²¹ Pavcnik M., *The Symbolic Meaning of Radbruch's Formula: Statutory (Non-) Law and the Argument of Non-Law*, *Rechtstheorie*, №46(2), 2015, 139.

²² იქვე.

²³ რადბრუხი გ., *კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი*, დ. გეგენავას თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 322.

რა თქმა უნდა, კანონი, მათ შორის, ცუდი კანონიც, მატარებელია გარკვეული ღირებულებისა – დაიცვას სამართალი გაურკვეველობისგან.²⁴ აქედან გამომდინარე, ხშირად ასარჩევია, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დავთანხმდეთ, თუ არა ცუდ, ზიანის მომტან და უსამართლო კანონებს, თუ უარი ვთქვათ მათზე. აუცილებელია იურისტებმა და ნებისმიერმა სხვამაც გააცნობიეროს, რომ შესაძლებელია არსებობდეს უსამართლო და სოციალურად ზიანის მომტანი კანონები. ასეთ შემთხვევაში მათ უარი უნდა თქვან მსგავსი კანონების შესრულებასა და სამართლებრივი ბუნების აღიარებაზე.²⁵ აღნიშნული შეხედულება ცნობილია როგორც რადბრუხის ფორმულა, რომელზეც დიდი გავლენა იქონია გერმანიაში მესამე რაიხის მმართველობამ.

1. რადბრუხის ფორმულის ანალიზი

საკოველთაოდ ცნობილი ფორმულა რადბრუხმა 1946 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი“ ჩამოაყალიბა. რადბრუხის ფორმულა შეიძლება შევაფასოთ, როგორც ნეგატიური გამოცდილებით გამოწვეული ფასეულობათა გადახედვის შედეგი.²⁶

რადბრუხის ფორმულას აქვს ორი ძირითადი მიმართულება, „აუტანლობის ფორმულა“ და „უარყოფის ფორმულა“. პირველი ფორმულა გამოიყენება მაშინ, როდესაც კონფლიქტი კანონსა და სამართლიანობას შორის გაუსაძლის ფორმას იღებს. ასეთ დროს კანონმა გზა უნდა დაუთმოს სამართლიანობას. „უარყოფის ფორმულა“ კი მოქმედებს მაშინ, როდესაც კანონი მიზანმიმართულად უარყოფს თანასწორობას. ასეთ დროს კანონი არათუ უსამართლოა, არამედ

²⁴ რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2012. 240.

²⁵ იქვე.

²⁶ ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის კრიტიკა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №7, 2013, 25.

იგი ეწინააღმდეგება კანონის ბუნებასაც.²⁷ „უარყოფის ფორმულა“ შედარებით ნაკლებმნიშვნელოვნად განიხილება.²⁸

რადბურხის „აუტანლობის ფორმულა“ ხშირად გამოიყენებოდა გერმანიის საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებში.²⁹ თუმცა აღსანიშნავია, რომ რადბურხის ფორმულა, მიუხედავად იმისა, რომ გვთავაზობს უსამართლო კანონის არასავალდებულო გამოყენებას და მას სამართლებრივ უსაფრთხოებასთან ერთად შემოაქვს კანონის სხვა უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები, ვერ ჩაითვლება სრულყოფილად სხვადასხვა მიზეზის გამო.

პირველი კრიტიკა დაკავშირებულია ე.წ. სიცხადის არგუმენტთან,³⁰ რომლის თანახმად, რადბურხის ფორმულა არ არის ცხადი და ხშირ შემთხვევებში იგი ბუნდოვანია. ეს კრიტიკა უკავშირდება ჰერბერტ ჰარტის სახელს.³¹ მისი აზრით, „თუ ჩვენ რადბურხის შეხედულებას გავიზიარებთ, მასთან და გერმანულ სასამართლოებთან ერთად ჩვენს პროტესტს ცუდი კანონების მიმართ იმ მტკიცების ფორმას მივცემთ, რომლითაც გარკვეული ნორმები მათი მორალური არამდგრადობის გამო არ შეიძლება სამართალი იყოს. ამით მორალური კრიტიკის სიმარტივის გამო უძლიერეს ფორმებში დაბნეულობას შევიტანთ.“³² გუსტავ რადბურხის ფორმულის კრიტიკაში გამოიყოფა ეფექტურობის არგუმენტი, რომელსაც ასევე სამართლის ფილოსოფოსი ჰარტი გვთავაზობს. ჰარტს გულუბრყვილოდ მიაჩნია იმაზე ფიქრი, რომ სამართლის ცნებაში მორალური ელემენტების ჩართვით შესაძლებელია ნარმატების მიღწევა

²⁷ Pavcnik M., *The Symbolic Meaning of Radbruch's Formula: Statutory (Non-) Law and the Argument of Non-Law, Rechtstheorie*, №46(2), 2015, 141.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე.

³⁰ ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბურხის კრიტიკა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №7, 2013, 28. იხ. ციტირება: Alexy R., *Begriff und Geltung des Rechts*, Munich, 2005, 75.

³¹ Hart H. L. A., *Positivism and the Separation of Law and Morals*, *Harvard Law Review*, Vol. 71, No. 4, 1958, 593.

³² იხ. იქვე

საკანონმდებლო უსამართლობის წინააღმდეგ. ჰარტს არ სჯერა, რომ იურიდიული ძალის ვინრო კონცეფცია, რომელიც არ ცნობს მოქმედ, მაგრამ მორალურად უსამართლო კანონებს, ორგანიზებული ძალის მუქარის გათვალისწინებით, ბოროტების მიმართ წინააღმდეგობას გააძლიერებს.³³

ჰარტის კიდევ ერთი კრიტიკა დაკავშირებულია კეთილსინდისიერების არგუმენტთან. მის მიერ წამოდგენილი კეთილსინდისიერების არგუმენტი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის საქმეზე რადბრუხის ფორმულის გამოყენებას მივყავართ „*nulla poena sine lege*“ – (აღნიშნული პრინციპი გამორიცხავს კანონის უკუძალის გამოყენებას) პრინციპის შენიღბულად გვერდის ავლისკენ.³⁴

ჰარტის არგუმენტების განხილვის პარალელურად არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა არგუმენტები, რომლებიც შესაძლოა ჩაითვალოს გუსტავ რადბრუხის ფორმულის „ნაკლოვანებად“. პირველი არგუმენტი დაკავშირებულია თავად მისი ფორმულის საკვანძო სიტყვა „გაუსაძლის მდგომარეობასთან“, რა დროსაც კანონმა ასპარეზი უნდა დაუთმოს სამართლიანობას, თუმცა ყურადღება ნაკლებადაა გამახვილებული, თუ რა იგულისხმება ან უნდა იგულისხმებოდეს „გაუსაძლის მდგომარეობაში“. საინტერესოა ასევე, ვინ და რა ფორმით უნდა გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად გაუსაძლისია მდგომარეობა და რა უნდა მოვიმოქმედოთ სამართლიანობის პრონციპის დასამკვიდრებლად. ამ საკითხს რადბრუხის ფორმულაში ყურადღება თითქმის არ ეთმობა. კიდევ ერთი არგუმენტი შესაძლოა დაკავშირებული იქნეს მომხდარი ფაქტის შემდეგ რეაგირებასთან. ერთი მხრივ, გვაქვს უსამართლო კანონი, რომელიც ადამიანის უფლებას ლახავს, მაგრამ თუ ამ კანონის მოქმედებამ არ გამოიწვია „გაუსაძლისი მდგომარეობა“, ის

³³ ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის კრიტიკა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №7, 2013, 30.

³⁴ ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის კრიტიკა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №7, 2013, 33. იხ. ციტირება: Alexy R., *Begriff und Geltung des Rechts*, Munich, 2005, 101.

ჩვეულებრივ აგრძელებს მოქმედებას. შესაბამისად, რადბრუხის ფორმულა მოქმედებს პოსტ-ფაქტუმ, რაც ვერ ჩაითვლება ეფექტურად მაშინ, როდესაც უფლებები ირღვევა.

მიუხედავად ამისა, გუსტავ რადბრუხის ფორმულა წარმატებით დამკვიდრდა სასამართლო პრაქტიკაში.³⁵ მისთვის, მსგავსად სხვა გენიალური იდეებისა, დამახასიათებელია უბრალოება და უნივერსალურობა დროსა და სივრცეში. ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ რადბრუხის ფორმულა სხვადასხვა დროს გამოყენებული თავისი არსით განსხვავებული ტოტალიტარული რეჟიმების სამართლებრივი შედეგების დამუშავებისას, როგორც პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა.³⁶

რადბრუხის ფორმულა იმითაცაა გამორჩეული, რომ სამართლებრივ უსაფრთხოებასთან კანონის შანაარსში შეიტანა სამართლიანობა და საერთო სარგებელი,³⁷ რამაც სამართლის პოზიტივისტურ გაგებას შესძინა მეტად მორალური ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ რადბრუხმა კანონის პოზიტიური მნიშვნელობა არ უარყო, საზოგადოებას შესთავაზა ალტერნატივა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი და როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც სამართლებრივი უსაფრთხოება და სამართლიანობა ერთმანეთს უპირისპირდება.

IV. პირადი პასუხისმგებლობის გამორიცხვა

ზემოთ აღინიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომამდე გუსტავ რადბრუხის სამართლის პოზიტივიზმი ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე იყო ტრადიციული სამართლის პოზიტივიზმი.³⁸ თუმცა რადბრუხის სამშობლოში მესამე რაიხის პერიოდში მომხდარი მო-

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე.

³⁷ რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი, №1, 2012, 240.

³⁸ The Legal Philosophies of Lask, Radbruch, and Dabin, edited by K. Wilk, Harvard University Press, 1950, 52-53, 55, 57.

ვლენების შემდეგ მისი შეხედულებები პოზიტივიზმის მიმართ, შესაძლოა ითქვას, შეიცვალა.³⁹ გუსტავ რადბრუხი დარწმუნებული იყო იმ მოსაზრებაში, რომ გერმანელი იურისტების დოქტრინა „კანონი კანონია“ დაეხმარა გერმანიის ნაციისტურ რეჟიმს ძალაუფლების შენარჩუნებასა და მის გამოყენებაში მათი უკანონო კანონმდებლობის გავლით.⁴⁰ ვინაიდან პოზიტივისტურ-სამართლებრივმა გაგებამ „კანონი კანონია“ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ უსამართლო და უკანონო ქმედებას ლეგიტიმაცია შესძინა, რაც თავისი ყველაზე საზარელი სახით გერმანიაში, მესამე რაიხის მმართველობის დროს გამოვლინდა, მან გამორიცხა იმ ადამიანთა ყოველგვარი პასუხისმგებლობა, რომლებმაც სხვადასხვა დროს ჩაიდინეს დანაშაული. ნაციისტური რეჟიმის დროს მიღებული იქნა სამართლებრივი აქტები, რომლებიც კანონიერად ცნობდნენ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიერ ჩადენილ წმენდასა და საკონცენტრაციო ბანაკებში მომხდარ მკვლევლობებს.⁴¹

კანონის თანახმად, აღნიშნული მკვლევლობები იყო დანაშაული, როდესაც ისინი ჩადენილ იქნა, თუმცა ყოველივე დანაშაულის „გამამართლებელმა“ კანონებმა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საიდუმლოდ იყო მიღებული, დანაშაულებრივი ქმედებები კანონიერად ცნო.⁴² აქედან გამომდინარე, დამნაშავეების პასუხისმგებლობა გერმანული კანონების თანახმად სრულიად გამორიცხული იყო, ვინაიდან ისინი ჩადენილი იქნა „კანონის“ და ლეგიტიმური მოთხოვნის საფუძველზე. კანონის სახელით ჩადენილი უკანონობის კარგი მაგალითია 1944 წელს მომხდარი შემთხვევა: გერმანელი ჯარისკაცი ომიდან სახლში დაბრუნდა, რა დროსაც თავის მეუღლეს უთხრა, რომ ჰიტლერსა და სხვა ნაციისტ ლიდერებს არ ამართლებდა, რომ

³⁹ Wolf E., *Revolution or Evolution in Gustav Radbruch's Legal Philosophy*, *Natural Law Forum*, Vol. 3, 1958, 1.

⁴⁰ Cahill W. F., *One Phase of the New Debate on the Iniquitous Law - Hart and Fuller on Radbruch*, *Catholic Legal Studies*, Vol. 5, No. 2, 1959, 119.

⁴¹ იქვე.

⁴² Fuller L. L., *Positivism and Fidelity to Law – A Reply to Professor Hart*, *Harvard Law Review*, Vol. 71, No. 4, 1958, 630, 651-652.

ყოველივე ის, რაც ომის დროს ხდებოდა, არასწორი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს საუბარი პრივატული იყო, ჯარისკაცის ცოლმა თავისი მეუღლე დაასმინა ზემოაღნიშნული სიტყვების გამო. შედეგად ჯარისკაცს სიკვდილი მიუსაჯეს. სასჯელის საფუძველი გახდა კანონი, რომლის მიხედვითაც, მმართველი პარტიისა და ლიდერების დაკნინება/კრიტიკა დასჯადი იყო.⁴³ თუმცა, ვინაიდან იმ დროისთვის გერმანიის ჯარში კრიზისი იყო, ჯარისკაცი სიკვდილით არ დასაჯეს და კვლავ ფრონტის ხაზზე გაგზავნეს. ის გადარჩა და ომის დამთავრების შემდეგ საკუთარ ცოლს მისი უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის გამო სასამართლოში უჩივლა.⁴⁴ ომის დამთავრების შემდეგ სასამართლომ ცოლი დამნაშავედ ცნო. ჯარისკაცის ცოლის მთავარი არგუმენტები ნაციისტური მმართველობის დროს მიღებულ აქტებს ეყრდნობოდა. აქტები იყო კანონიერი, რომელთა თნახმაც, მისი მეუღლის ქმედება იყო დანაშაული. სასამართლომ ცოლის მიერ ქმრის დასმენა მის მიერ დასახელებული კანონების საფუძველზე უკანონოდ ცნო, რადგან ის „ენინაალმდეგებოდა სამართლიანობისა და სინდისიერების განცდას ნებისმიერ წესიერ ადამიანში“.⁴⁵

ერთი შეხედვით, შესაძლოა გაჩნდეს კითხვა, რატომ არ უნდა დამორჩილებოდა ჯარისკაცის ცოლი კანონს? ასეთ დროს წარმოიშობა დილემა, როგორ უნდა მოქცეულიყო ცოლი, არ დამორჩილებოდა ბოროტ კანონს თუ გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა? გუსტავ რადბრუხის სამართლის ფილოსოფიაში ამ კითხვას ასეთი პასუხი შეიძლება გაეცეს: თუკი კანონები განზრახ გადაუხვევენ სამართლიანობისკენ სწრაფვას, მაგალითისთვის, თუ ხდება ადამიანის უფლებების იძულებით მინიჭება ან ჩამორთმევა, ასეთ შემთხვევაში კანონები ბათილია, ხალხი არაა ვალდებული დაემორჩილოს მათ.⁴⁶

⁴³ William F. Cahill, One Phase of the New Debate on the Iniquitous Law - Hart and Fuller on Radbruch, 5 CATH. LAW, 1959, 120.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ Hart H. L. A., Positivism and the Separation of Law and Morals, Harvard Law Review, Vol. 71, No. 4, 1958, 593, 619.

⁴⁶ რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, სამართლის ჟურნალი, №1, 2012, 239.

არსებობს სამართლის პრინციპები, რომლებიც გაცილებით წონა-დია, ვიდრე სამართლებრივი აქტი. თუკი კანონი ეწინააღმდეგება სამართლებრივ პრინციპს, კანონი არ მოქმედებს. ეს პრინციპები ცნობილია ბუნებითი სამართლის, იგივე გონის სამართლის სახელწოდებით.⁴⁷ აქედან გამომდინარე, გუსტავ რადბრუხის სამართლის ფილოსოფიაში ბოროტი კანონის მორჩილება, რომელიც მიზანმიმართულად არღვევს სამართლიანობას ბათილია, შენ არ გაქვს ვალდებულება დაემორჩილო მათ, ხოლო დამორჩილების შემთხვევაში შენი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება, რადგან ცუდი კანონი აღსასრულებლად სავალდებულო აღარ არის. სწორედ ეს პრინციპები დაედო საფუძვლად იმ ადამიანთა გასამართლებას, ვინც იმ დროისთვის გერმანიაში უამრავი დანაშაული ჩაიდინა.

1. ბერლინის კედლის მესაზღვრეთა საქმე

მატერიალურ კანონებზე დაყრდნობით განხორციელებული ქმედებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების კარგი მაგალითია ე.წ. მესაზღვრეთა სასამართლო პროცესი, სადაც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა რადბრუხის ფორმულა.⁴⁸ სისხლის სამართლის პროცედურები იმ ადამიანების წინააღმდეგ დაიწყო, რომლებიც გერმანიის ორმოცწლიანი გაყოფის პერიოდში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (შემდეგში - გდრ) სასაზღვრო ჯარის ნაწილებში მსახურობის დროს უშუალოდ უხსნიდნენ ცეცხლს საზღვრის გადაკვეთის მსურველ პირებს ან მათი დახოცვის ბრძანებებს გასცემდნენ, ან რომლებიც იმ ორგანოს წევრები იყვნენ, რომელსაც გდრ-ში ამგვარი სასაზღვრო რეჟიმის შექმნასა და შენარჩუნების პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.⁴⁹

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ BVerfGE 95, 96 ff. – Mauerschützen.

⁴⁹ ჰეგერი მ., კედლის მესაზღვრეთა პროცესები – გამარჯვებულთა მართლმსაჯულების გამოხატულება?, ა. მორგოშიას თარგმანი, გერმანულ-ქართულის სისხლის სამართლის ჟურნალი, №2, 2021, 25.

აღნიშნულ სასამართლო განხილვებში მონაწილეობდა როგორც გერმანიის ფედერალური სასამართლო, ასევე ფედერალური საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.⁵⁰

ბერლინის ისევე, როგორც საერთო შიდაგერმანულ საზღვარს, აღმოსავლეთის მხრიდან მკაცრად აკონტროლებდნენ გდრ-ის სასაზღვრო დანაყოფები. კედლის აშენებამდეც და აშენების შემდეგაც აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთ გერმანიაში უამრავი ადამიანი გადადიოდა. კედლის გადაკვეთის მცდელობებისას კი ასეულობით ადამიანი კედლის მესაზღვრეებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. ხშირ შემთხვევაში მესაზღვრეები არათანაზომიერად რეაგირებდნენ და ცეცხლს უხსნიდნენ მიწაზე მწოლიარე ადამიანებსაც.⁵¹

გერმანიის გაერთიანების შემდეგ ფედერაციული გერმანიის მართლმსაჯულების წინაშე დადგა საკითხი, მოცემულ მომენტში კედლის მესაზღვრეების წინააღმდეგ უნდა დაწყებულიყო თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა შიდაგერმანულ საზღვარზე დახოცილი ადამიანების საქმეებზე.

კედლის მესაზღვრეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხზე სამართლებრივი დისკუსიის დროს ყურადღება მახვილდებოდა ორ გარემოებაზე. ერთი მხრივ, გდრ-ის ხელისუფლების მიერ ცეცხლის გახსნის ბრძანებათა გაცემა, სამართლებრივი თვალსაზრისით, კედლის მესაზღვრეებს ათავისუფლებდა, თუ არა სასჯელისაგან, ვინაიდან გდრ-ის კანონმდებლობა ბრძანების შესრულებას საპატიებელ გარემოებად თვლიდა და პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა ბრძანების შემსრულებებს.⁵² ამავე დროს, ცეცხლსასროლი იარაღის შიდაგერმანულ

⁵⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Streletz, Kessler und Krenz v. Germany*, Par. 96, 34044/96.

⁵¹ ჰეგერი მ., კედლის მესაზღვრეთა პროცესები – გამარჯვებულთა მართლმსაჯულების გამოხატულება?, ა. მორგოშიას თარგმანი, გერმანულ-ქართულის სისხლის სამართლის ჟურნალი, №2, 2021, 26.

⁵² გდრ-ის სსკ-ის 258-ე პარაგრაფი.

საზღვარზე გამოყენება გარკვეულ შემთხვევებში დასაშვები იყო.⁵³ მეორე მხრივ კი, მსჯელობას საჭიროებდა საკითხი იმის შესახებ, კედლის მესაზღვრეთა ქმედებები, რომელთა უმეტესობაც მხოლოდ გდრ-ის კანონმდებლობას იცნობდა, უნდა შეფასებულყო, თუ არა ბუნებითი სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ზოგადი მასშტაბებიდან.

კედლის მესაზღვრეთა საქმეები გერმანიის გაერთიანების შემდეგ, დანაშაულის ადგილის მიხედვით, უმეტესად განიხილა ბერლინის სასამართლომ და მესაზღვრეებს მკვლელობისთვის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.⁵⁴ მათ საქმეებში ვლინდებოდა ცეცხლის გახსნის ბრძანების შესრულება, თუმცა ეს არ იყო განზრახ მკვლელობის კანონიერი საფუძველი. მართალია, უკანონო ბრძანების შესრულება მისგან მომდინარე დანაშაულებრივი ქმედების გამამართლებელ გარემოებად ითვლებოდა, მაგრამ არა იმ შემთხვევებში, როდესაც ბრძანების შედეგად განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება ადამიანის ძირითად უფლებებს ხელყოფდა. შეუიარაღებელი პირის განზრახ მკვლელობა მხოლოდ იმიტომ, რომ ის გდრ-ის საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა, სწორედ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა იყო.⁵⁵ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ არ დადასტურდა დამნაშავეთა მხრიდან შეცდომის დაშვების გარდაუვლობა.⁵⁶

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, რადბრუხის ფორმულის გათვალისწინებით, 1996 წლის 24 ოქტომბრის პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში უარყო საზღვრის კანონის გამამართლებელი ნორმის გამოყენების შესაძლებლობა.⁵⁷ ხოლო გდრ-ის სსკ-ის მე-17 პარაგრაფის გამოყენება, რომელიც

⁵³ გდრ-ის 1982 წლის საზღვრის კანონის 27-ე პარაგრაფი.

⁵⁴ გდრ-ის სსკ-ის 112-ე პარაგრაფი.

⁵⁵ ჰეგერი მ., კედლის მესაზღვრეთა პროცესები – გამარჯვებულთა მართლმსაჯულების გამოხატულება?, ა. მორგოშის თარგმანი, გერმანულ-ქართულის სისხლის სამართლის ჟურნალი, №2, 2021, 30.

⁵⁶ გერმანიის სსკ-ის მე-17 პარაგრაფი.

⁵⁷ BVerfGE 95, 96 ff. – Mauerschützen.

ითვალისწინებდა შეცდომას აკრძალვაში, როგორც საპატიებელ გარემოებას, მიზანშეწონილად მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებისთვის მიიჩნია. ამრიგად, კედლის მესაზღვრეები, რომლებიც გაქცევის მსურველებს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროდნენ, მკვლევლობისთვის უნდა გასამართლებულიყვნენ.

ბერლინის კედლის მესაზღვრეთა საქმე ზუსტად ასახავს იმ პრობლემას, რასაც გუსტავ რადბრუხმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრი ნაშრომი მიუძღვნა. გუსტავ რადბრუხს სწამდა, რომ კონცეფცია „ბრძანება ბრძანებაა“ და „კანონი კანონია“ ფუნდამენტურად არასწორი და დამაზიანებელია. სწორედ პოზიტივიზმის ამგვარმა გაგებამ შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე მესამე რაიხის პერიოდში. თავისთავად კანონის აღსულება არ გამორიცხავს შენს ინდივიდუალურ პასუხიმგებლობას, რისი მაგალითიც სხვა უამრავ საქმესთან ერთად ბერლინის კედლის მესაზღვრეთა საქმეცაა.

V. კანონის უკუძალა თუ „გამარჯვებულის მართლმსაჯულება“?

გუსტავ რადბრუხის „აუტანლობის ფრომულა“ სხვადასხვა დროს გამოყენებული იქნა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში.⁵⁸ შესაძლოა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილ დანაშაულთა გამო მესამე რაიხის დამნაშავეთა უმრავლესობა რადბრუხის ფორმულის გამოყენებით გასამართლდა. გასამართლებასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანი იყო იმ სასამართლებრივი აქტების გაუქმება, რომლებიც უხეშად არღვევდნენ ადამიანის უფლებებს, მაგალითად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც უკანონოდ და გაუქმებულად გამოაცხადა მოქალაქეობის აქტი,⁵⁹ რომლის თანახმადაც, გერმანიაში მცხოვრებ წარმოშობით ებრაელ ადამიანს ჩამოერთმეოდა გერმა-

⁵⁸ BVerfGE 3, 225 (232 ff.); 6, 132 (198 ff.); 6, 389.

⁵⁹ BVerfGE 23, 98 ff.

ნიის მოქალაქეობა, თუ მას საზღვარგარეთ ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი.⁶⁰ თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ რადბრუხის ფორმულის პრაქტიკაში გამოყენებაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს სამართლის სხვა მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორცაა, მაგალითად, კანონის უკუძალა. აღნიშნულ პრინციპს სხვა ქვეყნის კანონმდებლობის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს. ამ პრინციპის თანახმად, კანონს, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას ან სხვაგვარად ამძიმებს პირის მდგომარეობას, უკუძალა არ აქვს.⁶¹ შესაბამისად, აქ წარმოიშობა დილემა: რამდენად არის რადბრუხის ფორმულის გამოყენება კანონის უკუძალის გამორიცხვის პრინციპის დარღვევა, ან ხომ არ გვაქვს საქმე „გამარჯვებულის მართლმსაჯულებასთან“? თავის მხრივ, გამარჯვებულის მართლმსაჯულება ნიშნავს გამარჯვებულის მიერ დამარცხებულის მიმართ განხორციელებულ მართლმსაჯულებას. მე-19 საუკუნიდან კოლონიალურ ბრძოლებში დამარცხებულ აჯანყებულებს ზოგჯერ სასტიკად უსწორდებოდნენ. სწორედ ამის შედეგია ჰერეროსა და ნამას გენოციდი, რომელიც გერმანულმა კოლონიალურმა ჯარებმა დღევანდელი ნამიბიის ტერიტორიაზე განახორციელეს.⁶² გამარჯვებულის მიერ დამარცხებულის გასამართლების აცილების კარგი მაგალითი შეგვიძლია პირველ მსოფლიო ომამდე მოვიძიოთ, რა დროსაც პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში ორ სახელმწიფოს შორის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის შემდეგ არა მხოლოდ საომარი მოქმედებები წყდებოდა, არამედ მათთან დაკავშირებული დანაშაულებიც ორმხრივი ამნისტიის საფუძველზე დაუსჯელი რჩებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო დანაშაულებების

⁶⁰ 11th Ordinance to the Citizenship Act of 25 November 1941.

⁶¹ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶² ჰეგერი მ., კედლის მესაზღვრეთა პროცესები – გამარჯვებულთა მართლმსაჯულების გამოხატულება?, ა. მორგოშის თარგმანი, გერმანულ-ქართულის სისხლის სამართლის ჟურნალი, №2, 2021, 32. იხ. ციტირება: Vormbaum M., Der Völkermordtatbestand und die deutschen Kolonialverbrechen an den Herero und Nama, Ad Legendum, 2019, 194.

პროცესები ნიუნბერგში წარიმართა ოთხი გამარჯვებული ძალის – დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის მოსამართლეების და პროკურორების მიერ ნაცისტური გერმანიის მთავრობის, სამხედრო ძალებისა და ინდუსტრიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ. სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც პროცესზე გამოიყენეს, ომის დასრულებისა და, შესაბამისად, დანაშაულთა ჩადენის შემდეგ გამარჯვებულებმა სწორედ ამ პროცესებისთვის შექმნეს.⁶³

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ჰარტის მიერ რადბრუხის კრიტიკის ერთ-ერთი ეპიზოდი სწორედ კანონის უკუძალას ეხებოდა, რასაც ჰარტმა კეთილსინდისიერების არგუმენტი უწოდა. მისი აზრით, რადბრუხის ფორმულის გამოყენებას მივყავართ კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპის შენიღბულ გვერდის ავლამდე.⁶⁴ ჰარტის პოზიციით, „რაც არ უნდა საზიზღარი იყოს უკუძალის მქონე სისხლის სამართლის კანონმდებლობა და დასჯადობა, მათ ღიად განხორციელებას, ამ შემთხვევაში, სულ ცოტა, კეთილსინდისიერების უპირატესობა ექნება“.⁶⁵ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საკითხი, რამდენად არღვევს რადბრუხის ფორმულა კანონის უკუძალის პრინციპს და ყოველივე ეს უნდა მივიჩნიოთ თუ არა „გამარჯვებულის მართლმსაჯულებად“? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გვახსოვდეს თავად რადბრუხის ფორმულის არსი, ანუ რა შემთხვევებზე შესაძლოა გავრცელდეს იგი. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ 1941 წელს მიღებულ მოქალაქეობის კანონზე მსჯელობისას განმარტა, „ნაციონალ-სოციალისტური მმართველობის პერიოდში გამოყენებული

⁶³ ჰეგერი მ., კედლის მესაზღვრეთა პროცესები – გამარჯვებულთა მართლმსაჯულების გამოხატულება?, ა. მორგომიას თარგმანი, გერმანულ-ქართულის სისხლის სამართლის ჟურნალი, №2, 2021, 33.

⁶⁴ ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის კრიტიკა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №7, 2013, 33. იხ. ციტირება: Alexy R., *Begriff und Geltung des Rechts*, Munich, 2005, 101.

⁶⁵ ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის კრიტიკა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №7, 2013. იხ. ციტირება: Hart: *Der Positivismus und die Trennung von Recht und Moral*, S. 14 (44).

აქტების ნამდვილობა შეიძლება გაუქმდეს ისეთ დროს, როდესაც ისინი იმდენად ღია კომფლიქტში იმყოფებიან ადამიანის ძირითად უფლებებთან, რომ მათი გამოყენებისას მივიღებდით არა კანონიერ, არამედ უკანონო განაჩენს“.⁶⁶ სწორედ ესაა რადბურხის ფორმულის მთავარი შინაარსიც, კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს და აღარ არსებობდეს მისი გამოყენების ვალდებულება, როდესაც ის გაუსაძლისი უსამართლობის წყარო ხდება. ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ზემოთ განხილულ ბერლინის კედლის მესაზღვრეთა საქმეზე, სადაც სასამართლომ გამოიყენა რადბურხის ფორმულა და დაადგინა, რომ მესაზღვრეთა მიერ საზღვრის გადაკვეთისას ჩადენილი მკვლევლობები იყო უსამართლობისა და უკანონობის ფართო მასშტაბის გამოვლინება.⁶⁷

მართალია, რადბურხის ფორმულას აქვს უკუქცევითი ხასიათი, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფორმულის გამოყენება შეუძლებელია მოხდეს ორდინალურ შემთხვევაში. რადბურხის ფორმულას ვიყენებთ მხოლოდ იმ დროს, როდესაც უკანონობა გაუსაძლის ხასიათს იღებს, მსგავსი გარემოების კანონში გათვალისწინება, როგორც უკუძალის გამონაკლისი შემთხვევა, შეუძლებელი იქნებოდა. ფორმულის გამოყენება მთლიანად სიტუაციასა და მოსამართლის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. სწორედ ესაა ზეკანონური სამართლის შინაარსიც. რაც შეეხება „გამარჯვებულის მართლმსაჯულებას“, ეს შეძლება ჩაითვალოს რადბურხის ფორმულის ყველაზე დიდ ნაკლად, ვინაიდან, თავისი არსით, რადბურხის ფორმულას აქვს პოსტ-ფაქტუმ ეფექტი, რადგან არ არსებობს მექანიზმი, რომელიც უკანონობას და უსამართლობის პრევენციას წინასწარ მოახდენს. აღმოსავლეთ გერმანიის საზღვართან ჩადენილი მკვლევლობები ვერ გასამართლდებოდა, რადგან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას დანაშაულის გამოძიების სურვილიც კი არ ჰქონია, იმ უმარავი საზარელი დანაშაულის გამოძიება ვერ მოხდებოდა, სანამ სათავე-

⁶⁶ Pavcnik M., *The Symbolic Meaning of Radbruch's Formula: Statutory (Non-) Law and the Argument of Non-Law*, *Rechtstheorie*, №46(2), 2015, 139.

⁶⁷ იქვე.

ში თავად მესამე რაიხი იდგა, თუმცა მათ მიერ განხორციელებული უსამართლობის მასშტაბი იმდენად დიდი იყო, რომ რადბრუხის ფორმულის გამოყენებაც ლეგიტიმური გახდა. ამავე დროს, საინტერესოა საკითხი, რა უნდა ჩაითვალოს „გაუსაძლის უსამართლობად“ ან ვინ უნდა შეაფასოს, რამდენად გაუსაძლისია უსამართლობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ სცადა, თუმცა იმაზე მეტი ნამდვილად ვერ თქვა, ვიდრე ეს თავად გუსტავ რადბრუხმა გააკეთა. სასამართლოს მოსაზრებით, „დანაშაულის გამამართლებელი კანონმდებლობა მაშინ შეიძლება ჩაითვალოს უკანონოდ, თუ კრიმინალური აქტი ღიად და დაუფარავად არღვევს ადამიანის უფლებებს, რომელიც იწვევს შემფოთებას საერთაშორისო საზოგადოების მიერ“.⁶⁸ ამ განმარტების მიუხედავად, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ უსამართლობამდე მისული კანონის აღსრულება არ გამორიცხავს ჩვენს პასუხისმგებლობას, არ არსებობს ბოროტი კანონის მორჩილების ვალდებულება.

V. დასკვნა

გუსტავ რადრუხი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული და გავლენიანი სამართლის ფილოსოფოსია. მისი შეხედულებები სამართლიანობისა და კანონის შინაარსის შესახებ უმნიშვნელოვანესია უკანონო და ბოროტი წესრიგის წინააღმდეგ. რადბრუხის შეხედულებები, რომელიც მანამდე სამართლის პოზიტივიზმს იზიარებდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიცვალა და რიგ შემთხვევებში ბუნებითი სამართლის შინაარსიც კი შეიძინა. გუსტავ რადბრუხმა ნათლად დაინახა იმ უკანონობისა და უსამართლობის მასშტაბი, რაც კანონის ბრმა მორჩილებამ შეიძლება მოიტანოს. სწორედ ამისგან თავის არიდებას ემსახურება მისი ფორმულა.

ნაშრომში განხილული იქნა გუსტავ რადბრუხის სამართლის ფილოსოფიის ისეთი საინტერესო მონაკვეთები, სადაც საუბარია უსამართლო კანონებზე. პირველ რიგში, რატომ შეიძლება კანონი

⁶⁸ BVerfGE 95, 96 ff. – Mauerschützen.

გახდეს უსამართლო და, რაც მთავარია, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი სამართლიანობა და სამართლებრივი უსაფრთხოება დაუპირისპირდება ერთმანეთს. კითხვაზე, გამოირიცხება თუ არა პირის პასუხისმგებლობა, თუკი ის დაემორჩილება უსამართლობის გაუსაძლის მასშტაბამდე მისულ კანონს, გუსტავ რადბურხის სამართლის ფილოსოფია პასუხობს - არა, რადგან, თუკი უსამართლობა გაუსაძლისია, მისი მორჩილების არანაირი ვალდებულება აღარ არსებობს, იგი ბათილია. ამ სიტყვებს მონმოზს ისეთი მნიშვნელოვანი სასამართლო საქმეები, როგორიცაა ბერლინის კედლის მესაზღვრეთა საქმე და, რა თქმა უნდა, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესები.

ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ეპასუხა კითხვაზე, ვალდებულები ვართ თუ არა ვემორჩილებოდეთ კანონს მაშინაც კი, თუკი ის აშკარა უსამართლობას იწვევს. ამ მიზნით განხილული იქნა რადბურხის ფორმულა და მისი როლი სხვადასხვა სასამართლო პროცესებში, რამაც ნათლად დაგვანახა, რომ დაპირისპირება სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის ნამდვილად არსებობს, არჩევანი კი უნდა გავაკეთოთ სამართლებრივი უსაფრთხოების სასრგებლოდ, თუმცა, თუ კანონი მიზანმიმართულად არღვევს სამართლიანობას, სამართლებრივმა უსაფრთხოებამ ასპარეზი უნდა დაუთმოს სამართლიანობას.

**პერსონალური მონაცემების ძირითადი პრინციპების
გამოწვევები განსაკუთრებული კატეგორიის
პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას**

I. შესავალი

მონაცემთა დამუშავებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ძირითადი პრინციპები, რომელთა დაცვაც მონაცემთა მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების ლეგიტიმურობას გაუსვამს ხაზს. პერსონალურ მონაცემთა კანონიერი დამუშავებისთვის კანონმდებლობა უპირველესად სხვადასხვა პრინციპების დაცვას ითვალისწინებს. ეს არის პრინციპები, რომლებზეც აგებულია, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. მოცემული პრინციპების დაცვა უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საკითხი პირის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს ეხება, რომელთა დამუშავება აკრძალულია¹, გარკვეული საფუძვლების გარდა, როგორცაა მონაცემთა სუბიექტისთვის მინიჭებული ძირითადი უფლებების აღსრულება ან სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ ინტერესები. აღნიშნული აკრძალვიდან გამომდინარე, ჩარჩო პრინციპები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ვინაიდან მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წინასწარი თანხმობის გარეშე, მნიშვნელოვანია, მონაცემთა მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ქმედება გამყარებული იყოს მოცემული სფეროს პრინციპების დაცვით, რაც

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მაგისტრი.

¹ Regulation of the European Parliament and of the Council on the Protection of Individuals with Regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data (General Data Protection Regulation, European Commission, 2012, article 9.1; იხ., აგრეთვე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის ერთგვარ ბერკეტს, დამმუშვებელმა იმოქმედოს კანონის ფარგლებში.

ნებისმიერმა ქმედებამ თუ საკითხმა, რომელსაც ადამიანის ძირითად უფლებებზე და თავისუფლებებზე რაიმე სახით ზემოქმედება შეუძლია, მკაცრი საფეხურები უნდა გაიაროს, რომელსაც პრინციპები ჰქვია. პრინციპი ეს არის გარკვეულ სფეროში არსებული სახელძღვანელო იდეა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ სფეროში განხორციელებული სხვადასხვა ქმედება.

სამართალში არსებული პრინციპები სამართლის კონკრეტული სფეროების მიხედვით განსხვავდება. სამართლის სხვა სფეროების მსგავსად, პერსონალურ მონაცემთა სფეროში, კანონმდებლობით განსაზღვრული კონკრეტული პრინციპები უზრუნველყოფს სუბიექტის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს,² რაც ცალსახად მნიშვნელოვანია ისეთი ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, რომელიც უკვე გარკვეულწილად ეწინააღმდეგება არსებულ პრინციპებს.³ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები ევროსაბჭოს დირექტივითაა განსაზღვრული, რომელსაც შეესაბამება ევროპის ქვეყნების შიდა კანონმდებლობა. მოცემული პრინციპების მიზანია, განსაზღვროს მონაცემთა დაცვის ზოგადი სულისკვეთება, რომელიც იქნება მონაცემთა დაცვის კარგი პრაქტიკის ფუნდამენტური საფუძველი.⁴ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი დირექტივით განსაზღვრული წესების ანალოგიურ პრინციპებს აწესებს.⁵ აღნიშნული პრინციპები როგორც მონაცემთა

² გუგავა ნ., განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები საქართველოს საჯარო სექტორში და საერთაშორისო გამოცდილება, თბილისი, 2017, 74.

³ Clifford D., Graef I., Valcke P., Pre-formulated Declarations of Data Subject Consent – Citizen-Consumer Empowerment and the Alignment of Data, Consumer and Competition Law Protection, German Law Journal, Vol. 20, №5, 2019, 6.

⁴ Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Information Commissioner's Office, 2021, 19. <<https://ico.org.uk/media/for-organisations/guide-to-data-protection/guide-to-the-general-data-protection-regulation-gdpr-1-1.pdf>> [10.07.2022].

⁵ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

დამუშავებით მისაღწევ, წინასწარ განსაზღვრულ მიზანში, ისე მონაცემთა დამუშავების პროპორციულობაში, მონაცემთა სიზუსტესა და მონაცემთა შენახვის ვადიანობაში გამოიხატება. აღნიშნული პრინციპების დაცვა წინ უნდა უძღოდეს მონაცემთა დამუშავებას და ნებისმიერი ერთი პრინციპის დარღვევის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება იქნის უკანონო ხასიათს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭომ 108-ე კონვენციით შესაძლებელი გახდა მონაცემთა დამუშავების პრინციპების შეზღუდვა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეზღუდვა ემსახურება კონვენციით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე მოვალეობებისა და ვალდებულებების აღსრულებას. აქვე, საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პრინციპების შეზღუდვის შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეზღუდვამ ჩააბაროს და გაიაროს თანაზომიერების პრინციპის ტესტი,⁶ რომლის მიხედვითაც, პრინციპის შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს კანონიერ მიზანს და უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁷

II. სამართლიანი და კანონიერი დამუშავების პრინციპი

ევროსაბჭოს 108-ე კონვენციის თანახმად, მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანობის და კანონიერების კრიტერიუმები,⁸ ხოლო ევროსაბჭოს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მიხედვით, აღნიშნულ მოთხოვნებთან ერთად აუცილებელია გამჭვირვალობის კრიტერიუმის დაცვაც.⁹ მონაცემთა და-

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 30.

⁷ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლუქსემბურგი, 2018, 134.

⁸ Convention for the Protection of Individuals with Regard to Automatic Processing of Personal Data, European Treaty Series - No. 108, Article 5, 1981.

⁹ Regulation 2016/679 of the European Parliament and of the Council on the Protection of Natural Persons with Regard to the Processing of Personal Data

მუშავეების კანონიერება არის ის ძირითადი, სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის არსებობაზეა დამოკიდებული სხვა პრინციპები. კანონიერება ეს არის ჩარჩო პრინციპი, რომლის დაცულობაც ლეგიტიმურობას სძენს მონაცემთა დამუშავების პროცესის გაგრძელებას.¹⁰ მონაცემთა დამუშავებისას კანონიერების პრინციპი ისეთი კრიტერიუმებისგან შედგება, როგორცაა მონაცემთა სუბიექტის თანხმობა და დამუშავების კანონიერი საფუძველი, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა სხვადასხვა გარემოებების მიხედვით.¹¹ მონაცემთა დაცვის ევროპული სახელმძღვანელო განმარტავს იმ საფუძველებსა და გარემოებებს, რომელთა არსებობის დროსაც მონაცემთა დამუშავება კანონიერია. ასეთ საფუძველად, ევროსაბჭოს დირექტივის მიხედვით, განისაზღვრება გარემოება, როდესაც მონაცემები მუშავდება მონაცემთა სუბიექტთან რაიმე ხელშეკრულების დასადავებად; თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სუბიექტის ან მესამე პირების სასიცოცხლო და კანონიერი ინტერესების დასაცავად; კანონიერი საფუძველია აგრეთვე საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.¹² ცალკე ხაზგასმას მოითხოვს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძველებს უფრო აკონკრეტებს და ცალკე ნორმით აწესრიგებს, რაც ისევ და ისევ მოცემული კატეგორიის მონაცემების მნიშვნელობიდან გამომდინარეობს.¹³ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცე-

and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/ec (General Data Protection Regulation), Article 5.

¹⁰ ლაფანაშვილი ი., პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის სამართლებრივი მონესრიგება ქართული და ევროპული სტანდარტების მიხედვით, თბილისი, 2018, 12.

¹¹ Processing Personal Data on the Basis of Legitimate Interests under the GDPR: Practical Cases, 2018, 4. <[https://www.ejtn.eu/PageFiles/17861/Deciphering_Legitimate_Interests_Under_the_GDPR%20\(1\).pdf](https://www.ejtn.eu/PageFiles/17861/Deciphering_Legitimate_Interests_Under_the_GDPR%20(1).pdf)> [10.07.2022]

¹² Regulation 2016/679 of the European Parliament and of the Council on the Protection of Natural Persons with Regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/ec (General Data Protection Regulation), Recital 40.

¹³ იქვე, Article 9.

მების დამუშავება აკრძალულია,¹⁴ თუმცა, იქვე განსაზღვრულია საფუძვლები, რა შემთხვევაშიც შესაძლებელი ხდება მსგავსი ტიპის მონაცემების დამუშავება.¹⁵ გამომდინარე აქედან, მოცემული პრინციპის დაცვის მნიშვნელობაც იზრდება. კანონმდებლობის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლებად განსაზღვრულია ადამიანის ისეთი ძირითადი უფლებები, რომელთა აღსრულების პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს აკისრია და კანონიერების პრინციპის დაცვის კონტექსტში, აუცილებელია, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება აღნიშნული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მოხდეს.

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება ყოველთვის უნდა იყოს სამართლიანი, რომლის ფარგლებშიც მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია, შეაფასოს და განსაზღვროს დამუშავებისგან მიღებული სარგებელი და სუბიექტისთვის შესაძლო მიყენებული ზიანის რისკები,¹⁶ სუბიექტს ჰქონდეს იმ კანონიერ მიზნებსა და საფუძვლებზე ხელმისაწვდომობის უფლება, რისთვისაც მონაცემები მუშავდება.¹⁷ სამართლიანობაში მოაიზრება, რომ მონაცემთა დამუშავებელმა პერსონალური მონაცემები დაამუშაოს ისე, როგორც ამას სუბიექტი მოელის და არ გამოიყენოს ისე, რომ მას ზიანი მიადგეს.¹⁸ მონაცემთა დამუშავების პროცესში სამართლიანობის კრიტერიუმია მონაცემთა სუბიექტის

¹⁴ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵ იქვე, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶ Gonzalez E. G., De Hert P., Understanding the Legal Provisions that Allow Processing and Profiling of Personal Data - an Analysis of GDPR Provisions and Principles, ERA Forum - Journal of the Academy of European Law, Vol. 19, №4, 2019, 613.

¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 25 მარტის №23224/94 გადაწყვეტილება საქმეზე Kopp v. Switzerland, პარ. II, 55.

¹⁸ Guide to the General Data Protection Regulation (GDPR), Information Commissioner's Office, 2021, 22. <<https://ico.org.uk/media/for-organisations/guide-to-data-protection/guide-to-the-general-data-protection-regulation-gdpr-1-1.pdf>> [10.07.2022].

ინფორმირებულობაც,¹⁹ კერძოდ, დამმუშავებელი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა მონაცემები მუშავდება, როგორ იქნა მონაცემები შეგროვილი, რა მონაცემებს ინახავს დამმუშავებელი.

აღნიშნულ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დააფიქსირა მე-8 მუხლის დარღვევა იმ მოტივით, რომ საავადმყოფომ, მონაცემთა სუბიექტს, მოთხოვნის მიუხედავად, არ გადასცა მის ხელთ არსებული მონაცემები იმ მიზეზით, რომ თავიდან აეცილებინათ მონაცემთა ბოროტად გამოყენების საფრთხე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ქმედებით დაირღვა სამართლიანობის პრინციპის ის მნიშვნელობა, რომელიც სუბიექტისთვის დამუშავებული მონაცემების შესახებ ინფორმაციის გადაცემას მოიცავს.²⁰ მონაცემთა სუბიექტს ასევე უნდა ეცნობოს, თუ რა მოცულობით ხდება ან მოხდება მონაცემთა დამუშავება. ამ ყველაფერთან ერთად სამართლიანობის პრინციპი მონაცემთა სუბიექტს აძლევს უფლებას, იყოს ინფორმირებული, თუ რა შედეგები მოჰყვება მისი მხრიდან დამუშავებაზე უარის თქმას, როდესაც მონაცემთა შეგროვება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან ხდება.²¹

მნიშვნელოვანია აღნიშნოს საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის მიერ გამოვლენილი დარღვევა, როდესაც მონაცემთა სუბიექტის, გარკვეულ ცხელ ხაზზე, ზარის განხორციელებისას მესამე პირი ახდენდა საუბრის აუდიო ჩანერას, თუმცა, დამმუშავებელი სუბიექტს უფლებას არ უტოვებდა, უარი განეცხადებინა ჩანერაზე. ინსპექტორის აპარატმა ეს სამართლიანობის პრინციპის დარღვევად მიიჩნია.²² მონაცემთა კანონიერ და სამართლიან დამუშავებასთან ერთად, აუცილებელია, დაცული იყოს

¹⁹ Sandru D. M., *The Fairness Principle in Personal Data Processing*, *Law Review*, Vol. X, №2, 2020, 66.

²⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის №32881/04 გადაწყვეტილება საქმეზე K.H. AND OTHERS v. SLOVAKIA, პარ. 39.

²¹ იქვე, პარ. 60.

²² სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიში „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ», 75.

გამჭვირვალობის პრინციპი, რადგან თუ აღნიშნული კრიტერიუმი დარღვეულია, შესაბამისად, აზრს კარგავს სამართლიანი და კანონიერი დამუშავებაც.²³ ზოგადად, სამართალში გამჭვირვალობა გულისხმობს საჯარო დაწესებულებების მხრიდან მოქალაქისთვის მეტი ღიაობის და ინფორმირებულობის გადაცემას, ²⁴ ხოლო მონაცემთა დამუშავების პროცესში გამჭვირვალობის პრინციპი გამოიხატება, დამუშავებლის მხრიდან მონაცემთა სუბიექტისთვის მიწოდებული ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობასა და მარტივი ენით გადმოცემაში. აღნიშნული პრინციპის გავრცელების ძირითად არეალი მონაცემთა სუბიექტის მხრიდან ისეთი ინფორმაციის გაცნობაა, როგორცაა ინფორმაცია მონაცემთა რაობისა და დამუშავების მიზნების შესახებ.²⁵ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ეს პრინციპი, ასევე ითვალისწინებს, რომ მონაცემები უნდა დამუშავდეს სუბიექტის ღირსების შეუღახავად, რაც ყველა სხვა ძირითადი უფლების საფუძველია.²⁶ აღსანიშნავია, რომ მოცემული ჩანაწერი პირდაპირ კავშირშია მონაცემთა კანონიერ და სამართლიან დამუშავებასთან, რადგან ამ უკანასკნელთა დარღვევა ავტომატურად გამოიწვევს სუბიექტის ღირსების შეღახვასაც. საბოლოო ჯამში, შესაძლებელია ითქვას, რომ განხილული პრინციპები ერთგვარი მექანიზმია, რომელიც მონაცემთა დამუშავებელსა და მონაცემთა სუბიექტს შორის ურთიერთობას არეგულირებს.²⁷

²³ Centre for Information Policy Leadership GDPR Implementation Project, Recommendations for Implementing Transparency, Consent and Legitimate Interest under the GDPR, 2017, 5. <https://www.informationpolicycentre.com/uploads/5/7/1/0/57104281/cipl_recommendations_on_transparency_consent_and_legitimate_interest_under_the_gdpr_-19_may_2017-c.pdf> [10.07.2022]

²⁴ ცუხიშვილი ნ., ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება ევროკავშირის ინსტიტუტებში და ევროპის ომბუდსმენის როლი, თბილისი, 2013, 2.

²⁵ Regulation 2016/679 of the European Parliament and of the Council on the Protection of Natural Persons with Regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/ec (General Data Protection Regulation), Recital 39.

²⁶ შერმადინი ე., პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების რელიზება მიმდინარე შრომით ურთიერთობებში, თბილისი, 2020, 16.

²⁷ იქვე, 30.

III. თავდაპირველი მიზნის შეზღუდვის პრინციპი

პერსონალური მონაცემთა დამუშავების საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონიერი მიზნის პრინციპს. მონაცემთა დამუშავებისთვის კანონიერი მიზნის არსებობის პრინციპს აწესებს ევროსაბჭო, რომლის მიხედვითაც, მონაცემთა ნებისმიერი დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს ისეთ კანონიერ მიზანს, რომლისთვისაც აუცილებელი იქნება მონაცემთა დამუშავება. ევროსაბჭო მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ მიზანი, რომლის საფუძველზეც ხდება მონაცემთა დამუშავება, იყოს ლეგიტიმური და წინასწარ მკაფიოდ განსაზღვრული.²⁸ მიზნის შეზღუდვის პრინციპი, პირველ რიგში, მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, რომელიც ხელს უწყობს მთლიანი პროცესის გამჭვირვალობას,²⁹ ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული პრინციპი მონაცემთა დაცვის ერთ-ერთი საფუძველია.³⁰ აღსანიშნავია, რომ მონაცემთა დამუშავების მიზანი წინასწარ ან არაუგვიანეს მონაცემთა დამუშავების პროცესის დაწყებამდე დეტალურად იყოს განსაზღვრული.³¹ მიზნის განჭვერტადობა ემსახურება მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებულობის საკითხს, რომლის მიხედვითაც, წინასწარი მიზნის არსებობის დროს სუბიექტს უჩნდება გარკვეული მოლოდინები მონაცემთა რაობასა და დამუშავების ფარგლებზე,³² თუმცა სუბიექტის

²⁸ Regulation 2016/679 of the European Parliament and of the Council on the Protection of Natural Persons with Regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/ec (General Data Protection Regulation), Article 5.

²⁹ European Commission, Article 29 Data Protection Working Party, Opinion 03/2013 on Purpose Limitation, 2013, 11.

³⁰ Ghani N. A., Hamid S., Udzir N. I., Big Data and Data Protection: Issues with Purpose Limitation Principle, International Journal of Advances in Soft Computing and its Applications, Vol. 8, №3, 2016, 119.

³¹ Colonna L., Data Mining and Its Paradoxical Relationship to the Purpose Limitation Principle, Reloading Data Protection, edited by S. Gutwirth, R. Leenes, P. De Hert, Springer Netherlands, 2014, 303.

³² ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლუქსემბურგი, 2018, 140.

მხრიდან გონივრული მოლოდინის ფარგლები ყოველი კონკრეტული საქმის მიხედვით უნდა განისაზღვროს.³³ მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიზნის შეზღუდვის პრინციპის დარღვევად არ მიიჩნია მძღოლის ლიცენზიის მისაღებად განაცხადის დროს გადაღებული ფოტოს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების პროცესში პირის იდენტიფიკაციის მიზნით გამოყენება.³⁴ სხვა შემთხვევაში წინასწარ არსებული მიზანი მონაცემთა სუბიექტს შესაძლებლობას აძლევს, განსაზღვროს მისი უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.³⁵ მიზნის შეზღუდვის პრინციპი, ასევე, გულისხმობს იმასაც, რომ მონაცემები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული მიზნის საფუძველზე მუშავდება, არ გასცდეს თავდაპირველ მიზანს, არ დამუშავდეს სხვა შეუსაბამო, არაკანონიერი მიზნის მისაღწევად. ამასთან, ყოველი ახალი მიზნით დამუშავების დაწყებამდე აუცილებელია სუბიექტის ინფორმირება, საჭიროების შემთხვევაში კი - თანხმობის მიღება.³⁶ აღნიშნული მიდგომა ვრცელდება მაშინაც, როცა მონაცემების დამუშავება ითვალისწინებს სუბიექტისთვის სარგებლის მოტანას.³⁷ წინააღმდეგ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება ჩაითვლება არაკანონიერად. „წინასწარ განსაზღვრული მიზნის“ პრინციპის მნიშვნელობა მეტ ღირებულებას იძენს, როდესაც საქმე განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებების დამუშავებას ეხება,³⁸ რადგან აღნიშნული

³³ Grafenstein V. G., *The Principle of Purpose Limitation in Data Protection Laws. The Risk-based Approach, Principles, and Private Standards as Elements for Regulating Innovation*, Nomos, 2020, 427.

³⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება №44647/98 საქმეზე *Peck v. The United Kingdom*, პარ. II, 61.

³⁵ European Commission, Article 29 Data Protection Working Party, Opinion 03/2013 on Purpose Limitation, 2013, 15.

³⁶ Information Commissioner's Office, *Big data and data protection*, 2014, 22.

³⁷ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლუქსემბურგი, 2018, 140.

³⁸ Ghani N. A., Hamid S., Udzir N. I., *Big Data and Data Protection: Issues with Purpose Limitation Principle*, International Journal of Advances in Soft Computing and its Applications, Vol. 8, №3, 2016, 11.

მონაცემების დამუშავების მიზნები კანონმდებლობითაა განწერილი. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებელს გარკვეული ჩაკეტილი ჩარჩო აქვს და მხოლოდ ამ ჩარჩოთი განსაზღვრული ფარგლებით შეუძლია დაამუშაოს მონაცემები. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვითაც, მონაცემთა დამუშავებისას, აუცილებელია, დაცული იყოს მონაცემთა შეზღუდვის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაცემები უნდა დამუშავდეს წინასწარ განსაზღვრული მიზნისთვის და მონაცემთა სხვა ნებისმიერი დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ განსაზღვრულ მიზანს.³⁹ საქართველოს რეალობაში, სახელმწიფო ინსპექტორის დასკვნის საფუძველზე აღნიშნული მიზნის დაცვა აღმასრულებელი ხელისფულების მხრიდან პრობლემურია, რადგან საჯარო უწყებები მონაცემთა დამუშავებისას სშირად ეყრდნობიან ზოგად საკანონმდებლო ჩანაწერს: „კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით“. აღნიშნული ჩანაწერის პრობლემა ის არის, რომ იგი განსაზღვრავს კონკრეტული უწყების ფართო უფლებამოსილებას, რაც წარმოშობს მონაცემთა თავდაპირველი მიზნისგან განსხვავებულ, სხვა შეუთავსებელი მიზნით დამუშავების და პროპორციულობის პრინციპის დარღვევის საფრთხეს.

IV. მონაცემთა ნამდვილობის და სიზუსტის პრინციპი

ევროსაბჭოს 108-ე კონვენცია ძირითად პრინციპად ასევე განსაზღვრავს მონაცემთა ნამდვილობისა და სიზუსტის პრინციპს,⁴⁰ რომელიც პირდაპირ კავშირშია მონაცემთა კანონიერი მიზნისთვის დამუშავების პრინციპთან და რომლის მიხედვითაც, მონაცემები, რომლებიც მუშავდება, უნდა იყოს უტყუარი და ზუსტი, ვინაიდან არ მოხდეს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დარღვევა. აღნიშნული პრინციპი ძირითადი მამოძრავებელი ღერძია, რომლის

³⁹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „ბ“ პუნქტი.

⁴⁰ Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, European Treaty Series - No. 108, Article 5, d.

დაცვაც სხვა პრინციპების დაცვის წინაპირობაა. მონაცემთა სიზუსტის პრინციპის შინაარსი შესაძლებელია, გაგებული იქნეს ორნაირად. ერთი, როდესაც დამუშავების პროცესში მოპოვებული მონაცემები უნდა იყოს ზუსტი ანუ მონაცემთა მოძიების წყარო უნდა იყოს ლეგიტიმური და ნამდვილი და, მეორე, გარკვეული პერიოდის შემდეგ შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს მონაცემთა გადამონმება და სიზუსტის ხელახალი შეფასება.⁴¹ მონაცემთა სიზუსტის პრინციპის დაცვა უაღრესად მნიშვნელოვანია, როდესაც მონაცემები მუშავდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რადგან ერთ არასწორ მონაცემს და მის საფუძველზე განხორციელებულ სხვადასხვა საპოლიციო ღონისძიებს შეუძლია ზიანი მიაყენონ მესამე პირებს.⁴²

საქართველოს კანონმდებლობა აღნიშნულ პრინციპს უფრო ვრცლად განმარტავს ერთად. კანონი დამუშავებლებს ავალდებულებს, რომ კანონიერი საფუძვლის გარეშე მოპოვებული და მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.⁴³ მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ კანონმდებელი აღნიშნული პრინციპით დამუშავებელს ისეთ ვალდებულებას აკისრებს, როგორცაა მონაცემთა გარკვეული პერიოდულობით გადამონმება,⁴⁴ რადგან არასწორი მონაცემების დამუშავება და ძირითადი პრინციპების დარღვევა არ მოხდეს. ასევე, აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, თუ დამუშავებლის შემონმების შედეგად დადგინდა ხარვეზი მონაცემთა სიზუსტესთან და ნამდვილობასთან დაკავშირებით, დამუშავებელი ვალდებულია, გაანადგუროს აღნიშნული მონაცემები და საჭიროების შემთხვევაში მოიპოვოს განახლებული და ზუსტი მო-

⁴¹ Hallinan D., Zuiderveen Borgesius F., Opinions Can Be Incorrect (in our Opinion)! On Data Protection Law's Accuracy Principle, *International Data Privacy Law*, Vol. 10, №1, 2020, 5.

⁴² სახელმწიფო ინსპექტორის 2017 წლის ანგარიში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ“, 48.

⁴³ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

⁴⁴ ლაფანაშვილი ი., პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის სამართლებრივი მონესრიგება ქართული და ევროპული სტანდარტების მიხედვით, თბილისი, 2018, 21.

ნაცემები. მონაცემების განადგურების და წაშლის ვალდებულება ეკისრება დამმუშავებელს მაშინაც, როდესაც ცნობილი ხდება, რომ პირის შესახებ მონაცემები არაკანონიერი გზებით არის მოპოვებული ან შეუსაბამო პირვანდელ მიზანთან.

მონაცემთა სიზუსტის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატმა მნიშვნელოვანი დარღვევები გამოავლინა. მაგალითისთვის, ერთ შემთხვევაში საჯარო უწყებამ საკუთარ ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა კანონის დარღვევით ნადირობაში ექვმიტანილი პირების ფოტოები და ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა სასამართლო დადგენილება ან რამე დოკუმენტი, რაც მათ დამრღვევებად მიიჩნევდა. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმციის საფუძველზე, საქმე ეხებოდა არაზუსტი მონაცემების დამუშავებას და გამჟღავნებას.⁴⁵ მეორე შემთხვევაში გამოვლენილი დარღვევები შეეხებოდა საფინანსო სექტორში მესამე პირებისთვის სესხის გაცემის პროცესში დამუშავებულ არაზუსტ მონაცემებს.⁴⁶ მსგავსი შემთხვევებისას საზოგადოებას მონაცემთა სუბიექტის შესახებ მიენოდება არასწორი ინფორმაცია და ქმნის დისკრიმინაციის საფრთხე. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ მონაცემთა დამუშავებისას არსებითად მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების შესახებ ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაციის გამოყენება.

V. მონაცემთა შენახვის ვადიანობის პრინციპი

მონაცემთა შენახვის ვადის შეზღუდვის პრინციპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, მონაცემთა კანონიერი დამუშავების პროცესისთვის. ევროსაბჭოს კანონმდებლობის მიხედვით, მონაცემები იმ ვადით უნდა იყოს შენახული, რა ვადით დამუშავებაც საჭიროა თავდაპირველი მიზნის მისაღწევად.⁴⁷ მიზნის მიღწევის შემდეგ

⁴⁵ სახელმწიფო ინსპექტორის 2017 წლის ანგარიში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორი საქმიანობის შესახებ“, 48.

⁴⁶ სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორი საქმიანობის შესახებ, 62.

⁴⁷ Regulation 2016/679 of the European Parliament and of the Council on the

დამუშავებული მონაცემები უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შეინახოს ისეთი ფორმით, რომ მონაცემი არ იძლეოდეს პირის იდენტიფიცირების საშუალებას. მოცემულ ჩანაწერთან მიმართებაში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აქვს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქმეზე, რომელიც შეეხებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ეჭვმიტანილთა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა შენახვას საქმის დასრულების შემდეგ, როდესაც ეჭვმიტანილი თავისუფლდებოდა და ბრალი არ უმტკიცდებოდა. შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ ეჭვმიტანილთა შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შენახვა მას შემდეგ, როცა ისინი უდანაშაულოდ იქნენ ცნობილნი, იყო შენახვის პრინციპის დარღვევა, რაც თავისთავად არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს იმ კუთხით, რომ მონაცემთა შენახვასა და მისაღწევ მიზანს შორის პროპორციულობის პრინციპი დაცული არ იყო.⁴⁸

აღნიშნულ მიდგომას იზიარებს საქართველოს კანონმდებლობაც.⁴⁹ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აუცილებელია, დამმუშავებელმა მონაცემთა გარკვეული ვადით შენახვის საჭიროებას პერიოდულად გადახედოს, რათა მონაცემთა არამიზნობრივი შენახვა თავიდან იქნეს აცილებული.⁵⁰ მონაცემთა შენახვის ვადიანობის პრინციპის ფარგლებში, დამმუშავებელი ვალდებულია, მონაცემთა შენახვისთვის ყველა საჭირო ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები მიიღოს. ამის მისაღწევად კი აუცილებელია, დამმუშავებელმა

Protection of Natural Persons with Regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/Ec (General Data Protection Regulation), Article 6 (1,e).

⁴⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბერს გადაწყვეტილება N30562/04 და N30566/04 საქმეზე S. and Marper v. the United Kingdom, პარ. 125.

⁴⁹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

⁵⁰ ჩიტაშვილი ზ., ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გავლენა საჯარო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ხარისხზე, თბილისი, 2019, 57.

წინასწარ განსაზღვროს მონაცემთა შენახვის პოლიტიკა. მსგავსი პოლიტიკის არსებობა აუცილებელია, თუ ინდივიდის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება. ასევე, დამმუშავებლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია წინასწარ ცნობილი მიზნებისთვის განისაზღვროს შესაბამისი ვადები. მონაცემთა შენახვის ვალდებულების დაცვა დამოკიდებულია დამმუშავების მიზანზე, რადგან გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია, შენახული მონაცემების განახლება იყოს აკრძალული კონკრეტული ნორმის საფუძველზე და ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც მონაცემთა განახლება უაღრესად მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებაა, რომ მონაცემთა უზუსტობის გამო პირს ზიანი არ მიადგეს. აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მიერ ამ კუთხით გამოვლენილი დარღვევები, რომლებიც საჯარო უწყების მიერ არასრულწლოვანთა შესახებ სენსიტიური მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვას ეხებოდა. სახელმწიფო ინსპექტორმა აღნიშნა, რომ არასრულწლოვანთა ისეთი სენსიტიური მონაცემების ვადის განუსაზღვრელად შენახვა, რომელიც დაძველებადია და აქტუალურობას კარგავს, არასრულწლოვანთა განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ხელის შემშლელი ფაქტორია, რაც არღვევს მოცემულ პრინციპს.⁵¹ დარღვევებმა დამმუშავებელთა მხრიდან ვიდეოჩანანერების შენახვის მაქსიმალური ვადის განუსაზღვრელობის კუთხითაც იჩინათავი, რადგან დაირღვა მონაცემთა შენახვის ვადიანობის პრინციპის მოთხოვნა, რომ მიზნის მიღწევის შემდეგ მონაცემების შენახვა მოხდეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.⁵² საზგასამელია, რომ არსებობს საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის გადანყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ინსპექტორის აპარატმა მონაცემთა შენახვის ვადიანობის პრინციპის დამრღვევად ცნო

⁵¹ სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის ანგარიში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორი საქმიანობის შესახებ“, 74.

⁵² სახელმწიფო ინსპექტორის 2017 წლის ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორი საქმიანობის შესახებ, 101.

თბილისის საქალაქო სასამართლო და აღნიშნა, რომ სასამართლომ არ უზრუნველყო დასახული მიზნის მიღწევის შემდეგ მონაცემთა ისეთი ფორმით შენახვა, რომელიც შეუძლებელს გახდიდა პირის იდენტიფიცირებას.⁵³

VI. დასკვნა

განხილული პრინციპების დაუცველობამ შესაძლოა მონაცემთა სუბიექტი სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი გახადოს, აქედან გამომდინარე, თითოეული ამ პრინციპის დაცვა მნიშვნელოვანად ამცირებს მონაცემთა სუბიექტისთვის ზიანის მიყენების რისკს. განხილული პრინციპები იმ ძირითად მამოძრავებელ ღერძს ქმნიან, რომელსაც ყველა სხვა კანონისმიერი ჩანაწერი უნდა შეესაბამებოდეს.

საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის ანგარიშების მიხედვით, პრინციპების დარღვევის გარკვეული პრობლემა საქართველოში ნამდვილად არსებობს, რისთვისაც აუცილებელია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა როგორც დამუშავებლის, ისე ზემოთხსენებული სამსახურის აპარატის მხრიდან.

სამართლიანი და კანონიერი დამუშავების პრინციპის დასაცავად აუცილებელია, დამუშავებელმა იმოქმედოს კანონის ფარგლებში და მონაცემთა სუბიექტს მისცეს შესაძლებლობა, გამოიყენოს მისთვის არსებული სხვადასხვა საკანონმდებლო ბერკეტები, მონაცემთა დამუშავებამდე წინასწარ დაუპირისპიროს ერთმანეთს მონაცემთა დამუშავებით მიღებული სარგებელი და დამუშავებით მიღებული შესაძლო ზიანი, რა დროსაც უპირატესობა ნაკლებად ზიანის მომტან ქმედებას უნდა მიენიჭოს.

მიზნის შეზღუდვის პრინციპის დაცვა ისევ და ისევ სამართლიანი დამუშავების წინაპირობაა. საქართველოში ძირითადი დარღვევა

⁵³ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 28 თებერვლის №გ-1/103/2017 გადაწყვეტილება მ.დ.-ს განცხადების განხილვის დასრულების შესახებ, 6.

აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებში გამოვლინდა, როდესაც მონაცემები ზოგადი საკანონმდებლო ჩანაწერის საფუძველზე, მიზნის დაკონკრეტების გარეშე მუშავდება და სახელისუფლებო უწყებებს ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს. აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილებისთვის საჭიროა, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, ნებისმიერ ქმედებას წინ უძღოდეს ნორმატიულ დონეზე მკაფოდ განსაზღვრული მიზნები.

ნამდვილობის და სიზუსტის პრინციპის დაცვა მონაცემთა დამუშავებისთვის სხვა პროცედურების დაშვებას და ლეგიტიმურობის მინიჭებას გულისხმობს. გამომდინარე აქედან, აუცილებელია ამ პრინციპის ზედმინვენით დაცვა, რისთვისაც მნიშვნელოვანია, ცნობიერების ამაღლებით და საკითხის უკეთ შესწავლით, მონაცემთა დამუშავებლებმა გაითავისონ ამ პრინციპის არსი. ეს ხელს შეუწყობს როგორც მონაცემთა მიმართ განხორციელებული ქმედებების ლეგიტიმურობას, ისე მონაცემთა სუბიექტის დაცულობას, ამასთანავე, თავიდან იქნება აცილებული მატერიალური და მორალური ზიანი. ნამდვილობის და სიზუსტის პრინციპის ორივე შინაარსის დაცვისთვის აუცილებელია, მონაცემთა დამუშავებელმა, გარკვეული პერიოდულობით გადაამოწმოს მის ხელთ არსებული მონაცემები. ასევე მნიშვნელოვანია, მონაცემთა სიზუსტე, ნამდვილობა და შენახვის ვადა შესაბამისი ფორმით დამუშავებლის გარდა გარკვეული პერიოდულობის დაცვითა და შერჩევითი პრინციპით გადაამოწმოს აღნიშნულ სფეროზე საზედამხედველო ფუნქციების გამმახორციელებელმა ორგანომ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი იყოს, გამოიყენოს გარკვეული სანქციები.

რაც შეეხება მონაცემთა ვადიანობის პრინციპს, მასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად აუცილებელია დამუშავებელმა ნებისმიერი შიდა დოკუმენტით განსაზღვროს კონკრეტული მონაცემების ვადები, რომელთა გასვლის შემდეგაც ისინი უნდა განადგურდეს ან შეინახოს ისე, რომ არ იძლეოდეს მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების საშუალებას.

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების კანონიერი დამუშავებისთვის, კანონით განსაზღვრული პრინციპები სწორედ რომ სამართლიანი და კანონიერი დამუშავებისკენაა მიმართული. კანონმდებლობაში არსებული ნორმები, რომლებიც გარკვეულ უფლებებს და ვალდებულებებს უწესებს როგორც მონაცემთა სუბიექტს ისე დამმუშავებელს, ხელს უწყობს მონაცემთა უსამართლო დამუშავების პრევენციას, მის შედეგად დარღვეული უფლების გამოსწორებას და ძირითადად, მიმართულია მონაცემთა სუბიექტის დაცვისკენ, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპს. თუმცა, კანონმდებლობით განერილი ნორმები და, მითუმეტეს, ძირითადი პრინციპები არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. ამისთვის აუციელებელია, სახელმწიფო ინსპექტორმა პრინციპების დაცვაზე დაანესოს მკაცრი კონტროლი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მნიშვნელოვანი და სამართლიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

მთავრობის საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების ფარგლები პანდემიისას

I. შესავალი

ძალაუფლების გამიჯვნის იდეა ერთ-ერთი ქვაკუთხედაა თანამედროვე საზოგადოებისთვის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა.¹ სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი, ხელისუფლების შტოები არ ჩაერიონ ერთმანეთის კომპეტენციებში და ერთმანეთის უფლებამოსილებები არ შეითავსონ. თუმცა დღევანდელ რეალობაში, პანდემიასთან ბრძოლის პირობებში, აღმასრულებელი ხელისუფლების განუსაზღვრელი საკანონმდებლო უფლებამოსილებებით აღჭურვამ, განსაკუთრებით კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებამ, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო მთავრობისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილებების დელეგირების საკითხი პანდემიის პირობებში, აღნიშნულ იდეას საფრთხე შეუქმნა.²

კოვიდ-პანდემიის დაწყებიდან თითქმის ორი წლის შემდეგაც პანდემიასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებების ძიება თანამედროვე მსოფლიოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ამ შემთხვევაში უმთავრესი როლი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ეფექტურ მუშაობას აკისრია. ამ კონტექსტში სახე-

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი.

¹ Vile M.J.C., *Constitutionalism and Separation of Powers*, London, 2012, 223.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები: პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, III-1.

ლისუფლებო შტოებს შორის ბალანსის მიღწევა უმთავრესია. საკითხისადმი ინტერესი და კვლევის აქტუალობა განაპირობა როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში გაუმართლებელმა ჩარევამ, ისე მასთან დაკავშირებულმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომელმაც ადამიანის უფლებებში ჩარევის კომპეტენციის აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დელეგირება კონსტიტუციურად მიიჩნია და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მთავრობის მიერ ფუნდამენტურ უფლებათა შეზღუდვა პარლამენტის მიერ ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების უგულებელყოფად არ შეაფასა.

„არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება ჯეროვანი პროცედურების გარეშე.“³ სწორედ ამ ჯეროვანი პროცედურების დეტალურად გათვალისწინება ევალეზა სახელმწიფოს, როცა ერევა ადამიანის ძირითად უფლებებში. სახელმწიფოს უმთავრესი ღირებულება, მთავრი სამიზნე არის ადამიანი და მისი უფლებების დაცვა. მოცემულ შემთხვევაში კი საფრთხე ექმნება ამ უმთავრეს ღირებულებას. იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კანონშემოქმედებითი პროცესის ზედამხედველია, იგი აქტიურ როლს თამაშობს ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების გამიჯვრით ბალანსის მიღწევაში.⁴ მისი უმთავრესი კომპეტენცია სწორედ სახელისუფლებო შტოებს შორის ძალაუფლების გამიჯვნა და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიის ფუნქციის შეთავსებაა.⁵

კვლევის მიზანია, გამოკვეთოს ის საფრთხეები, რომლებიც, ერთი მხრივ, მთავრობისთვის დაუსაბუთებელი საკანონმდებლო უფლებამოსილებების მინიჭებაში გამოიხატა, მეორე მხრივ კი,

³ აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 შესწორება.

⁴ გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, ჭანტურია 55, 2018, 19.

⁵ Javakhishvili P., Constitutional Court of Georgia and De Facto Real Control, in *Journal of Law*, N1, 2017, 265, იხ., აგრეთვე, ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 54.

გაანალიზოს და შეაფასოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება; გამოკვეთოს ის სამომავლო საფრთხეები, რომლებიც, შესაძლოა, ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვიოს; შეიმუშაოს ის ლოგიკური რეკომენდაციები, რომლებიც საპარლამენტო კონტროლის მექანიზმს უფრო ქმედითს გახდის; შეაფასოს ის უხილავი და ძალიან ვიწრო ზღვარი, რომელიც პოლიტიკასა და სამართალს შორის გადის; იმსჯელოს მოსამართლის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე, რომ ნორმის ინტერპრეტირებისას არ გადაიჭრას პოლიტიკაში - მაქსიმალურად შეინარჩუნოს სამართლებრივი ჩარჩოები და შეიმუშაოს რაციონალური რეკომენდაციები, რომლებიც საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ნორმის ინტერპრეტირებას ეფექტურს გახდის.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგია, მათ შორის, გამოყენებულია კვლევის დესკრიფციული და ანალიტიკური მეთოდები, რითაც გაანალიზებული და შეფასებულია საქართველოს რეალობაში არსებული საპარლამენტო კონტროლი და პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციები. კვლევის ეს მეთოდოლოგიები გამოყენებულია კვლევის ეფექტური მიზნის მისაღწევად.

II. მთავრობის „საკანონმდებლო“ უფლებამოსილებები, დელეგირების არსი, მიზნები და რისკები

საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება უძველესი კონცეფციაა, უფრო ძველი, ვიდრე კონსტიტუცია და კიდევ უფრო ძველი, ვიდრე ძალაუფლების გამიჯვნა.⁶ ლოკი უფრო ხისტად და მკაცრად უყურებდა საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების საკითხებს და იმ აზრს განამტკიცებდა, რომ საკანონმდებლო ორგანო მაღალი ლეგიტიმაციით სარგებლობს, რადგანაც, ხალხის მიერაა არჩეული და უშუალოდ მათ მიანიჭეს საკანონმდებლო

⁶ Aranson P. H., Gellhorn E., Robinson O. G., A Theory of Legislative Delegation, Vol. 68.1, Cornell Law Review, 1982-83, 4.

უფლებამოსილება. სწორედ ამ გარემოებაზე აპელირებით იგი მიზანშეწონილად არ მიიჩნევა საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირებას. ამდენად, მისი უკომპრომისო თეორია ძალიან ჰგავს ძალაუფლების გამიჯვნის ავთენტურ ფორმულირებას.⁷

საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირება სხვა არაფერია თუ არა კვაზისაკანონმდებლო ორგანოს შექმნა აღმასრულებელი ხელისუფლების სახით, რა დროსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება თანხმდება, რომ გარკვეულნილად, ერთნაირი უფლებამოსილებები განახორციელონ, თუმცა მხოლოდ გარკვეულ საკითხებზე, ისიც მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში.⁸ „დელეგირებული კანონშემოქმედების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აზრი ისაა, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით, რეგულირების ამოცანების შესრულებაში ჩართული იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური შესაძლებლობანი და მისი სპეციალიზირებული ცოდნა.“⁹ იმის მიუხედავად, რომ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირების ბუნება, ძალაუფლების კონცენტრაციის, მისი გამიჯვნის საკითხები, კვლავაც აქტუალურია.¹⁰ როგორც აშშ-ის კონსტიტუციის დამფუძნებლებს სწამდათ, ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის მსგავსად, უფლებამოსილების დელეგირების საკითხიც საკმაოდ ბუნდოვანია. ორი საუკუნის შემდეგაც კი კვლავ საეჭვოდ რჩება კონგრესის მიერ საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირების საკითხი მთავრობასა თუ პრეზიდენტზე.¹¹

⁷ იქვე.

⁸ Schoenbrod D., Separation of the Powers That Be: The Constitutional Purposes of the Delegation Doctrine, American University Law Review, vol.36, no.2, 1987, 387.

⁹ კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 270.

¹⁰ Sarvis R.C., Legislative Delegation and Two Conceptions of The Legislative Power, Pierce Law Review, vol.4, no.2, 2006, 346.

¹¹ Bogdan I., Legislative Delegation, the Erosion of Normative Limits in Modern Constitutionalism, Heidelberg, 2012, 7.

დემოკრატიულ საზოგადოებაში დღესაც ხშირად ჩნდება კითხვები საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირებასთან დაკავშირებით, რადგანაც ეს ცალსახად კანონშემოქმედი ორგანოს კომპეტენციაა.¹² იმის მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით, მთავრობისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება იწვევს ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის დარღვევას - მის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციას,¹³ მთელ რიგ შემთხვევებში აუცილებელიც კი არის საკანონმდებლო პროცესების ტექნიკური საკითხებისგან დაცლა, განტვირთვა.¹⁴ ეს პროცესი კი, ცხადია, საჭიროებს ლეგიტიმაციას.¹⁵ დელეგირების საფუძველზე გადაცემულ უფლებამოსილებებს, რომლებიც არ გამომდინარეობს ხალხის ნებიდან, ლეგიტიმაცია არ აქვთ,¹⁶ რადგანაც სახელმწიფო ხელისუფლების წყარო არის ხალხი.¹⁷ აღსანიშნავია, რომ კანონშემოქმედება იმდენად მოცულობითი და საზოგადოების განვითარებასთან ერთად ცვალებადი და დინამიკური პროცესია, რომ საკანონმდებლო ორ-

¹² იქვე.

¹³ ლოლაძე ბ., ძირითადი უფლებების შეზღუდვის დელეგირების სტანდარტები და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა COVID 19 – ის პირობებში, ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ 19-ის პანდემია, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 112. შეად. F. E. Schnapp (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: I. v. Münch (Begr.), Ph. Kunig (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6. Neu bearbeitete Auflage, München, 2012, Rn. 56; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 197.

¹⁴ კილასონია ნ., ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის მონაწილეობის არაფორმალური და ფორმალური პროცედურები და მათი სასამართლო კონტროლი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016, 9, შეად. Pünder H., Democratic Legitimation of Delegated Legislation-A comparative View on the American, British and German Law, Cambridge Journals, International Comparative Law Quarterly, no. 58(2), 2009.

¹⁵ კილასონია ნ., ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის მონაწილეობის არაფორმალური და ფორმალური პროცედურები და მათი სასამართლო კონტროლი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016, 9.

¹⁶ ლოლაძე ბ., ძირითადი უფლებების შეზღუდვის დელეგირების სტანდარტები და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა COVID 19-ის პირობებში, ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ 19-ის პანდემია, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 116.

¹⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

განოს სრული დატვირთვის პირობებშიც კი, ფაქტობრივად, დელეგირების გარეშე სახელმწიფოს მართვა შეუძლებელი იქნებოდა.¹⁸ რა თქმა უნდა, კანონმდებელი ვალდებულია, ძირითადი საკითხები თვითონ მოაწესრიგოს და მხოლოდ უმნიშვნელო საკითხების მონესრიგების პრეროგატივა დაუტოვოს აღმასრულებელ ხელისუფლებას.¹⁹ დელეგირების მიზანი უფრო მეტად პრაქტიკული და ტექნიკური საკითხებისგან საკანონმდებლო ორგანოს განტვირთვაა. სხვაგვარად საკანონმდებლო ორგანოს, როგორც ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს სრულფასოვანი ფუნქციონირება, წარმოუდგენელი და, ფაქტობრივად, შეუძლებელიც იქნებოდა.

ამდენად, საქართვეოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია, შეფასდეს, პარლამენტი კონკრეტულად რომელი საკითხის მონესრიგების უფლებამოსილებას ანიჭებს აღმასრულებელ ორგანოს. მაშინ, როცა საქმე ეხება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს, მას განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება მართებს, ხომ არ ახდენს საკუთარი, ექსკლუზიური, საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებების დელეგირებას სხვა სახელმწიფო ორგანოზე, ხომ არ არღვევს კონსტიტუციით მინიჭებულ ვალდებულებას და უპასუხისმგებლობის ან საკუთარ უფლებამოსილებათა სათანადოდ გაუაზრებლობის გამო უარს ხომ არ ამბობს იმ უფლებამოსილებათა განხორციელებაზე, რომლებიც მხოლოდ მის კომპეტენციას განეკუთვნება და, ამ მხრივ, ხომ არ ასუსტებს პარლამენტის, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს, ფუნქციას, როლს. ამდენად, ფარგლებს გადაცილებულმა დელეგირების პროცესმა, საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა სათანადოდ გაუაზრებლობამ და უგულვებლყოფამ, საბოლოოდ, შეი-

¹⁸ შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 10.

¹⁹ კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, 270.

ძლება სახელმწიფო ინსტიტუტების უუნარობის, სისუსტისა და მათ ნგრევამდე, ჩამოშლამდე მიიყვანოს სახელმწიფო. სწორედ ამისგან თავის დაღწევის ეფექტური გზა საკუთარი კომპეტენციების მკაფიოდ გააზრებაა, რაც უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ხელისუფლების არც ერთმა შტომ მეორეს იმგვარი დისკრეცია არ უნდა მიანიჭოს, რომ გაუმიჯნავმა კომპეტენციებმა დემოკრატიული ღირებულებები საფრთხის ქვეშ დააყენოს. მოცემულ შემთხვევაში, პარლამენტმა ცალსახად მოიხსნა საკუთარი უფლებამოსილება და ადამიანის უფლებებში ჩარევა ისეთ ორგანოს მიანდო, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა. თანაც, აღნიშნული განხორციელდა იმგვარი დარღვევით, რომ ადამიანის უფლებები შეიზღუდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე, მაშინ, როცა ადამიანის უფლებები მხოლოდ დეკრეტის საფუძველზე შეიძლება შეიზღუდოს, რომელიც ორგანული კანონის ძალის მქონე საკანონმდებლო აქტია.²⁰

საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირებას, შესაძლოა, თან ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის დარღვევაც მოჰყვეს, თუკი კანონმდებელი იმ მიზანს აუვლის გვერდს, რისთვისაც კონსტიტუციონალიზმში არსებობს დელეგირების დოქტრინა. ამ მექანიზმის უპირველესი დანიშნულება საკანონმდებლო ორგანოს ტექნიკური საკითხებისგან განტვირთვაა. მის არასწორად გამოყენებას კი შეუძლია სახელმწიფო ძალაუფლების გამიჯვნის დარღვევის საფრთხემდე მიიყვანოს.²¹

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეალობისთვის ძალაუფლების გამიჯვნის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა, რაც უკანასკნელი საკონსტიტუციო რეფორმის ჩათვლით განხორციელებულ საკონსტიტუციო რეფორმებშიც გამოიხატა,²² რომელიც ცხადყოფს, რომ შტოთა შორის ბალანსის მიღ-

²⁰ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

²¹ Appleby G., Howe J., *Scrutinising Parliament's Scrutiny of Delegated Legislative Power*, Oxford University, *Commonwealth Law Journal*, 15:1, 3-40, 2015, 4.

²² შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, დ. გვეგნავას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 21.

ნევა საქართველოს რეალობის მუდმივი პრობლემაა, რაც, ასევე, საბჭოთა კავშირის მძიმე მემკვიდრეობის შედეგია.²³ ამიტომაც, საკმაოდ დიდი სიფრთხილეა საჭირო როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან, რომ დელეგირების პროცესში არ მოხდეს უფლებამოსილებათა აღრევა და ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის უხეში დარღვევა. „ხელისუფლების მიზანი ხომ სამართლიანობის დამკვიდრებაა“.²⁴ სწორედ ამიტომ, მისთვის უცხო და მიუღებელიც უნდა იყოს ძალაუფლების უზურპაციისკენ სწრაფვა. კანონშემოქმედი ორგანო, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის უმაღლესი ლეგიტიმაციით სარგებლობს - არჩეულია ხალხის მიერ, ხალხმა კი კანონშემოქმედების უფლებამოსილება მიანდო, ესე იგი, ფუნდამენტური პრინციპები სწორედ მან უნდა მოანსერიგოს საკანონმდებლო დონეზე, მთავრობამ კი მხოლოდ აღმასრულებელი მექანიზმები შემოიღოს. თუკი პარლამენტი უარს იტყვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებაზე, - განახორციელოს საკანონმდებლო უფლებამოსილება და სათანადო განსჯისა და შეფასების გარეშე, მოიხსნის ამ უფლებამოსილებას და მას მთლიანად აღმასრულებელ ხელისუფლებას გადაანდობს, ცხადია, ეს საკანონმდებლო ორგანოს არაკომპეტენტურობაზე, უპასუხისმგებლობასა და დემოკრატიული პრინციპების სათანადოდ გაუაზრებლობაზე მეტყველებს. მით უმეტეს, თუ ეს ეხება ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებს, სახელმწიფოს ყველაზე ღირებულ და უპირველეს მიზანს - ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ამდენად, კანონმდებელი ვალდებულია, ფუძემდებლურ პრინციპებსა და საკითხებთან მიმართებით აღმასრულებელი ხელისუფლება გამოიყენოს მხოლოდ დამხმარის როლში და არც ერთ შემთხვევაში ძირითადი საკითხების უკონტროლოდ რეგულირება მას არ გადაანდოს.

²³ გეგენავა დ., ძალაუფლების გამიჯვნის ქართული მოდელის პრობლემა, სახელმწიფო მმართველობის მოდელები: საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილე და პერსპექტივა, თბილისი, 2016, 1.

²⁴ Madison J., *The Federalist*, no 51, 1788.

III. საპარლამენტო კონტროლის მოშლის საფრთხე

ძალაუფლების გამიჯვნის თანამედროვე დოქტრინა არ გულისხმობს ხელისუფლების შტოების იზოლირებულ თანაარსებობას, რადგან ხელისუფლება ერთიანი და განუყოფელია. სხვაგვარად, ამ სამი შტოს ერთმანეთისგან სრულად იზოლირებამ შეიძლება სახელმწიფო სამართლებრივ ჩიხში შეიყვანოს.²⁵ მნიშვნელოვანია, სახელისუფლებო შტოებს ჰქონდეთ ურთიერთკონტროლის შესაძლებლობა, რომ კონკრეტული პირის ხელში მთელი ძალაუფლების უზურპაცია არ გამოიწვიოს.²⁶ მონტესკიემ, სხვა მოაზროვნეებისგან განსხვავებით, პირველმა მიუთითა, რომ ძალაუფლების გამიჯვნის თეორია, თავის თავში, ძალაუფლების დანაწილებასთან (*distribution des pouvoirs*) ერთად იტევს ურთიერთშეკავებასა (*le pouvoir arête le pouvoir*) და ხელისუფლების ერთიანობას (*reunion des pouvoirs*).²⁷ მიუხედავად იმისა, რომ მონტესკიე ძალაუფლების გამიჯვნის იდეის ერთგული იყო, მისთვის გასაგებიც იყო, რომ მკვეთრი და ხისტი გამიჯვნა არაეფექტური იქნებოდა. თავდაპირველად, მონტესკიესეული მიდგომა, რომ „ძალაუფლება ძალაუფლებას უნდა აოკებდეს“, მოგვიანებით კი მედისონისეული შეკავება-განონანსორების პრინციპი უკვე საპარლამენტო კონტროლში აისახა.²⁸ იმისათვის, რომ სახელმწიფო ორგანოები ეფექტურად ფუნქციონირებდნენ, აუცილებელია, მათ ერთმანეთის შეფასების, შემონმების შესაძლებლობა ჰქონდეთ. საპარლამენტო კონტროლის ამოცანაც სწორედ ესაა, პარლამენტს მიეცეს შესაძლებლობა, შეაფასოს მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობა,

²⁵ Barnett H., *Constitutional and Administrative Law*, 4th Ed., Cavendish Publishing, 2013, 70.

²⁶ შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 21.

²⁷ კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2005, 196.

²⁸ მაჭარაძე ზ., მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკალმერალურ პარლამენტში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2017, 35.

ფაქტობრივი მდგომარეობა.²⁹ შეიძლება ითქვას, რომ საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებას მოდუნების საშუალებას არ აძლევს, აიძულებს მუდმივ ტონუსში იყოს, რათა მისი საქმიანობა უკონტროლო არ გახდეს.

პანდემიამ, ფაქტობრივად, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოს შორის ურთიერთობაში სრული კრიზისი გამოიწვია. შეიძლება ითქვას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საკანონმდებლო ორგანოს მარგინალიზება მოახდინა.³⁰ ამ პერიოდში პარლამენტის მიერ საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება დემოკრატიულ ღირებულებებსა და პრინციპებს საფრთხის ქვეშ აყენებს. იმ პირობებში, როცა ერთ პარტიას პარლამენტში თითქმის საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, როცა 150 დეპუტატიდან 90-ზე მეტი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია³¹ და როცა ამგვარი საკანონმდებლო ორგანო საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირებასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას იღებს, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ზუსტად ამ დროს ჩნდება ძალაუფლების უზურპაციის საფრთხე და საპარლამენტო ღირებულებების გაუფასურება, მათ შორის, საპარლამენტო კონტროლისაც. თუკი ასეთ დროს ამ გადაწყვეტილების გაკონტროლების რეალური, ეფექტური მექანიზმი არ არსებობს, საპარლამენტო კონტროლი საფრთხის წინაშე დგება. მაშინ, როცა პასუხისმგებლობა დემოკრატიის განმსაზღვრელი პრინციპია, როცა სახელისუფლებო შტოები ერთმანეთის წინაშე არიან ანგარიშვალდებული.³²

²⁹ იქვე, შეად. მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა და პერსპექტივა, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი სერია, მეოთხე წიგნი, თბილისი, 1996, 5.

³⁰ Griglio E., Parliamentary oversight under the Covid-19 emergency: striving against executive dominance, The Theory and Practice of Legislation, no. 8:1-2, 2020. <<https://cutt.ly/EQQgkeH> > [12.12.2021].

³¹ <<https://parliament.ge/parliament-members.>> [15.04.2022]

³² Bradley A. W., Ewing K. D., Constitutional and Administrative Law, London, 2007, 107.

უკონტროლოდ და განუსაზღვრელი ფარგლებით დელეგირებულმა უფლებამოსილებებმა, რომლებიც არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი კუთხითაც, ცალსახად, საკანონმდებლო ორგანოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, შესაძლოა საპარლამენტო კონტროლის ინსტიტუტს საფრთხე შეუქმნას. რეალურად, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის დანიშნულება მთავრობის საქმიანობაზე ზედამხედველობაა, რათა თავიდან იყოს არიდებული მთავრობის უკანონო და ანტიკონსტიტუციური ქმედებები. პამდემიის პირობებში საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების საკითხის გაანალიზებისას ჩნდება კითხვა, ხომ არ არსებობს საპარლამენტო კონტროლის მოშლის საფრთხე? თუკი ანგარიშვალდებულ ორგანოს იმავე უფლებამოსილებებით აღვჭურავთ და საკანონმდებლო სივრცეში იმავე დოზით შეჭრის უფლებამოსილებას მივცემთ, რაც საკანონმდებლო ორგანოს აქვს, ამან შეიძლება როგორც საპარლამენტო კონტროლს, ისე ზოგადად, პარლამენტის არსებობას საფრთხე შეუქმნას და აზრი დაუკარგოს. ფაქტობრივად, პარლამენტმა, შესაძლოა, აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებანი საკუთარს გაუთანაბროს. სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია, არსებობდეს მუდმივი ანგარიშგების ქმედითი, რეალური, ეფექტური მექანიზმი, რომლის შემთხვევაშიც, ყოველთვის უნდა, ან ყოველ ორ თვეში ერთხელ აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებული იყოს, შეიმუშაოს ანგარიში და წარუდგინოს პარლამენტს, რაც საკანონმდებლო ორგანოს საშუალებას მისცემს, თავიდან აიცილოს ადამიანის უფლებათა დაუსაბუთებელი და უკანონო შეზღუდვები. მნიშვნელოვანია, მის ხელში არსებობდეს რეალური კონტროლის მექანიზმი და აღჭურვილი იყოს ისეთი ფუძემდებლური პრინციპებით, როგორებიცაა პოლიტიკური პლურალიზმი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული მთავრობა.

IV. პანდემიის პირობებში დელეგირების ლეგიტიმური საჯარო მიზანი

პანდემიის დაწყებასთან ერთად, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, საგანგებო მდგომარეობა არაერთ სახელმწიფოში გამოცხადდა. ამ მხრივ არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი. საგანგებო მდგომარეობა, თავისი არსით, ამ მდგომარეობის არსებობის განმავლობაში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას გულისხმობს. სახელმწიფოები ვალდებული არიან სიფრთხილით მოეკიდონ ამგვარი რეჟიმის გამოცხადებას და განუხრელად დაიცვან კანონიერების პრინციპი, პატივი სცენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.³³

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების კონკრეტულ საფუძვლებს, თუმცა ნორმატიული რეალობა რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების სპეციფიკასა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან მიმართებით არასრულყოფილი, ბუნდოვანი და განუჭვრეტელია, ამაზე მეტყველებს ის ხარვეზები, რომლებიც პანდემიის პირობებში გამოვლინდა.³⁴

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესაძლებლობას, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან საკუთარ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, ბუნდოვანია, რაც გარკვეულწილად, რისკის ქვეშ აყენებს ფუნდამენტურ უფლებებს. აღნიშნული ჩანაწერი აჩენს იმის მნიშვნელოვან რისკებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ბოროტად გამოიყენებენ მსგავს ბუნდოვან ჩანაწერს.

³³ საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული, CDL-PI(2020)003, სტრასბურგი, 2020, 33.

³⁴ კაპანაძე მ., პანდემიასთან ბრძოლის მიზნით საქართველოში დაწესებული პასუხისმგებლობის ზომების კონსტიტუციურობა, ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ 19-ის პანდემია, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 20-22.

შესაძლოა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიუთითონ, რომ საკუთარ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას არიან მოკლებული და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით დაუსაბუთებლად შეზღუდონ ძირითადი უფლებები. ამდენად, იმის დაკონკრეტება, თუ რას გულისხმობს იმგვარი მდგომარეობა, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ნორმალურად ვერ ახორციელებენ საკუთარ უფლებამოსილებებს, მეტ სიცხადეს შეძენდა მითითებულ ჩანაწერს. უმჯობესია, პირობების დაკონკრეტება, ომის, სტიქიური უბედურებებისა და ეპიდემიების შემთხვევები, რაც რეალურად აფერხებს ხელისუფლების ორგანოებს, რომ ნორმალურად განახორციელონ საკუთარი უფლებამოსილებები. სახელმწიფოს მხრიდან უფლებებში ჩარევისთვის რომ მალალი სტანდარტია დაწესებული, ამაზე მეტყველებს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, რომელიც საკანონმდებლო აქტების იერარქიაში ორგანული კანონის ძალის მქონე აქტია. დეკრეტის სამართლებრივი ბუნება კი გამოიხატება იმით, რომ ერთადერთი სპეციალური სუბიექტი, რომელსაც შეუძლია გამოსცეს დეკრეტი და წარადგინოს პარლამენტში, არის პრეზიდენტი და მოქმედებს მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის არსებობის პერიოდში. პრეზიდენტის დეკრეტის ძალის დაკარგვა კი შედეგად იწვევს საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას.³⁵

V. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება დელეგირებულ უფლებამოსილებებზე

საქართველოში პანდემიის პირობებში 2020 წლის 22 მარტის დეკრეტით დამტკიცდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ორი თვის ვადით მოქმედებდა.

³⁵ კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2005, 302.

საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციურობის საკითხი გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც არ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო სარჩელი და დელეგირების პროცესიც კონსტიტუციურად მიიჩნია,³⁶ იქიდან გამომდინარე, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევისა და კონსტიტუციის დარღვევის საფრთხეები არსებობს, ბალანსის მისაღწევად არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ვალდებულია, აღმოფხვრას კონსტიტუციის დარღვევის ფაქტები მაშინ, როცა საკანონმდებლო ორგანო კანონშემოქმედების პროცესში ცალსახად ანტიკონსტიტუციურ ნორმას ქმნის.³⁷

1. იზოლაცია - თავისუფლების შეზღუდვა თუ მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევა

გადაწყვეტილების განხილვისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია იმის განსაზღვრა, თუ რომელ უფლებაში ჩარევად მიიჩნევა იზოლაცია - მიმოსვლის თავისუფლებაში თუ თავისუფლების უფლებაში. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით ერთმანეთისგან გაიმიჯნა კარანტინისა და იზოლაციის ცნებები. იზოლაცია გამოიყენება დაავადებულ პირთან დაკავშირებით, საკარანტინო ღონისძიებები კი დაავადებულთან შემხებლობაში მყოფი პირის შემთხვევაში.³⁸ „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მა-

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,152 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები: პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი.

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-82.

³⁸ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტები.

ისის N322-ე დადგენილების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, გასაჩივრებული ნორმა ითვალისწინებს ახალი კორონავირუსით ინფიცირებულ პირთან კონტაქტისას, პირის განცალკევებას სოციუმისგან, მის განცალკევებულ სივრცეში ჩაკეტვასა და ამ სივრცის დატოვების შეუძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მითითებულ გადაწყვეტილებაში პირის იზოლაცია და მისი კარანტინში მოთავსება მიმოსვლის თავისუფლებაში ჩარევას მიაკუთვნა, ნაცვლად იმისა, რომ ნორმა უფრო ფართოდ განემარტა და თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში მოექცია. აღნიშნულის შესაფასებლად კი რელევანტურია საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მოხმობა.

იქიდან გამომდინარე, რომ თავისუფლების უფლება მოიცავს პირის ფიზიკურ თავისუფლებას, ნებისმიერი სახის თავსუფლების შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის ქრილში უნდა იყოს განხილული. იმის მიუხედავად, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქმეთა უმეტესობა ამავე მუხლთან დაკავშირებით პირის დაკავება-დაპატიმრებასთან მიმართებით აქვს განხილული, სასამართლო მაინც ფართოდ განმარტავს თავისუფლების უფლების ცნებას.³⁹ ეს ფაქტიც მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ ვინრო განმარტებით, პირიქით, მაქსიმალურად უნდა გააფართოოს თავისუფლების უფლების შინაარსი, რათა არ დაკნინდეს ამ უფლების არსი. სასამართლოს ნამდვილად ევალეზობდა მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას თავისუფლების უფლების უფრო ფართო მნიშვნელობით განმარტება და არამხოლოდ სისხლისსამართლებრივი კონტექსტით შემოსაზღვრა.

მოსამართლე, საქმის გადაწყვეტისას, მუდმივად უნდა ცდილობდეს ყოველი ნორმის მაქსიმალურად ფართოდ განმარტებას და ისე ინტერპრეტირებას, რომ პრიორიტეტი ყოველთვის ადამიანის

³⁹ Harris D., O'Boyle M., Bates E., Backley C., Law of the European Convention on Human Right, third edition, Oxford, 2014, 288.

უფლებების დაცვას მიანიჭოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე იურიდიული აზროვნების ერთ-ერთ ყველაზე უფრო პროგრესულ მიმართულებად სამართლებრივი რეალიზმი შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც საქმის გადაწყვეტისას მოსამართლეს მეტ თავისუფლებას ანიჭებს. სამართლებრივი რეალისტები იზიარებენ მოსაზრებას, რომ კანონი რეალობასთან მჭიდრო კავშირში აღარაა.⁴⁰ ფილოსოფოსები და სამართლის მეცნიერები დიდი ხანია კამათობენ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო გადაწყვეტილებების შეთავსება დემოკრატიულ იდეალებთან. ეს საკითხი კი მწვავედ განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა საქმე იმგვარ ნორმებს ეხება, რომელთა განმარტებაც მთლიანად მოსამართლის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული, როცა არა მხოლოდ ნორმის კონსტიტუციურობას, არამედ ნორმის გამოყენების კონსტიტუციურობას ამონებს.⁴¹ ამ დროს ნორმის განმარტებისას მოსამართლე უნდა გასცდეს გარკვეულ სტერეოტიპებსა და საზღვრებს და „გონების თვალით“ განჭვრიტოს თითოეული შემთხვევა, რადგანაც იგი საქმის განხილვისას ნორმის განმმარტებლად გვევლინება. მართალია, მოსამართლე ნორმათშემოქმედი არ არის, ის მხოლოდ ნორმის ინტერპრეტირებას ახდენს, თუმცა არის შემთხვევები, როცა კონკრეტული ნორმა იმდენად ბუნდოვანია, ან იმდენად ახალია, რომ მხოლოდ ანალოგიის პრინციპის გამოყენებაც არაა საკმარისი. ასეთ დროს მოსამართლეები ერთგვარი კანონმდებლებივით იქცევიან, როცა ნორმის ინტერპრეტირებისას „კანონმდებლები“ თავად ხდებიან.⁴²

⁴⁰ Bodansky D., *Legal Realism and Its Discontents*, *Leiden Journal of International Law*, Arizona, 2015, 271.

⁴¹ Dworkin R., *Hard Cases*, *Harvard Law Review*, The Harvard Law Review Association, 1975, 1057.

⁴² იქვე, 1059. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლად ქცევა ერთგვარი ფიქციაა. წარმოუდგენელია, მოსამართლემ საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები შეითავსოს, მხოლოდ, ნორმის განმარტებისას იყენებს იმგვარ მეთოდს, რომ საკუთარ თავს უფლებას აძლევს, მეტი უფლებამოსილებით აღიჭურვოს, თუმცა მხოლოდ ადამიანის უფლების დაცვის პრიორიტეტის გათვალისწინებით.

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით, საერთო სამართლის ქვეყნებში მოსამართლე თავისუფალია სტერეოტიპებისგან და შეუძლია ერთგვარად კანონმდებლის როლშიც კი მოგვევლინოს. თუმცა ამ შემთხვევაში მას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს, რომ პოლიტიკაში არ გადაიჭრას და სამოსამართლო თვითშეზღუდვისა და ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპებს ჩრდილი არ მიაყენოს.

ეს პრინციპი ცნობილია სამოსამართლო თვითშეზღუდვის პრინციპის სახელწოდებით (*judicial self-restraint*) და მოსამართლეებს მაქსიმალურად სამართლებრივი ჩარჩოების შენარჩუნებისკენ მოუწოდებს. უძველესი ხანიდან მოყოლებული, ხშირად ფიგურირებს სამოსამართლო თვითშეზღუდვის პრინციპი, რომელიც, როგორც ნესი, არის არა ცალკეული მოსამართლის პიროვნული ღირსება, არამედ სტრუქტურული ურთიერთობა სასამართლო ხელისუფლებასა და ხელისუფლების სხვა შტოებს შორის.⁴³ მოსამართლისთვის უპირველესი ეთიკური ვალდებულებაა, იყოს სამართლისა და კანონის უზენაესობის გარანტი, უმაღლეს რანგში აიყვანოს ადამიანის უფლებები, იყოს ღირსეული, მიუკერძოებელი და პოლიტიკური გადანეყტილებებისგან აბსოლუტურად დაცლილი.⁴⁴

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში იკვეთება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან თავისუფლების უფლება აღიქმება, როგორც პირის მხოლოდ დაკავება-დაპატიმრებისას მისი უფლების შეზღუდვა. მაშინ, როცა სასამართლო ვალდებული იყო იმგვარად განემარტა კონსტიტუციის მე-13 მუხლი, ასევე, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესულური მხარით არ შემოფარგლულიყო, ანუ ერთგვარი „კანონმდებლის“ ფუნქცია უნდა შეეთავსებინა და ამით სახელმწიფოს უმთავრესი ღირებულება გადაერჩინა. თუმცა სასამართლოს არ

⁴³ Luban D., Justice Holmes and the Metaphysics of Judicial Restraint, *Duke Law Journal*, 1994, 250.

⁴⁴ სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი, იხ., <<https://www.supreme-court.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>> [12.12.2021].

ეყო ეს გაბედულება და ნაცვლად ამისა, აირჩია კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უგულებელყოფა.

2. საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირების საკითხი

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობას ან მის მიერ განსაზღვრულ სამინისტროს იზოლაციისა და კარანტინის წესების დადგენის უფლებამოსილება მიენიჭა. ეს იმას ნიშნავს, რომ დელეგირების საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლება, ფაქტობრივად, საკანონმდებლო უფლებამოსილებებით აღიჭურვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, დელეგირების საკითხი ცალსახად არაკონსტიტუციური არაა, მთავარია, უფლებამოსილებათა დელეგირების პროცესში დელეგირების ფარგლები დეტალურად განისაზღვროს, რათა აღმასრულებელ ხელისუფლებას თვითნებობისა და ადამიანის უფლებათა უსაფუძვლო შეზღუდვის შესაძლებლობა არ მიეცეს.⁴⁵

ერთ-ერთ უმთავრესი პრობლემა იყო ის, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტმა კონკრეტული ფარგლები არ განუსაზღვრა, არ დაუდგინა ის ზღვარი, რომლის გადაკვეთაც აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის შეუძლებელი იქნებოდა. შესაბამისად, ნორმა, რომლის საფუძველზეც დელეგირება განხორციელდა, არის ბუნდოვანი, განუჭვრეტელი მაშინ, როცა კანონ-შემოქმედებისას კანონმდებლის უპირველესი ამოცანა ნორმის მკაფიოდ ჩამოყალიბება უნდა იყოს. კანონმდებელი ვალდებულია მიიღოს კანონი, რომელიც პასუხობს განსაზღვრულობის პრინციპებს და მაქსიმალურად აკმაყოფილებს განჭვრეტადობის მოთხო-

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „კასტელ-ჯორჯია“, სს „წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-80.

ვნებს.⁴⁶ კანონი ასევე „უნდა შეიცავდეს სხვა გარანტიებს თვითნებობის რისკისგან დასაცავად.“⁴⁷

უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ კანონმდებლის მოვალეობაა, რომ მის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები იყოს განჭვრეტადი, არამედ მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვალდებულია, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც მკაფიოობისა და განსაზღვრულობის კრიტერიუმს დააკმაყოფილებს.⁴⁸ თუმცა აღსანიშნავია, რომ ბუნდოვანი ნორმის საფუძველზე შეუძლებელია განჭვრეტადი გადაწყვეტილების მიღება, ამ ბუნდოვანი ნორმის გაუქმების, ან მისი სათანადოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის შესაბამისად განმარტების გარეშე.

იმისათვის, რომ ადრესატისთვის ნორმა ადვილად აღსაქმელი იყოს და მისი შედეგები წინასწარ განსაზღვროს, ამაში განსაკუთრებული ფუნქცია კანონმდებელს აკისრია. მის მიერ ნორმის მკაფიოდ ჩამოყალიბებაზეა დამოკიდებული მისი კონსტიტუციურობის საკითხი.⁴⁹ კონკრეტულმა საქმეებმა საკონსტიტუციო სასამართლო იმ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, რომ კანონშემოქმედმა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე ნორმის შემფარდებლებს - მოსამართლეებს შეიძლება ისეთი სივრცე დაუტოვოს, რომ მათმა თვითნებობამ ადამიანის უფლებებში ჩარევა და მათი უხეში დარღვევა გამოიწვიოს.⁵⁰ სწორედ ამ დროს იჩენს თავს

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393, 397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები: ვახტანგ მასურაშვილი, ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები: დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵⁰ ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013, 132.

საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობა. როცა კანონმდებელი არ ითვალისწინებს ნორმის განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის კრიტერიუმს, „სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს“⁵¹ და კანონშემოქმედების პროდუქტს - ნორმას იღებს იმდენად ბუნდოვანს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთათვის წინასწარ ამ ნორმის შედეგების განსაზღვრა წარმოუდგენელია.⁵² „საკონსტიტუციო სამართალი ყოველთვის ინტერპრეტაცია“⁵³ და ამ ინტერპრეტაციის დროს იკვეთება საკონსტიტუციო სასამართლოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, კონსტიტუციურ პრინციპებზე დაყრდნობით განმარტოს ნორმა და დაადგინოს მისი კონსტიტუციურობის საკითხი.⁵⁴

3. განსხვავებული აზრი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებას თან დაერთო ერთ-ერთი მოსამართლის განსხვავებული აზრი, რაც საკმაოდ პროგრესულ, გაბედულ და სასამართლო პრაქტიკისთვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებად შეიძლება შეფასდეს. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ, გიორგი კვერენჩილაძემ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილისგან განსხვავებით, მიიჩნია, რომ საკანონმდებლო ორგანოს არ განუსაზღვრავს დელეგირების მიზანი, შინაარსი და ფარგლები.

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-11.

⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

⁵³ გეგენავა დ., სერგო ჯორბენაძე 90, საკონსტიტუციო იდენტობის გაგებისთვის, 2019, 336 შეად: Jacobsohn G.J., *Constitutional Identity*, London, 2010, 7.

⁵⁴ გეგენავა დ., საკონსტიტუციო იდენტობის გაგებისთვის, სერგო ჯორბენაძე 90, ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 336.

ამკარაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის ინტეგრირება არასწორად და ადამიანის უფლებათა დაცვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე კი არა, არამედ მის საწინააღმდეგოდ განმარტა. განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლემ კი ზუსტად ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მანკიერ მხარეზე ისაუბრა, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში დელეგირების ფარგლების განუსაზღვრელობა ამ უფლებამოსილებათა დროებითი ხასიათით ახსნა, განსხვავებულ აზრში იმ თანმდევ რისკებზეა გამახვილებული ყურადღება, რომლებიც სწორედ ამ დელეგირების შემდეგ ძალაუფლების ერთი შტოში კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს.⁵⁵ მართლაც, დროებითი ხასიათი ვერანაირად ვერ გაამართლებს ამ უფლებამოსილებათა დელეგირებას, რადგანაც გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის არსებული სტატისტიკით, დაავადებულ პირთა მაჩვენებელი საკმაოდ გაზრდილი იყო,⁵⁶ და სახელმწიფო საკმაოდ რთული რეალობის წინაშე იდგა. ამდენად, პროგნოზირებაც ძალიან რთული იყო, დაახლოებით რა დროს დასრულდებოდა პანდემია და, ამდენად, გაურკვეველია, „დროებითი ხასიათის“ ცნებაც რა ვადას გულისხმობს. ასეთი ბუნდოვანი ცნება უფრო ფართო გზას უხსნის აღმასრულებელ ორგანოს, დელეგირებით გაამართლოს საკუთარი გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც შეზღუდავს ადამიანის უფლებებს. სწორედ ამიტომაც დროებითობა აზრს კარგავს და საკანონმდებლო ორგანოს მტკიცებაც, რომ ეს შეზღუდვები მხოლოდ დროებით ხასიათს ატარებს, ძლიერ არგუმენტად ვერ გამოდგება.

გარდა ამისა, განსხვავებულ აზრში მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ პარლამენტი სარგებლობს განსაკუთრებული ნდობით,

⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება №1/1/1505,1515,1516,1529 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები: პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტაძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ,“ III-8.

⁵⁶ <<https://cutt.ly/KQQotl4>> [12.12.2021].

როგორც ხალხის მიერ პირდაპირ არჩეული, მათ მიერ ლეგიტიმაცი-
ამინიჭებული ორგანო. ამდენად, ხალხი კანონშემოქმედების ფუნ-
ქციას აკისრებს საკანონმდებლო ორგანოს. მათთვისაც მნიშვნე-
ლოვანია, რომ სწორედ ამ ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება ასეთ
ძირეულ და უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

მნიშვნელოვანია განსხვავებულ აზრში წარმოჩენილი პოზიცია,
რომ, ფაქტობრივად, ბუნდოვანი და არასაკმარისად განჭვრეტადი
დელეგირებით, სასამართლო კონტროლმაც შესაძლოა აზრი და-
კარგოს იმ შემთხვევაში, თუ მადელეგირებელი აქტივით დეტალურად
არ იქნება განსაზღვრული დელეგირების ფარგლები და მთავრობის
სამოქმედო არეალი. ამდენად, თუ სასამართლო კონტროლმა ვერ
შეასრულა საკუთარი ფუნქცია ან, პირიქით, შეასრულა და საკუთარ
უფლებამოსილებას გადააჭარბა, მისი რეპუტაციის, მის მიმართ
ნდობის ხარისხის საკითხი ეჭვქვეშ დადგება. ორივე შემთხვევაში
ეს დემოკრატიული ღირებულებების სანინააღმდეგოა. ამტომაა,
რომ საკანონმდებლო ორგანოს საკანონმდებლო უფლებამოსილე-
ბათა დელეგირების პროცესში ორმაგად მეტი პასუხისმგებლობა
აკისრია, რომ ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის დარღვევის
პრევენცია მხოლოდ თვითონ კი არ მოახდინოს, არამედ ეს სხვა ორ-
განოს, სასამართლოსაც აარიდოს. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი
არაკომპეტენტური გადაწყვეტილებით პარლამენტი მხოლოდ სა-
კუთარ თავს კი არ აყენებს ჩრდილს, არამედ, ავტომატურად, სა-
სამართლოსაც უშლის ხელს, იყოს საკუთარ უფლებამოსილებათა
შემსრულებელი, ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპისა და დემოკ-
რატიულ ღირებულებათა დამცველი.

VI. დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო უფლებამოსილებათა
დელეგირების დოქტრინის დარღვევის უმთავრესი საფრთხე ძალა-
უფლების გამიჯვნის პრინციპის დარღვევა და ერთ შტოში მთელი
ძალაუფლების კონცენტრაციაა. აღსანიშნავია ისიც, რომ დელე-

გირების პროცესი, თავისი არსიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოს სასიცოცხლო პროცესიც კი არის. ამაზე მეტყველებს დელეგირებასთან დაკავშირებით კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებული პრაქტიკა.

დელეგირება კონკრეტული ფარგლების, ლეგიტიმური მიზნის მითითების გარეშე, ფაქტობრივად, უმართავ სახელმწიფოდ გადაქცევის წინაპირობაა, რაც დემოკრატიულ ღირებულებებს საფრთხის ქვეშ აყენებს და ბუნდოვან და განუჭვრეტელ გარემოებებს წარმოშობს. ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის უგულვებლყოფასთან ერთად, საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირება, საპარლამენტო კონტროლის მოშლის რისკ-ფაქტორიც კი შეიძლება გახდეს, განსაკუთრებით, კი ისეთ სახელმწიფოში, როგორცაა საპარლამენტო რესპუბლიკა - საქართველო, რომლის დემოკრატიულობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი წინაპირობა სწორი, ძლიერი და ეფექტური საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ორგანო განიჭვირთება თავისი უმთავრესი ფუნქციისგან - კანონშემოქმედებისგან და ამ უფლებამოსილებას სხვა ორგანოს გადაანდობს, ამან, შესაძლოა, საპარლამენტო კონტროლის ინსტიტუტს აზრი დაუკარგოს. თუკი პარლამენტი აღმასრულებელ ორგანოს გადასცემს კონსტიტუციით მინიჭებულ, მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოსთვის დამახასიათებელი უფლებამოსილებების განხორციელების შესაძლებლობას და არ ექნება შესაბამისი კონტროლის მექანიზმი, მაშინ რა აზრი აქვს საპარლამენტო კონტროლს? სწორედ ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე განისაზღვრება მთავრობის მუდმივი და სავალდებულო ანგარიშგების საკითხი. მით უმეტეს, იმ პირობებში, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მონესრიგების უფლებამოსილება გადაეცა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რაც, თავისი არსით, არაკონსტიტუციურია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეალობაში საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირებამ გააჩინა უამრავი კითხვა.

გაურკვეველი გახდა ის, თუ რა ფარგლებში შეუძლია აღმასრულებელი ხელისუფლება ადამიანის უფლებებში ჩარევა. კანონი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა დელეგირება, არის ბუნდოვანი, განუჭვრეტელი, ორაზროვანი და ამდენად, არ აკმაყოფილებს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტს, რომ ყოველი ადამიანისთვის ამ კანონის სამართლებრივი შედეგები იყოს განჭვრეტადი, არაორაზროვანი, ლოგიკური. ნაცვლად ამისა, პარლამენტი ამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას აღმასრულებელ ორგანოს აკისრებს, რითაც იკვეთება, რომ ადამიანის უფლებებს მეორეხარისხოვანად აღიქვამს და უფრო მნიშვნელოვან ადგილზე აყენებს სხვა საკითხების რეგულირებას, ვიდრე ეს ადამიანის უფლებათა დაცვა და ამ საკითხში სრულიად იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

უმნიშვნელოვანესია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ თანაზომიერების ტესტის საფუძველზე შეზღუდოს კონკრეტული უფლება მხოლოდ მაშინ, თუკი მიზნის მისაღწევად სხვა, უფრო რბილი საშუალების გამოყენება შეუძლებელია. სახელმწიფოს განსაკუთრებული გონიერება, რაციონალურობა და თანაზომიერების მკაცრი ტესტის გავლა სჭირდება, რომ არ გაჩნდეს ადამიანის მხრიდან განცდა იმისა, რომ მიმოსვლის უფლებაში ჩარევასთან ერთად, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და სხვა ფუნდამენტურ უფლებებში ერევინ, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვან, ღირსების უფლებას ლახავენ. ამდენად, როცა საკანონმდებლო ორგანო არ ასრულებს საკუთარ ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს და იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას, ცხადია, ამგვარი პარლამენტის დემოკრატიულ ღირებულებებთან თავსებადობასთან დაკავშირებით უამრავი კითხვა ჩნდება.

გარდა ამისა, განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილება. საკონსტიტუციო კონტროლი, თითქოს, უკანასკნელი იმედია იმ შემთხვევაში, თუკი პარლამენტი ვერ შეასრულებს საკუთარ უფლებამოსილებას და ანტიკონსტიტუციურ ბუნდოვან, განუჭვრეტელ, ორაზროვან

კანონს მიიღებს. ჩნდება განცდა, რომ ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლო მხსნელად უნდა მოგვევლინოს და გააუქმოს არაკონსტიტუციური კანონები და ამით იყოს ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი. ნაცვლად ამისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო საწინააღმდეგოდ მოიქცა მაშინ, როცა გაამართლა პარლამენტის თვითნებობა. ზოგადად, საკანონმდებლო ორგანოს „შეცდომების გამოსასწორებლად“ დემოკრატიულ საზოგადოებაში საკონსტიტუციო კონტროლი არსებობს, თუმცა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იქნება საკუთარი პასუხისმგებლობის ტვრითის ღირსეული მატარებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს ჯერ კიდევ შემორჩენილ სუსტ ნიშნებსაც გააქრობს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილება ისევე, როგორც პარლამენტის მიერ დელეგირების განხორციელება, შეიძლება შეფასდეს, როგორც სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლობა და საკუთარ უფლებამოსილებათა სათანადოდ გაუაზრებლობა. ჯერ პარლამენტმა, მოგვიანებით კი საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის უფლებები უკანა პლანზე გადაწია და პარლამენტმა - მთავრობას, ხოლო სასამართლომ - პარლამენტს თვითნებობისკენ გაუხსნა გზა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ ვინრო განმარტებამ აზრი დაუკარგა ადამიანის თავისუფლებას. მოსამართლე მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, ფართოდ განმარტოს ყოველი ნორმა და კი არ დააკნინოს ადამიანის უფლებები, პირიქით, მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოკვეთით, მეტად დაიცვას ისინი. სწორედ ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, თუ მოსამართლეები ნორმის ინტერპრეტირებისას სამართლებრივი რეალიზმის ჭრილში იმგვარად განმარტავდნენ, რომ მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან არ ამოვიდოდნენ.

განსაკუთრებით დასაფასებელია ამ გადაწყვეტილებაზე განსახვევებული აზრი, რომელიც დიდი გამბედაობისა და რაციონალური აზროვნების, სამართლისა და ადამიანის უფლებების სათანადოდ გააზრების შედეგია. ეს განსხვავებული აზრი დემოკრატიული ღი-

რეზულტების, სამართლებრივი კულტურის არსებობის ნიშანია. ამგვარი მოსაზრების ფონზე ჩნდება იმედი, რომ საკონსტიტუციო ინსტიტუტების თვითნებობა შესაძლოა იყოს ალკვთილი და ადამიანის უფლებები სათანადოდ დაცული, რაც ადამიანის ღირსეული არსებობის წინაპირობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ავტორიტეტულ ორგანოს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს მაკონტროლებელის გადანყვეტილება ადამიანში მეტი დაცულობის განცდას უნდა ბადებდეს. ამ შემთხვევაში კი, უფრო მეტად ჩნდება განცდა იმისა, რომ ამ თანაზომიერების მიღწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. გარკვეულწილად, შიშსა და ეჭვსაც ბადებს, რომ მომავალშიც შესაძლოა სახელმწიფო უხეშად და დაუსაბუთებლად ჩაერიოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებში, რომელიც გაუმჭვირვალე და ბუნდოვანი პროცესებით შეიძლება იყოს ნაკარნახევი და, თანაც, ვერც საკონსტიტუციო კონტროლმა შეძლოს ამ პროცესების რეგულირება. საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი გადანყვეტილება აისახება საკონსტიტუციო კონტროლის პრესტიჟზე, რეპუტაციაზე, მის მიმართ ნდობის ხარისხზე. დემოკრატიულ საზოგადოებაში, ალბათ, ყველაზე მეტი ნდობა მის მიმართ უნდა არსებობდეს და მის მიერ მიღებული გადანყვეტილებები მაქსიმალურად ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უნდა იყოს, რადგან სახელმწიფოს მთავარი ღირებულება ადამიანია და ყოველი ნორმა იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ საზოგადოებაში კითხვები არ ჩნდებოდეს, ხომ არ იყო სასამართლო მიკერძოებული, ხომ არ მიიღო პოლიტიკური გადანყვეტილებები და ამით ხომ არ დაარღვია სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი.

მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი სამედიცინო დელიქტების შემთხვევაში

„და აქიმი ეგეთი ხამს, რომელი აქიმობაი კარგად და სრულად იცოდეს, და მრავალი სააქიმოი წიგნი წაეკითხოს მეცნიერთა ოსტატთა აქიმთათანი, და მრავალჯერ კურნებასა დამხუდარიყოს და პირმართალი, და მისანდობელი და უხარბო იყოს. და დიდის გემოი, და ზანტი არ იყოს, და გლახაკთა უნუკუარი იყოს, და უამისო თუ იქნების, სჯობს რომელ სნეულსა ზედა არა მიიყვანონ, და არავინ მიენდობოდეს.“¹

I. შესავალი

ჯანმრთელობა შეუფასებელი ღირებულებაა ადამიანისათვის. სიცოცხლის ხარისხი და ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობით დაცული ძირითადი უფლებების განხორციელება ხშირად ადამიანის ფიზიკურ თუ მენტალურ სიმრთელებზე დამოკიდებულია. ჯანმრთელობა ყოველდღიური ცხოვრებისთვის აუცილებელი რესურსია და ყველაზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური სიკეთეა, განურჩევლად ასაკის, სქესის, სოციალურ-ეკონომიკური თუ ეთნიკური ფონისა. იგი განსაზღვრავს ჩვენი ყოველდღიურობის ხარისხს, იქნება ეს სკოლასა და სამსახურში სიარული, ოჯახური ვალდებულებების შესრულება თუ საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართვა. ადამიანს ბევრი რამის გაღება შეუძლია როგორც საკუთა-

* სამართლის მაგისტრი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მკვლევარი.

¹ კოტეტიშვილი ლ. „წიგნი სააქიმო“, მედიცინა ძველ საქართველოში, ტფილისი, 1936, 9. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/253599/1/Cigni_Saaqimoi.pdf> [20.02.2022]

რი, ასევე სხვა, ახლობელი ადამიანების ჯანმრთელობისა და დღე-გრძელობისათვის. სწორედ ამიტომ „კარგად ყოფნა« თავის თავში სწორედ ჯანმრთელად ყოფნას მოიაზრებს.²

ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები არც თუ ისე იშვიათია ჩვენი ქვეყნისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს რეალობაში. სამედიცინო მომსახურების განვითარებას დაშვებული საექიმო შეცდომები და მათ საფუძველზე დამდგარი სამართლებრივი ზიანი სასამართლო პრაქტიკაშია არეკლილი, რომელიც არც თუ ისე ღარიბია მსგავსი კატეგორიის დავებით. შეცდომების მიზეზები მრავალფეროვანია, დაწყებული მომსახურების გამწვევი ექიმის კვალიფიკაციისა და გამოცდილების ნაკლებობით. საექიმო შეცდომის შედეგად პაციენტს შესაძლებელია მიადგეს როგორც მატერიალური, ისე მორალური, არამატერიალური ზიანი. დარღვეული უფლების სათანადო კომპენსირების საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია მაშინ, როცა „შელახული“ სიკეთე არახელმეორდება, არამატერიალურია და იგი ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობას წარმოადგენს. სტატიის მიზანია, განიხილოს სამედიცინო დელიქტების შედეგად წარმოშობილი მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებები, მოახდინოს მთავარი პრობლემების იდენტიფიცირება, განიხილოს განსხვავებული მოსაზრებები და მიდგომები სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში და ამ ყველაფრის საფუძველზე გააკეთოს მნიშვნელოვანი, საკვანძო ელემენტების ანალიზი.

II. სამედიცინო მომსახურების ცნება და მისი განმახორციელებელი სუბიექტები

„სამედიცინო მომსახურების“ ცნებას „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს და ადგენს, რომ

² The Right to Health, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, WHO, 2008, 1.
<<https://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf>> [15.02.2022]

სამედიცინო საქმიანობად (სამედიცინო მომსახურებად) მიიჩნევა საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასთან, გაუმჯობესებასთან, აღდგენასთან და სხვა.³ სამედიცინო ჩარევა კი არის ნებისმიერი მანიპულაცია, პროცედურა, რომელსაც ატარებს ექიმი ან სხვა სამედიცინო პერსონალი დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის, რეაბილიტაციისა და პალიატიური მზრუნველობის მიზნით⁴. სამედიცინო მზრუნველობა ხელს უწყობს საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას, სკოლების, სასამართლოების მუშაობას, კანონის აღსრულებას და სხვა მნიშვნელოვანი სისტემების ფუნქციონირებას მათი შემადგენელი ინდივიდების სიცოცხლის ხელშეწყობით გზით.⁵

სამედიცინო მომსახურების განევა სპეციალური სუბიექტების მიერ ხორციელდება „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების განმასრვლებელ სპეციალურ სუბიექტებს, ასეთებად მიიჩნევა ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი: ექიმი, ექთანი, ფარმაცევტი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტი, სერვისის მენეჯერი და სხვა პირი⁶, რომლებიც ზემოთხსენებულ მომსახურებაში შემავალ სხვადასხვა პროცედურებსა და მათთან დაკავშირებულ ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებენ.

³ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჩ“1 ქვეპუნქტი.

⁴ იქვე, „ც“ ქვეპუნქტი.

⁵ Alfred W., Childs, The Functions of Medical Care, Public Health Reports, Vol. 90, №1, 1975, 10.

⁶ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, რეკომენდაცია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, გვ. 5. <<https://personaldata.ge/cdn/2018/12/ჯანდაცვის-რეკომენდაცია.pdf>> [17.07.2022]

III. მცდარი სამედიცინო ქმედება, როგორც ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის წინაპირობა

სამედიცინო მომსახურების განევა სამედიცინო დახმარება პირისათვის განეული სასარგებლო საქმიანობაა, რომლის შედეგი მიმართულია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სიკეთეზე - ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. თუმცა ამგვარი მომსახურებისა და დახმარების შედეგი ჯანმრთელობაზე ყოველთვის პოზიტიურად არ აისახება. შედეგი შეიძლება იყოს სრული ეფექტის მიღება, ნაწილობრივი ეფექტის მიღება, ეფექტის მიუღებლობა ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება.⁷ გარდა იმ ბუნებრივი რისკების რეალიზების შემთხვევებისა, რაც პაციენტზე სამედიცინო მზრუნველობას თან ახლავს, ნეგატიური შედეგის დადგომის მიზეზი ზოგჯერ მზრუნველობის განმახორციელებლის შეცდომა, „მცდარი სამედიცინო ქმედებაა“. საექიმო საქმიანობას, რომელიც, როგორც წესი, მედიცინაში სათანადოდ განსწავლული პირის საქმიანობაა, არასწორი სამედიცინო ქმედების გამო შეიძლება პაციენტისათვის არასასურველი შედეგი მოჰყვეს.⁸

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მცდარი სამედიცინო ქმედება ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებაა, რაც პაციენტისათვის მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა⁹ და რომლის გამოც ექიმი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით აგებს პასუხს.¹⁰

სამედიცინო შეცდომა ექიმის იმგვარი ქმედება ან უმოქმედობაა, რომელიც სამედიცინო საზოგადოებაში დადგენილი მკურნა-

⁷ კვანტალიანი ნ., „პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები“, თბილისი, 2012, 58.

⁸ იქვე, 107.

⁹ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი.

¹⁰ იქვე, 50-ე მუხლი.

ლობის სტანდარტისგან გადახვევას მოიცავს და შედეგად პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანებას იწვევს. სამედიცინო შეცდომა დელიქტური სამართლის ნაწილია, რომელიც პროფესიულ დაუდევრობას ეხება.¹¹ ამგვარი ქმედება განზრახვის გარეშეა ჩადენილი. თუ ექიმი მოქმედებს განზრახ, მაშინ მისი ქმედება „შეცდომად“ ვერ შეირაცხება. მცდარი სამედიცინო ქმედება არასწორ პროფესიულ ქცევაა. ექიმი, რომელიც მცდარად მოქმედებს, მოქმედებს მისი ქმედების (უმოქმედობის) სისწორის პრეზუმფციიდან გამომდინარე. მართალია პაციენტის მდგომარეობისათვის მისი სადიაგნოზო/სამკურნალო ღონისძიებები შეუსაბამოა, მაგრამ იგი ამას უნებლიედ, შეცდომით აკეთებს. შეცდომა კი, თავის მხრივ, სუბიექტური მიზეზებითაა განპირობებული, როგორცაა არასაკმარისი პროფესიონალიზმი, ზედმეტი თავდაჯერებულობა, არასაკმარისად კონსტრუქციული აზროვნება თუ სხვა.¹²

სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქცევა ამგვარ შემთხვევებში არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენით გამოიხატება და მოიცავს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობას.¹³ ხსენებული საექიმო შეცდომის, მცდარი სამედიცინო ქმედების მიზეზი მის კომპეტენციასა და პროფესიული უნარების ქონასთან, პრაქტიკასა და მის სათანადო გამოყენებასთანაა კავშირში. საექიმო საქმიანობა იმ პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც განსაკუთრებით მაღალი ხარისხით მოითხოვს პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობას, ექიმს საზოგადოების სხვა წევრებისგან მთელი რიგი ვალდებულებები და მოვალეობები გამოარჩევს. ამ პროფესიაში განსაკუთრებით საჭიროა თანაგრძნობა,

¹¹ Bal Sonny B., *An Introduction to Medical Malpractice in the United States, Clinical Orthopedics and Related Research, Volume 467, Issue 2, 2009, 340.*

¹² კვანტალიანი ნ., „პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები“, თბილისი 2012, 110.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №ას-645-2019.

ალტრუიზმი პაციენტების მიმართ, მუდმივი, უწყვეტი პროფესიული განვითარება მედიცინის განვითარების კვალდაკვალ და პროფესიული „ბრწყინვალება“.¹⁴ ხარისხიანი სამედიცინო განათლების არქონა, სამედიცინო პრაქტიკის ნაკლებობა, ზედმეტი თავდაჯერებულობა თუ ყურადღებიანობის აუცილებელი სტანდარტების დაუცველობა ხშირ შემთხვევებში სამედიცინო შეცდომების მიზეზი ხდება. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეში საინტერესოდ მსჯელობს ექიმის პასუხისმგებლობის შესახებ და განმარტავს, რომ ექიმის მიერ რაიმე საკითხის ინდივიდუალური არცოდნა ან პროფესიული სისუსტე გამამართლებელი გარემოებება არ არის. ექიმის სავალდებულო გულისხმიერების დარღვევად ისიც მიიჩნევა, როდესაც იგი არღვევს განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ვალდებულებას და, აქედან გამომდინარე, სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე ცოდნა აღარ გააჩნია.¹⁵

IV. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების წესი სამედიცინო დელიქტებში

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა და, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება ყოველგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშეა გარანტირებული.¹⁶

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განსაზღვრული საექიმო შეცდომა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობაა. პასუხისმგებლობა კი პაციენტისათვის მიყენებული მატერიალუ-

¹⁴ Medical Protection Society, Professionalism - A Medical Protection Guide, 2015, 6.

<https://mpscduks.azureedge.net/resources/docs/mp/publications/practice-matters/professionalism-a-medical-protection-guide.pdf> [17.07.2022]

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატი 2010 წლის 25 მაისის №ას-1268-1526-09 განჩინება.

¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანჭუჭიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 454.

რი და მორალური ზიანის ანაზღაურებაში გამოიხატება.¹⁷ ზიანის კომპენსირების საკითხს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონიც ეხება და პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს აღჭურავს უფლებამოსილებით, მცდარი სამედიცინო ქმედებით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს.¹⁸ სამედიცინო დანესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევას ანესრიგებს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი და ასეთი შემთხვევისთვის ანაზღაურების წესს ზიანის საერთო საფუძვლებით განსაზღვრავს. სამედიცინო დელიქტებშიც, სამედიცინო შეცდომით პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები ისეთივეა, როგორც სხვა კატეგორიის დელიქტებში.¹⁹ მოხმობილი სპეციალური ნორმა დანაწესი ზიანის ოთხი ზოგადი პირობის არსებობას მოიაზრებს: ზიანი, ქმედების (უმოქმედობის) არამართლზომიერება, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. აღნიშნული მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანი შეიძლება მიადგეს მხოლოდ ფიზიკურ პირს: თავად დაზარალებულს, დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში კი იმ შრომისუუნარო პირებს, რომლებიც იმყოფებიან დაზარალებული პირის კმაყოფაზე და მასთან ფინანსურად არიან დაკავშირებული.²⁰

ზიანის წინაპირობების არსებობის შემთხვევაში საქმე გვაქვს სამედიცინო დელიქტთან, რომლის ანაზღაურების მოვალეობაც მომსახურების გამწევ სამედიცინო დანესებულებას ეკისრება, დანესებულებას კი, თავის მხრივ, შეუძლია ანაზღაურება რეგრესის

¹⁷ კვანტალიანი ნ., „პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები“, თბილისი 2012, 107.

¹⁸ „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის №ას-1102-1038-2015 გადაწყვეტილება.

²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ლ. ქანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 428.

ნესით მოითხოვოს იმ პირისგან (ექიმისგან), ვისი ბრალითაც ზიანი მიადგა პაციენტის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.²¹

ანაზღაურების განსაზღვრისას სამედიცინო დელიქტებში „დიფერენცირების“ პრინციპი გამოიყენება. დიფერენციის ჰიპოთეზით დგინდება სხვაობა „უნდა ყოფილიყო“ და „არის“ მდგომარეობას შორის. ზიანის ანაზღაურების მიზნით უნდა აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის მავალდებულებელი გარემოება.²² ზიანის მიმყენებელმა უნდა გამოასწოროს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის მომტანი შედეგები.²³ გამოსწორება კი ასეთ შემთხვევებში ანაზღაურებას ნიშნავს. ანაზღაურებადი ზიანის ოდენობა განისაზღვრება დაზარალებულისთვის მიყენებული დანაკლისის მიხედვით.²⁴

ქონებრივი ზიანი თავისი გარეგნული გამოხატულებით მატერიალიზებული ზიანია და მისი იდენტიფიკაცია შედარებით ადვილია.²⁵ განსხვავებით ამისგან, მორალური, არაქონებრივი ზიანი პირისთვის მიყენებულ ტანჯვასთან, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მისი სულიერი მდგომარეობის დამძიმებასთან და სხვა ნეგატიურ განცდებთანაა დაკავშირებული. მორალური ზიანი ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილებების არსებობას მოიაზრებს, რაც ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში ვლინდება.²⁶

განსხვავებულია ზიანის ამ ორი ტიპის ანაზღაურების წესიც, გერმანული სამართლის სისტემა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურ-

²¹ იქვე.

²² სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 689.

²³ პეპანაშვილი ნ., სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2016, 33. იხ. ციტირება: *Матвеев Г. К., Основания Гражданскоправовой Ответственности, Москва, 1970, 45.*

²⁴ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 697. იხ. ციტირება: *Harke J. D., Allgemeines Schuldrecht, 2010, Springer, S. 290*

²⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 469.

²⁶ ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბილისი, 2003, 26.

რების განსაზღვრულ, შემოფარგლულ შემთხვევებს უკავშირებს, რასაც გერმანული სამართლებრივი სტილის მიმდევარი ქართული სამოქალაქო კოდექსიც მიჰყვება.²⁷ ქართული სამოქალაქო კანონმდებლობით, მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების წესით. (მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე და 1005-ე მუხლები).²⁸

მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევების შემოფარგლულობა და განსაზღვრულობა, ასახულია მის მომწესრიგებელ ნორმაში, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში იყოს დასაშვები. ნორმის მეორე ნაწილთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს საქართველოს უზენაესი სასამართლო და აღნიშნავს, რომ დაცულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე, ადამიანის ჯანმრთელობა, რისი ხელყოფის შემთხვევაშიც დაზარალებული უფლებამოსილია, სულიერი ტანჯვისა და სტრესისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ქონებრივი ზიანი და მისგან გამომწვეული ნეგატიური განცდები მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი ვერ გახდება.²⁹

მორალური ზიანი ადამიანის ფსიქიკას, სულიერ წონასწორობას, მენტალურ სიმრთელეს უკავშირდება და კანონით ზუსტადაა განსაზღვრული ის შემთხვევები, რომლებიც მისი დადგომის და, შესაბამისად, შეიძლება ანაზღაურების საფუძველი გახდეს, ამგვარი „შემოფარგლულობა“ სამართლიანად ახდენს ნორმით გათვალისწინ-

²⁷ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2014, 663.

²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ლ. ჭანჭუჭყაძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 381.

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1156-1176-2011.

ნებული შედეგების დაუსაბუთებელ გაფართოებას და გარკვეულ შემოსაზღვრულ ჩარჩოში აქცევს მათ.

V. მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი სამედიცინო დელიქტებში

1. ჯანმრთელობის დაზიანებისას

ზევით აღინიშნა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებშია მიზანშეწონილი. სწორედ ასეთ, მორალური ზიანის ანაზღაურებას დაქვემდებარებულ საგამონაკლისო სამართლებრივი სიკეთეა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომლის ხელყოფის შემთხვევაშიც დაზარალებულს შეუძლია მატერიალურთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვოს. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ჯანმრთელობის ყოველგვარი შელახვა არ წარმოშობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს. არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება ისეთი შემთხვევები, როდესაც ჯანმრთელობას მიადგა ზიანი და ამან სულიერი და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია. აუცილებელია ამ ორი წინაპირობის კუმულაციურად არსებობა.³⁰ უზენაესი სასამართლოს განმარტებით „მორალური ზიანი სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული არასასურველი შედეგი ადამიანის ორგანიზმში ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში გამოიხატება, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და, შესაბამისად, არამატერიალიზებული

³⁰ ბიჭია მ., გრიგოლ რცხილადის სტატიის „მორალური ზიანის ანაზღაურება“ ანალიზი, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №8, 2017, 79.

ზიანია. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს.³¹

ადამიანის ფიზიკური სიმრთელე განაპირობებს მის ცხოვრების ხარისხს და გარკვეულწილად მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების რეალიზაციის შესაძლებლობას. შესაბამისად, ჯანმრთელობისათვის დაზიანება მისი ხარისხის, გამოსწორების პერსპექტივის თუ ადამიანის ფსიქიკური სიძლიერე-სიმრთელის გათვალისწინებით გავლენას ახდენს მის სულიერ მდგომარეობაზე.

რაც შეეხება მორალური ზიანის შეფასებისა და კომპენსაციის განსაზღვრის საკითხს, სასამართლოსთვის, როგორც წესი, მატერიალური ზიანის განსაზღვრასთან შედარებით, მისი განსაზღვრა ერთობ პრობლემურია. საქართველოს უზენაესი სასამართლო მორალური ზიანის შეფასებასთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობას ავითარებს და განმარტავს, რომ მორალური ტანჯვის ხასიათი მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს (მაგ.: ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა და ა.შ.), მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის მიერ გადატანილი ტანჯვის სიმძიმეს. კომპენსაციის მოცულობას რაც შეეხება, იგი უნდა განისაზღვროს ტრავმის, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების სიმძიმის ხარისხიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც დაზარალებულის მიერ განცდილ მორალურ ტანჯვას ადასტურებს. კომპენსაციის განსაზღვრისას მხედველობაში ასევე მიიღება ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა, ბრალის ხარისხი და სხვა.³²

საინტერესოა სამედიცინო დელიქტის შედეგად დამდგარი მორალური ზიანის შეფასების მექანიზმი აშშ-ში, სადაც ამგვარი ზიანის ანაზღაურების შემთხვევებისთვის განსაზღვრულია ზედა ზღვარი (მათ შორის, სამედიცინო დელიქტების შემთხვევებში), რომელიც

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის №ას-1477-1489-2011 გადაწყვეტილება.

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება №ას-762-818-2011.

გამორიცხავს ამგვარი ზიანის გადაჭარბებულ შეფასებას და, შესაბამისად, გადაჭარბებულ მატერიალურ ანაზღაურებას.³³ სამედიცინო შეცდომის შედეგად პაციენტისათვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებელი თანხის ზედა ზღვრის მოცულობა და ოდენობა შტატების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, მისისიპიში მისი რაოდენობა 500000 აშშ დოლარია³⁴, მონტანაში 250000 აშშ დოლარი³⁵, ზოგიერთ შტატში კი ამგვარი ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული საერთოდ არ არის.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისთვის (კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში) გონივრული საზღაური უნდა იქნეს მოთხოვნილი³⁶. ზიანის შეფასებისას გასათვალისწინებელია დაზიანებების სიმძიმე, მათგან გამოწვეული ტანჯვა, განგრძობადობა, დაზიანებულის მიერ მათი აღქმა და ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის ხარისხი.³⁷

საყურადღებოა ესპანეთის კანონმდებლობაში არსებული ზიანის ანაზღაურების სქემა³⁸, რომელიც საავტომობილო შემთხვევების შედეგად დამდგარი მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ეხება და რომლის გამოყენებაც მოსამართლეებს დისკრეტული უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლიათ.³⁹ თუმცა ამგვარი სახელმძღვანელო სქემა არ მოიპოვება სამედიცინო დელიქტების შემთხვევებში, არც მორალური და არც მატერიალური ზიანის ანაზღაურებისას, ამგვარი ზიანის მოცულობის განსა-

³³ Gfell K. J., *The Constitutional and Economic Implications of a National Cap of Non-Economic Damages in Medical Malpractice Actions*, *Indiana Law Review*, Vol. 37, 2004, 775.

³⁴ *Mississippi Code*, section 11-1-60.

³⁵ *Montana Code*, section 25-9-411.

³⁶ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2019, 56.

³⁷ კროპოპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიას და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, 118.

³⁸ *Royal Legislative Decree 8/2004 Of 29 October*.

³⁹ *Amaral-Garcia S., Non-economic Damages in Medical Malpractice Appeals*, *DIW Berlin Discussion Paper*, no. 1506, 2015, 7.

ზღვრისას მოსამართლეები მხედველობაში იღებენ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას.⁴⁰

ზემოთმოცემული მაგალითებიდან გამომდინარე, მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ შეფასების რაიმე უნივერსალური სტანდარტი სამედიცინო დელიქტების შემთხვევებში დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურების განსასაზღვრად არ გამოიყენება. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რაც შემთხვევის ინდივიდუალობასაც განსაზღვრავს და მიყენებული ზიანის სუბიექტური აღქმის სიძლიერისა და სიმძაფრის გათვალისწინებით გარკვეულ ობიექტურ, სამართლიან ანაზღაურებას დაუქვემდებარებს მას.

სასამართლო პრაქტიკიდან ასევე საინტერესოა მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნობრიობის განმარტება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამგვარი კომპენსაციის მიზანი დაზარალებულის ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამონვევაა, რაც მას სულიერი წონასწორობის მიღწევასა და სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში დაეხმარება.⁴¹ საგულისხმოა ასევე სააპელაციო სასამართლოს განმარტება მორალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით: „მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ“.⁴²

საკამათოა, რამდენად შეიძლება ფულადი კომპენსაციით სულიერი წონასწორობის მიღწევა მაშინ, როცა ჯანმრთელობის ისეთ დაზიანებასთან გვაქვს საქმე, რომელმაც მნიშვნელოვანი სულიერი ძვრები გამოიწვია დაზარალებულში. ისიც ნაკლებსავარაუდოდ უნდა ჩაითვალოს, ერთხელ დაკისრებულმა ფულადმა კომპენსაცი-

⁴⁰ იქვე.

⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივნისის №ას-762-818-2011 გადაწყვეტილება.

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის №ას-1046-966-2017 გადაწყვეტილება.

ამ მომსახურების გამწვანის მომავალი, ჰიპოთეტური საექიმო შეცდომების პრევენცია უზრუნველყოს, თუმცა დარღვეული უფლებებისთვის „განსაზღვრული დაკმაყოფილების“ მიღება⁴³ სამართლის მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რაც აუცილებლად უნდა აღსრულდეს კიდევ და მორალური ზიანის ანაზღაურებაც, ამ მხრივ, დამაბალანსებელ და კომპენსატორულ ფუნქციას ასრულებს.⁴⁴

2. მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი პაციენტის გარდაცვალებისას

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს კონკრეტულ ნორმას, რომელიც პირის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს შეეხება. (განსხვავებით სარჩოს ანაზღაურების საკითხის მონესრიგებულობისა დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში).

ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრებებია. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, დაზარალებულის (პაციენტის) გარდაცვალების შემთხვევაში ქონებრივი ზიანის კომპენსაციასთან ერთად უფლებით აღჭურვილი სუბიექტები უფლებამოსილი არიან მოითხოვონ ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებაც და აღნიშნული უფლების არსებობა არ არის დამოკიდებული ქონებრივი ზიანის არსებობაზე.⁴⁵

ამასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას ვაწყდებით სხვა კვლევაში, სადაც მიჩნეულია, რომ არაქონებრივი ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ამ უფლებების პირა-

⁴³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, გვ 390.

⁴⁴ ბიჭია მ., დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №4, 2016, 47. იხ. ციტირება: Staake M., 2014. Gesetzliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag, Berlin, Heidelberg, S. 5,

⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 427.

დი ხასიათის გამო, მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს აქვს და მისი გარდაცვალების მერე ამ სახის ზიანის მოთხოვნა დაუშვებელია. მკვლევარი გამონაკლისად ისეთ შემთხვევას მიიჩნევს, როცა დაზარალებულმა მიმართა სასამართლოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანამდე გარდაიცვალა. ასეთ შემთხვევაში არამატერიალური ზიანის ფულადი საზღაური შესაძლებელია სამკვიდრო მასის შემადგენელ ნაწილად ჩაითვალოს.⁴⁶

ამ საკითხზე არც სასამართლო პრაქტიკაა ერთგვაროვანი და სწორხაზოვანი. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლო 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას შვილის ნამებისა და მკვლელობის გამო მშობლისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოპასუხეებისთვის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე და ეთანხმება მსჯელობას, რომ მორალური ზიანი აღნიშნულ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო ზიანით გამოწვეული ტკივილების და უარყოფითი ემოციების კომპენსაცია.⁴⁷

სულ სხვაგვარადაა გადაწყვეტილი მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი სხვა გადაწყვეტილებაში, რომელშიც გარდაცვილი პაციენტის ახლადდაბადებული შვილის წარმომადგენელი დედის გარდაცვალებით დამდგარი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა. საქმის გარემოებების შესწავლისას დადგინდა სამედიცინო დელიქტის შემადგენლობა, ექიმის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დამდგარი ლეტალური შედეგი, რაც სასამართლომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად სამართლიანად მიიჩნია და სარჩოს ნაცვლად ზიანის მიმყენებელს ერთჯერადი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება დააკისრა. რაც შეეხება მორალურ ზიანის ანაზღაურებას, სასამართლომ მიი-

⁴⁶ ბიჭია მ., დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, ურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №4, 2016, 52-53.

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის №ას-868-817-2010 გადაწყვეტილება.

ჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა.⁴⁸

საინტერესო განმარტებას აკეთებს სასამართლო კიდეც ერთ გადანყვეტილებაში, სადაც შვილზე მატერიალურად დამოკიდებული დედა სარჩოსთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურებასაც ითხოვს. სასამართლო უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნობრიობასა და განსაზღვრულობაზე და აღნიშნავს, რომ არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება მხოლოდ განსაზღვრული სიკეთეების ხელყოფის შემთხვევაშია დასაშვები, დაუშვებელია ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და ნესრიგი. ამასთან პარალელურად 1006-ე მუხლით გათვალისწინებულ სარჩოს მიღების უფლებით აღჭურვილ პირად მიიჩნევს გარდაცვლილზე მატერიალურად დამოკიდებულ პირებს და ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული ნორმა პირდაპირ არ ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საფუძველით გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ შეუძლიათ.⁴⁹

საინტერესო და საგულისხმოა ასევე სასამართლოს მსჯელობა, სადაც იგი გარდაცვლილი პირის ახლობელს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით აღჭურვილ პირად არ მიიჩნევს, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში მაინც უშვებს ამგვარი ანაზღაურების შესაძლებლობას. სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანისთვის შვილის ან ნებისმიერი სხვა ოჯახის წევრის დაკარგვით გამოწვეული ემოციები, დარდი, გულისტკივილი წარმოუდგენლად

⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 იანვრის №ას-891-841-2015 გადანყვეტილება.

⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის №ას-1268-2018 გადანყვეტილება.

მძიმე, ქრონიკულ ტანჯვასა და დეპრესიასთანაა დაკავშირებული, თუმცა ეს მძიმე ემოციური ფონი საკმარისი წინაპირობა არ არის გარდაცვლილის ოჯახის წევრის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. ასეთ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება დასაშვებია გამონაკლისის სახით მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მძიმე ფსიქიკური და პათოლოგიური დარღვევები, რომლებიც მნიშვნელოვნად სცილდება უბედური შემთხვევით გამოწვეულ ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მიმართ სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს. ასეთი შემთხვევა შესაძლებელია გაიგივდეს სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან და დაექვემდებაროს ანაზღაურებას.⁵⁰

როგორც ზევით აღინიშნა, მორალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ხდება. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა პაციენტის ჯანმრთელობისათვის ვნებისა და ზიანის მიყენების შემთხვევაა, როცა დამძიმებული, შელახული ჯანმრთელობის გამო პირი ნეგატიურ განცდებსა და სულიერ ტკივილს გრძნობს. შეზღუდული თუ შელახული ფიზიკური შესაძლებლობები, გართულებული ჯანმრთელობის შედეგად დამდგარი განმეორებითი ოპერაციების, დამატებითი სამედიცინო ჩარევის საჭიროება⁵¹ პაციენტისთვის დამატებით სტრესთან და შფოთვისთანაა დაკავშირებული, მიუხედავად ახლობელი ადამიანების ემპათიისა და თანაგრძნობისა, ის ნეგატიური განცდები, რაც ჯანმრთელობის შელახვას თან ახლავს, ადამიანის პირადი განცდების, მისი პირადი მორალის ფარგლებში ექცევა და ამიტომ მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ როგორც რაციონალურ, ასევე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია გარდაცვლილი პაციენტის ნათესავები პაციენტის მიერ განცდილი ნეგატიური ემოციებისგან მიღებული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ სუბიექტებად ჩაითვალოს.

⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №ას-593-568-2016.

⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1102-1038-2015.

VI. დასკვნა

სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების ქვაკუთხედი ადამიანია, შესაბამისად, სახელმწიფოსგან განსაკუთრებული ხარისხით მოითხოვება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, გაფრთხილება და მესამე პირთა მიერ ხელყოფის შემთხვევაში მისი სათანადო კომპენსირება, დარღვეული უფლებების შესაძლებლობების ფარგლებში აღდგენა.

მსჯელობის ფარგლებში გამოიკვეთა მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებები, მატერიალური ზიანის განსაზღვრისგან გამსხვავებით, მისი განსაზღვრა უფრო რთულია და მთელი რიგი ისეთი გარემოებების გათვალისწინებას მოითხოვს, როგორებიცაა ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა, დაზიანების სიმძიმე, დაზიანებულის ქონებრივი მდგომარეობა და სხვა. მისი შეფასების რაიმე უნივერსალური, ერთიანი სტანდარტი, რომელიც ყველა მსგავს შემთხვევას მოერგება და შეეფერება, არ არსებობს. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები რაც შემთხვევის ინდივიდუალობასაც განსაზღვრავს და მიყენებული ზიანის სუბიექტური აღქმის ინტენსივობისა და სიმძაფრის გათვალისწინებით მას გარკვეულ ობიექტურ, სამართლიან ანაზღაურებას დაუქვემდებარებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ზიანის სპეციფიურობიდან გამომდინარე, ერთგვაროვანი პრაქტიკისა და მიდგომის არარსებობა მთავარ ხარვეზად და პრობლემად უნდა იქნეს მიჩნეული. გასათვალისწინებელია, რომ მორალური ზიანი სრულად ვერ ანაზღაურდება. სპეციფიკიდან გამომდინარე, დაზიანებული პირი ვერ დაუბრუნდება თავდაპირველ მდგომარეობას (*restitution in integrum*)⁵², ამიტომ დაზარელებულ პირს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მისი დარღვეული უფლება სამართლიანად, გონივრულ ფარგლებში იქნე-

⁵² Kratz R., The Question of the constitutionality of Non-economic Damage Caps in Personal Injury Cases in Canada, *Inter-American Law Review* Vol. 50, №1, 2019, 198.

ბა ანაზღაურებული, ვინაიდან სამართლიანი ანაზღაურება მისი მდგომარეობის გარკვეულ ფარგლებში გამოსწორების ერთადერთი საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია იმ მძიმე ფსიქიკური ზიანის კომპენსირება და გაქარწყლება, რაც პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანებას თან ახლავს, დარღვეული უფლებებისათვის განსაზღვრული დაკმაყოფილების მიღება და დარღვეული უფლების შედეგად განცდილი უსიამოვნების დაბალანსება და კომპენსირება ის მინიმალური ფუნქციაა, რისი შესრულებაც დაზარალებულისთვის სამართალს და კანონმდებლობას შეუძლია.

**გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა
დასაქმებულის მიერ ვალდებულების დარღვევის
საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების
შწყვეტის საქმეებზე**

I. შესავალი

ბოლო პერიოდში ქართულმა შრომის კოდექსმა ძირეული ცვლილებები განიცადა, ეს ძირითადად განპირობებულია საქართველოს მიერ დასახული ევროპული კურსით, რაც საკუთარ თავში მოიაზრებს ქართული კანონმდებლობის დაახლოვებას ევროკავშირის სტანდარტებსა და ნორმებთან.¹

2006 წელს ძალაში შევიდა ახალი შრომის კოდექსი, რომელმაც ჩაანაცვლა 1973 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კოდექსი ითვალისწინებდა შრომის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ წესებსა და პრინციპებს, მისი მოწესრიგების სფერო არც თუ ისე ახლოს იდგა ევროკავშირის დირექტივებისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დამკვიდრებულ სტანდარტებთან. საგულისხმო გარემოება ის იყო, რომ უპირატესობა ენიჭებოდა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რაც დამსაქმებლის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის სათანადო ნიადაგს ქმნიდა. დამსაქმებელს დასაქმებულისთვის არახელსაყრელი გარემო პირობების შექმნის საკმაოდ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება ჰქონდა, მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნის კუთხით, რაც იწვევდა დისბალანსს შრომითსამართლებრივი ურთი-

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მაგისტრი.

¹ ზაალიშვილი ვ., შრომითი ხელშეკრულების მოშლის ზოგიერთი მექანიზმი (სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა), შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) I, ვ. ზაალიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 12.

ერთობის სუბიექტთა შორის.² სწორედ ამიტომ 2013 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს შრომის კოდექსში, რათა შრომის კანონმდებლობა მეტად ყოფილიყო მორგებული დასაქმებულის ინტერესებზე. საკვლევი თემის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცვლილება შეეხო ხელშეკრულების შეწყვეტის წესს, კერძოდ, 2006 წლის რედაქცია არ ითვალისწინებდა წინასწარი გაფრთხილების წესს, როდესაც გათავისუფლება ხდებოდა დამსაქმებლის ინიციატივით, რაც დასაქმებულს რთულ მდგომარეობაში აყენებდა.

მიუხედავად კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა, მრავალი ნორმა ბუნდოვანია, რაც ქმნის აზრთა სხვადასხვაობას და ხშირ შემთხვევაში საზიანო შედეგებს იწვევს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი პრობლემური საკითხია დამსაქმებლის მიერ ვალდებულების დარღვევის საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტა. როდესაც ვალდებულების დარღვევას ერთჯერადი ხასიათი აქვს, არაარსებითი დარღვევა სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლად არ უნდა იქნეს გამოყენებული. დამსაქმებელს დასაქმებულის მხრიდან ვალდებულების უხეში დარღვევისთვის შრომითი ხელშეკრულებიდან შეწყვეტა შეუძლია. ის, თუ რა მოიაზრება ვალდებულების უხეშ დარღვევად, კანონმდებლობა ზუსტად არ განსაზღვრავს, ეს შეფასების საგანია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს.

საკითხი აქტუალურია, ვინაიდან ვალდებულების დარღვევის საფუძვლით დამსაქმებლების მიერ დასაქმებულთა სამსახურიდან დათხოვნა საკმაოდ ხშირად ხდება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ნათლად და ამომწურავად ჩამოყალიბდეს სამართლებრივი დაცვის მექანიზმები, რაც, ერთი მხრივ, შრომითსამართლებრივი ურთიერთობის „სუსტ მხარეს“ - დასაქმებულს არ ჩააყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში „ძლიერ მხარესთან“ - დამსაქმე-

² ჩაჩავა ს., ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების მოშლის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის სამოსამართლეო სამართლით სრულყოფის რეკომენდაციები, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) I, თბილისი, 2011, 37

ბელთან მიმართებით, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცავს ბალანსს დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებებს შორის.³

პრაქტიკაში საკმაოდ პრობლემურია ხანდაზმულობის ვადის საკითხი, როდესაც სარჩელი არ აკმაყოფილებს ფორმალურ ან/და შინაარსობრივ წინაპირობას. დაინტერესებულ სუბიექტს საკუთარი დარღვეული უფლების აღსადგენად მყარი გარანტია უნდა ჰქონდეს. აღნიშნულ შემთხვევაში, დასაქმებულს უფლება აქვს იმავდ სარჩელით განმეორებით მიმართოს სასამართლოს, თუმცა, სადავოა, რა ვადა უნდა დაწესდეს სარჩელის ხელმეორედ შესატანად.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, დასაქმებულის მიერ ვალდებულების უხეში და განმეორებითი დარღვევის საფუძვლით, დასაქმებულის ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან და ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გამოყოფასა და გადაწყვეტას. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია, დაადგინოს ქართული კანონმდებლობის ხარვეზები და მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის გასატარებელი საჭირო ზომები.

II. ხელშეკრულების შეწყვეტის/მოშლის წესი დასაქმებულის მიერ ვალდებულების დარღვევის საფუძვლით

2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებით დამკვიდრდა ტერმინი ხელშეკრულების შეწყვეტა, თუმცა სამართლებრივად ის საფუძვლები, რომელიც საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლშია მოცემული, ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებია.⁴ შეწყვეტა გულისხმობს სახელშეკრულებო

³ საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის, ნ. ბაქაქურის, თ. თოდრიას და ზ. შველიძის რედაქტორობით, საქართველო, 2017, 14.

⁴ სტურუა ნ., შრომითი ხელშეკრულების მოშლა, სამართლის ჟურნალი, №1, 2015, 228.

ურთიერთობის დასრულებას, რომლის საფუძველი შესაძლებელია ხელშეკრულების მოშლა იყოს.⁵ სასამართლომ ერთ-ერთ გადანყვეტილებაში განმარტა, რომ დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა დამსაქმებელს ანიჭებს უფლებამოსილებას, მასთან მოშალოს შრომითსამართლებრივი ხელშეკრულება.⁶

ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენება, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს მეორე მხარისათვის შეტყობინების გზით.⁷ თუმცა, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის განსაზღვრა, კერძოდ, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება ან თუ განსაკუთრებული საფუძველიდან გამომდინარე ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების მოშლა.⁸

საკვლევი თემიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ დასაქმებულის მიერ ვალდებულების უხეში დარღვევის საფუძველით, შრომითსამართლებრივი ხელშეკრულების შეწყვეტა სწორედ ზემოთ აღნიშნულ საგამონაკლისო კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც ხელშეკრულების მოშლისას დამსაქმებლის მხრიდან დამატებითი ვადისა და გაფრთხილების მიცემის ვალდებულებას არ ითვალისწინებს. ვინაიდან, თუკი დარღვევა ობიექტურად უხეშია, ამ შემთხვევაში დამატებითი ვალდებულების დაკისრება დამსაქმებლისთვის გონივრულად ვერ მიიჩნევა და ამ უკანასკნელის სამართლებრივ მდგომარეობას საგრძნობლად დაამძიმებს.⁹ ამ

⁵ ჩაჩავა ს., ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების მოშლის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის სამოსამართლეო სამართლით სრულყოფის რეკომენდაციები, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) I, თბილისი, 2011, 37.

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 2 მაისის №ას-54-338-08 განჩინება.

⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 231.

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი.

⁹ სტურუა ნ., შრომითი ხელშეკრულების მოშლა, სამართლის ჟურნალი, №1, 2015, 232.

კუთხით აგრეთვე მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, თუკი დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია მუშაობის გაგრძელება, დამსაქმებელი უფლებამოსილია, მოშალოს ხელშეკრულება.¹⁰ გერმანული „გათავისუფლებისაგან დაცვის აქტის“ მიხედვით კი, დაკმაყოფილებული უნდა იყოს 4 ძირითადი წინაპირობა იმისათვის, რომ ვალდებულების უხეში დარღვევის საფუძვლით ხელშეკრულების მოშლა ლეგიტიმურად ჩაითვალოს. უპირველეს ყოვლისა, ობიექტური შეფასების შედეგად უნდა იკვეთებოდეს, რომ დასაქმებულმა დაკისრებული ვალდებულება უხეშად დაარღვია; სამომავლო პერსპექტივაში დარღვევის რისკი უნდა იყოს მაღალი; დამსაქმებლის ინტერესი უნდა გადაწონიდეს დასაქმებულის ინტერესს; აგრეთვე, ხელშეკრულების შეწყვეტა შექმნილ ვითარებაში უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს და სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა არ უნდა არსებობდეს.¹¹

III. ხელშეკრულების მოშლის წინასწარ შეტყობინების პროცედურა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლი, რომელიც შეეხება ხელშეკრულების მოშლას, არ ითვალისწინებს წინასწარ შეტყობინების ვალდებულებას. თუმცა, საინტერესოა თავად შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში აღნიშნული საკითხის მოწესრიგება. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ურთიერთობა ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით, რაც გამოიხატება დასაქმებულზე ზრუნვის ვალდებულებაში, მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მოშლის წინასწარ შეტყობინების ინსტიტუტს.¹²

¹⁰ C158 - Termination of Employment Convention, 1982 (No. 158), Art.11.

¹¹ სტურუა ნ., შრომითი ხელშეკრულების მოშლა, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი №1, 2015, 232-233.

¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, წიგნი III, თბილისი, 2001, 231.

საერთაშორისო აქტებიდან აღსანიშნავია ევროპის სოციალური ქარტიის დანაწესი, რომელიც ითვალისწინებს, ხელშეკრულების მოშლის შესახებ დასაქმებულისთვის გონივრული ვადით ადრე შეტყობინების ვალდებულებას, რაც განპირობებულია იმით, რომ დასაქმებულმა შეძლოს სხვა სამსახურის მოძებნა და არ დარჩეს შემოსავლის წყაროს გარეშე.¹³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე გაიზიარა აღნიშნული მსჯელობა და განმარტა, რომ დასაქმების შეწყვეტის შესახებ წინასწარი შეტყობინების მიღების უფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რაც ქარტიის 24-ე მუხლით არის გარანტირებული.¹⁴ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენცია კი ითვალისწინებს ალტერნატიულ ჩანაწერს, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს წინასწარ უნდა ეცნობოს ან მიეცეს კომპენსაცია¹⁵, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაქმებულის მხრიდან ჩადენილია მძიმე გადაცდომა და შესაბამისად შეტყობინების ვალდებულება გონივრულ აზრს მოკლებულია.¹⁶ მსგავს ჩანაწერს შეიცავს შსო-ს 166-ე რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნა სამსახურეობრივი გადაცდომის გამო, თუკი ის წინასწარ არ იქნება გაფრთხილებული და დარღვევის გამოსასწორებლად გონივრული ვადა არ მიეცემა. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როგორცაა, მაგალითად, სამსახურის გამართულად ფუნქციონირებისათვის იმგვარი ზიანის მიყენება, რაც ობიექტურად წინასწარ შეტყობინების ვალდებულების გამოყენებას მიზანშეუწონელს ხდის.¹⁷ რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდე-

¹³ Hepple B., *European Rules on Dismissal Law?*, *Comparative Labor Law Journal*, 1997, 8.

¹⁴ *Baka v. Hungary*, European Court of Human Rights, Application no. 20261/12, 27 May 2014.

¹⁵ C158 - Termination of Employment Convention, 1982 (No. 158), Art. 11.

¹⁶ იქვე.

¹⁷ ILO Recommendation No 166 on Termination of Employment Recommendation, 1982, Article 7.

ბულებას, 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წერილობითი შეტყობინების გზით, ამასთან გადაუხადოს არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება. საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის მე-2 ნაწილი დამსაქმებელს შესაძლებლობას აძლევს, დასაქმებულს გადაუხადოს 2 თვის კომპენსაცია და გაფრთხილებიდან 3 დღის განმავლობაში მოშალოს ხელშეკრულება. შრომის კოდექსი, აგრეთვე, განსაზღვრავს შემთხვევებს, რა დროსაც დასაქმებულს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია ხელშეკრულების მოშლის შესახებ, კერძოდ, როდესაც ხელშეკრულების მოშლა უკავშირდება დასაქმებულის კვალიფიკაციას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ეკონომიკურ გარემოებებს, ხანგრძლივ შრომისუუნარობას ან სხვა ობიექტურ საფუძველს. სხვა შემთხვევებში კი, სშკ არ ითვალისწინებს წინასწარ შეტყობინების ვალდებულებას. ხაზი უნდა გაესვას ევროპის სოციალური ქარტიის დანართში გაკეთებულ ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, წინასწარ შეტყობინება არ არის საჭირო, თუ დასაქმებულის მხრიდან ვალდებულების ისეთი უხეში დარღვევა იკვეთება, რომელიც ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლას წინასწარ გაფრთხილების გარეშე ამართლებს.¹⁸ ვინაიდან ევროპის სოციალური ქარტია რატიფიცირებულია საქართველოს მიერ, ეს დანაწესი ვრცელდება ქართულ კანონმდებლობაზეც. შესაბამისად, არ არსებობს დასაქმებულისთვის ხელშეკრულების მოშლის წინასწარ შეტყობინების ვალდებულება, როდესაც ვალდებულების დარღვევა იმგვარი ხასიათისაა, რაც შეუძლებელს ხდის შრომითსამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელებას და მოითხოვს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლას.¹⁹ ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე, საგულისხმოა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის ჩანაწერი, რაც ფაქტობრივად იდენტურად აწესრიგებს საკითხს, კერძოდ, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესე-

¹⁸ „ევროპის სოციალური ქარტიის“ დანართის II ნაწილის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი.

¹⁹ სტურუა ნ., შრომითი ხელშეკრულების მოშლა, სამართლის ჟურნალი, №1, 2015, 238-241.

ბა ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება.²⁰

უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე იმსჯელა წინასწარი შეტყობინების ინსტიტუტის მნიშვნელობაზე. საქმის ფაბულის მიხედვით, დასაქმებული მუშაობდა უნივერსიტეტში მონიტორინგის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდა მისი სამსახურში რამდენიმე დღით გამოუცხადებლობა, რაც განპირობებული იყო არასაპატიო მიზეზით. პალატამ დეტალურად იმსჯელა მოცემულ გარემოებებზე და განმარტა, თუ რა პირობები უნდა იყოს დაცული მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებში. უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, თუ რამ განაპირობა დამსაქმებლის ქმედება, როდესაც მან ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოსცა გათავისუფლების შესახებ ბრძანება, ასევე, მიზანშეწონილი იყო თუ არა წინასწარ გაფრთხილება. სასამართლომ აგრეთვე ყურადღება გაამახვილა, მოჰყვა თუ არა მძიმე შედეგი დასაქმებულის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენას და თუ არ მოჰყოლია, ხომ არ არსებობდა ამ შედეგის დადგომის მომეტებული რისკი. პალატამ გაიზიარა კონტინენტური ევროპული სამართლის ქვეყნების მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით და დაასკვნა, რომ მხოლოდ გაცდენილ დღეთა რაოდენობას არ გააჩნია მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა, არამედ, ყურადღება ექცევა იმას, თუ რა სახის შედეგი მოჰყვა ან შეეძლო მოჰყოლოდა განხორციელებულ ქმედებას.²¹

ჩვეულებისამებრ გასათვალისწინებელია სამუშაოს სპეციფიკა, რადგან გადაცდომის ხასიათიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და ახსნა-განმარტებების მიღების გარეშე მართლზომიერად იქნეს მიჩნეული. ასე მაგალითად, ბუნებ-

²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 2 ოქტომბრის №ას-106-101-2014 განჩინება.

რივია, განსხვავებული შედეგი უნდა დადგეს, როდესაც ლიანდაგის მეისრე აგვიანებს სამსახურში არასაპატიო მიზეზით და ლიანდაგის ისარს 15 წუთით გვიან წევს და მეორე შემთხვევაში, არქივის თანამშრომელი რამდენიმე დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სამსახურში. ამრიგად, სამუშაოს გაცდენის საათებისა თუ დღეების რაოდენობა არ არის საკმარისი კრიტერიუმი სამართლებრივი დასკვნების გამოსატანად, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს გადაცდომის სიმძიმე, სამსახურის სპეციფიკა და აღნიშნული ქმედების შედეგად დამდგარი შედეგი.²²

მაშასადამე, გაფრთხილების ვალდებულებისაგან გათავისუფლება გამართლებულია რიგ შემთხვევებში, კერძოდ, თუ უდავოა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება, რადგან დასაქმებულის მხრიდან ვალდებულების დარღვევა იმგვარი ხასიათისაა, რომ დამსაქმებელს მის მიმართ ნდობას უკარგავს ან ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, რის გამოც დამსაქმებელმა ინტერესი დაკარგა.²³ უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, გათავისუფლების თაობაზე, წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არის ერთგვარი სამართლებრივი გარანტია, რათა დასაქმებული მომზადებული შეხვედეს სამუშაოდან გათავისუფლებას და მისთვის ეს არ იყოს მოულოდნელი.²⁴

IV. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილების დასაბუთების ვალდებულება და გათვალისწინებული ვადები

საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის მიხედვით, დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან 30 კალე-

²² შველიძე ზ., შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადანყვეტილებათა კრებული), თბილისი, 2020, 187.

²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 6 თებერვლის №822-788(კ-06) გადანყვეტილება.

ნდარული დღის ვადაში დასაქმებულს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარის გადანყვეტილების დასაბუთება. დასაქმებულისათვის აღნიშნული დასაბუთების მიწოდების ვადა განსაზღვრულია 7 კალენდარული დღით. დასაბუთებულ გადანყვეტილებაში ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული ის საფუძველი/საფუძველები, რის გამოც შრომითსამართლებრივი ხელშეკრულება შეწყდა.²⁵

დასაქმებული უფლებამოსილია დასაბუთებული გადანყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში გაასაჩივროს აღნიშნული გადანყვეტილება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მოთხოვნიდან 7 დღის ვადაში არ გადასცემს გათავისუფლებასთან დაკავშირებით დასაბუთებულ გადანყვეტილებას, ბუნებრივია, დასაქმებულს არ ერთმევა შესაძლებლობა საკუთარი სამართლებრივი უფლებები სასამართლოსთვის პირდაპირი მიმართვის გზით დაიცვას და, შესაბამისად, გაასაჩივროს სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადანყვეტილება. რაც შეეხება ვადას, ამ შემთხვევაშიც გავრცელდება გასაჩივრების ოცდაათდღიანი ვადა, რომელიც მას შემდეგ აითვლება, რაც უშედეგოდ ჩაივლის დამსაქმებლისთვის მიცემული შვიდდღიანი ვადა.²⁶

იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული დათხოვნის შესახებ დასაბუთებულ გადანყვეტილებას დამსაქმებლისგან არ მოითხოვს, შრომის კოდექსი დასაქმებულს შესაძლებლობას უტოვებს, გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს. ამ უფლების განხორციელების ოცდაათდღიანი ხანდაზმულობის ვადა აითვლება გათავისუფლების შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან.²⁷

მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მტკიცების ტვირთის სტანდარტი: 1. როდესაც დასაქმებული ითხოვს დასაბუთებულ გადანყვეტილების გადაცემას და 2. დასაქმებული პირდაპირ სასამართლოსთვის მიმართვის გზით ახდენს გასაჩივრების უფლების

²⁵ საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

²⁶ იქვე, 48-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

²⁷ იქვე.

რეალიზებას. პირველ შემთხვევაში, თუკი დამსაქმებელი დასაქმებულს მოთხოვნის წარდგენიდან 7 დღის ვადაში არ გადასცემს დასაბუთებულ გადანყვეტილებას, დავის ფაქტობრივ გარემოებებზე მტკიცების ტვირთი გადადის უშუალოდ დამსაქმებელზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, თუ დასაქმებული დამსაქმებელს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დასაბუთებული გადანყვეტილების მოთხოვნით არ მიმართავს, მაშინ უკვე მტკიცების ტვირთი განაწილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმების შესაბამისად.²⁸

საგულისმოა ხანდაზმულობის ვადების ათვლის დაწყების საკითხი. ზოგადი წესის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.²⁹ სამართალურთიერთობის სენსიტიური ხასიათიდან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ვადების სწორად ათვლის საკითხს ენიჭება. საერთო სასამართლოებს არაერთხელ უმსჯელიათ საკითხზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლის წერტილად მიიჩნევა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მისვლის მომენტი, თუ განთავისუფლების ბრძანების ოფიციალურად ჩაბარების დრო.³⁰

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უზენაეს სასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს ერთგავროვანი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყების თარიღად მიჩნეულია აღნიშნულის თაობაზე ფაქტობრივად შეტყობის და არა ბრძანების ოფიციალურად ჩაბარების მომენტი.³¹

²⁸ სტურუა ნ., შრომითი ხელშეკრულების მოშლა, სამართლის ჟურნალი, №1, 2015, 242.

²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი.

³⁰ ხვედელიძე მ., შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების მიმართ მოქმედი მატერიალური და პროცესუალური ვადები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(63), 2019, 115.

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 2 ნოემბრის №ას-905-871-2016 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 მარტის №ას-1298-1218-2015 განჩინება.

წინა კოდექსიდან განსხვავებით, მოქმედმა საქართველოს შრომის კოდექსს აქვს დათქმა, რომ დასაქმებულს ეძლევა სასამართლოსთვის განმეორებით მიმართვის უფლება, თუ მის მიერ წარდგენილი სარჩელი არ მიიღეს ან განუხილველად დატოვეს. აღნიშნული უფლების ვადა აითვლება სასამართლოს განჩინების ჩაბარებიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის მანძილზე.³²

საინტერესოა საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის შედარებითი ანალიზი, ვინაიდან ამ შემთხვევაში იკვეთება ნორმათა კონკურენცია.³³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად, თუ მოსარჩელე სარჩელს გამოიხმობს ან სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან და უფლებამოსილ პირს შეუძლია 6 თვის ვადაში ხელახლა შეიტანოს სარჩელი.³⁴ აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა და ხაზი გაუსვა იმ საკითხს, რომ თუკი სარჩელი არ აკმაყოფილებს ფორმალურ ან/და შინაარსობრივ წინაპირობას, დაინტერესებულ სუბიექტს უნდა ჰქონდეს მყარი გარანტია, საკუთარი დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოს სასამართლოს. კანონმდებელმა სწორედ ამ მიზნით დააწესა ექვსთვიანი დროის მონაკვეთი, რათა დავის მიმართ მოტივირებულმა სუბიექტმა აღმოფხვრას სარჩელში არსებული ხარვეზი, შესაბამისობაში მოიყვანოს ფორმალური ან/და შინაარსობრივი წინაპირობანი და ხელახლა მიმართოს სასამართლოს.³⁵ მაშა-

³² საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

³³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 თებერვლის №2/პ 5312-17 გადაწყვეტილება.

³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლი.

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 დეკემბრის №ას-652-2019 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 31 ოქტომბრის №ას-103-2019 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივნისის №ას-52-2019 გადაწყვეტილება.

სადამე, აღნიშნული ჩანაწერი პირს საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად ამონუროს საკუთარი უფლების სამართლებრივად დაცვის შესაძლებლობა და გამოიყენოს ყველა შესაძლო რესურსი.³⁶

აღნიშნული საკითხი განსხვავებულად არის მოწესრიგებული შრომის კოდექსის 48-ე მუხლის მე-6 ნაწილში, სადაც სარჩელის მიღებაზე უარის თქმისა ან განუხილველად დატოვების შემთხვევაში, დამსაქმებელს განმეორებით მიმართვისთვის აქვს ოცდაათდღიანი ვადა, რომელიც შესაბამისი განჩინების მისთვის ჩაბარების მომენტიდან აითვლება. მიმაჩნია, რომ ვადის შემჭიდროვების საფუძველი თავად შრომითსამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. მუშაკის სამსახურიდან დათხოვნის დროს ის, როგორც წესი, რჩება შემოსავლის წყაროს გარეშე. შესაბამისად, მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საკუთარი დარღვეული უფლების აღსადგენად და შექმნილი სიტუაციის გამოსასწორებლად დროულად მიიღოს საჭირო სამართლებრივი ზომები, თუკი, რა თქმა უნდა, არსებობს საამისოდ ლეგიტიმური სამართლებრივი წინაპირობები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ბალანსი დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლებებს შორის. არაკეთილსინდისიერი მოდავე მხარე დამსაქმებელთან მიმართებით შეიძლება უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს, თუ განმეორებითი სარჩელის ხანდაზმულობის ვადა ნ თვით განისაზღვრება, ვინაიდან შესაძლოა, დასაქმებული მიზნად ისახავდეს ვადის გაჭიანურებას და უფლების ბოროტად გამოყენებას, რამაც შესაძლოა, დამსაქმებელი საგრძნობლად დააზარალოს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შრომის კოდექსში ცვლილების შეტანამდე, ფაქტობრივად, არათანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ ის დასაქმებულები, რომლებმაც საქართველოს შრომის კოდექსის ვადების დაცვით მიმართეს სასამართლოს, განსხვავებით იმ დასაქმებულებისაგან, რომლებსაც შეეძლოთ შეეტანათ ხარვეზიანი სარჩელი ან თავადვე გამოეხმოთ ის. შესაბამისად, ხელოვნურად გაეზარდათ სასარჩელო

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 თებერვლის №ას-1210-2018 გადაწყვეტილება.

ხანდაზმულობის ვადა და 6 თვის ვადაში განმეორებით შეეტანათ სარჩელი.³⁷ აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ვადების შემჭიდროვება ემსახურება როგორც დასაქმებულების, ასევე დამსაქმებელთა ლეგიტიმური ინტერესების ბალანსის დაცვას.

ნორმათა კონკურენციის კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ შრომის კოდექსი ორგანული კანონია. შესაბამისად, იერარქიული თვალსაზრისით, ის სამოქალაქო კოდექსზე მაღლა მდგომი სამართლებრივი აქტია. ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს შრომის კოდექსის ჩანაწერს, რომელიც სამოქალაქო კოდექსის ექვსთვიანი ვადისაგან განსხვავებით, სარჩელის განმეორებით შეტანის ხანდაზმულობის შემჭიდროვებულ ოცდაათდღიან ვადას განსაზღვრავს.³⁸

გასაჩივრების შემჭიდროვებული ვადის არსებობა უზრუნველყოფს შრომითსამართლებრივი ურთიერთობის სიცხადეს და ბრუნვის სტაბილურობას. გასაჩივრების ხანგრძლივი ვადის დაწესებით შესაძლოა კანონმდებელმა დასაქმებულს ამ უფლებით მანიპულაციისკენ უბიძგოს, კერძოდ, შეიძლება ხელშეკრულების შეწყვეტის კანონიერებასთან დაკავშირებით დასაქმებულმა მაქსიმალურად გვიან მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სრული დროის განმავლობაში განაცდური ხელფასი ისე, რომ ფაქტობრივად აღარც ჰქონდეს ძველ პოზიციაზე დაბრუნების ინტერესი. მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესები დაბალანსდეს.³⁹ მიმაჩნია, რომ ოცდაათდღიანი ვადა სრულიად ადეკვატური და რაციონალური პერიოდია იმისათვის, რომ ერთი მხრივ, დასაქმებულმა დაიცვას საკუთარი უფლებები, ხოლო მეორე

³⁷ ხვედელიძე მ., შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების მიმართ მოქმედი მატერიალური და პროცესუალური ვადები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(63), 2019, 116.

³⁸ იქვე.

³⁹ ჩაჩავა ს., შრომის ხელშეკრულების ნებაზე დამოკიდებული და მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი შეწყვეტა – 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებით დამკვიდრებული ახალი კლასიფიკაცია, შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, ს. ჩაჩავას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 135.

მხრივ, დამსაქმებელი არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში და არ შეფერხდეს მისი საწარმოო საქმიანობა.

V. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტი

გათავისუფლებისაგან დაცვის ძირითადი პრინციპები განმტკიცებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციაში, რომელიც უფრო კონკრეტულად აწესრიგებს დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს, განსხვავებით სოციალური ქარტიისგან, რომლის ჩანაწერი შედარებით ზოგადი ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება საქართველოს არ მოუხდენია, ის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, შესაბამისად, ვალდებულია თავისი კანონმდებლობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს.⁴⁰ გარდა ამისა, ეს ვალდებულება საქართველომ იკისრა ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით.⁴¹

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის ფუძემდებლური ნაწილია დასაბუთების პრინციპი. კონვენცია მოითხოვს, რომ გათავისუფლების მიზეზი ეფუძნებოდეს ერთ-ერთ საფუძველს: დასაქმებულის უნარები, დასაქმებულის ქცევა ან ბიზნესინტერესები.⁴² იმ ქვეყანათა ადგილობრივი კანონმდებლობა, რომლებიც მიზანშეწონილად და სამართლებრივად მიიჩნევენ ხელშეკრულების შეწყვეტას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ეწინააღმდეგება კონვენციის ფუძემდებლურ პრინციპს, განსაკუთრებით ეს ეხება იმ შემთხვევას, როდესაც დასაქმებული უხეშად არღვევს ვალდებუ-

⁴⁰ საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, ა. ბორონის რედაქტორობით, ვ. ზაალიშვილის, ნ. ჩიტაშვილის, ს. ფრუიძის, თ. შუდრას, თ. ბერიკელაშვილის, ს. ქერაშვილის, გ. ამირანაშვილის, გ. მახარობლიშვილის თარგმანი, თბილისი, 2016, 347.

⁴¹ ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 229-ე მუხლი.

⁴² შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციის მე-4 მუხლი.

ლებას. იმ შემთხვევაში, როდესაც შრომითსამართლებრივი ურთიერთობა წყდება დასაქმებულის უნარების ან ქცევის საფუძვლით (ვალდებულების დარღვევა), მნიშვნელოვანია გათვალისწინება იმისა, თუ რაოდენ უარყოფით გავლენას ახდენდა ეს აღნიშნული სამუშაოს შესრულებასა და უშუალოდ სამუშაო გარემოზე. თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული იმ კრიტერიუმთა ჩამონათვალი, რომლის დროსაც დამსაქმებელს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორც ნესი, კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ, რამდენად დასაბუთებულად და საფუძვლიანად მოხდა მუშაკის დათხოვნა.⁴³

სხვადასხვა ქვეყანაში განასხვავებენ არასათანადო ქცევის ხარისხს. ერთ-ერთი არის უხეში დარღვევა, რომელიც გათავისუფლების საფუძველია. ზოგიერთ ქვეყანაში ეს სტანდარტი საკმაოდ მაღალია და ფორმულირებულია შემდეგნაირად: დარღვევა უნდა იყოს იმ ხასიათის, რაც შეუძლებელს ხდის შრომითსამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელებას, თუნდაც დროებით. არასათანადო ქცევის მეორე სახედ მიჩნეულია შედარებით ნაკლებად სერიოზული დარღვევა. აღნიშნული საფუძვლით დასაქმებულის გათავისუფლების შემთხვევაში დამსაქმებელს წინასწარ შეტყობინების ვალდებულება აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ღონისძიებაა, იმ შემთხვევებში, როდესაც კანონმდებლობით დეტალურად არ არის განერილი ვალდებულების დარღვევის საფუძვლები, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება დამსაქმებლის ქმედებას. სანამ ის მიმართავს უკიდურეს ღონისძიებას უნდა გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა სათანადო ზომები, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათი ამის საშუალებას იძლევა.⁴⁴

კონვენცია აგრეთვე საუბრობს მტკიცების ტვირთზე. არ შეიძლება მტკიცების ტვირთი მხოლოდ დასაქმებულს აწვეს, ვინაიდან

⁴³ International Law Commission (ILC), 67th Session, Report VIII (2), 1981, 33.

⁴⁴ იქვე, პარ. 89-93.

ხელშეკრულების შეწყვეტის რეალურ მიზეზებს სწორედ დამსაქმებელი ფლობს.⁴⁵

მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 166-ე რეკომენდაცია, რომელიც დამსაქმებელს ავალდებულებს, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გაუგზავნოს წერილობითი ახსნა-განმარტება, თუ რა საფუძველით მიიღო მან გადაწყვეტილება გათავისუფლების შესახებ. შეტყობინების ვადა უნდა იყოს გონივრული. თუმცა, არსებობს ამ წესისგან გამონაკლისი: როდესაც დასაქმებული ჩაიდენს მნიშვნელოვან დარღვევას, ამ შემთხვევაში, არაგონივრული იქნება დამსაქმებელს მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება შეტყობინების ვადის განმავლობაში.⁴⁶

VI. საერთო სამართლის (აშშ-ის) მიდგომა

კონტინენტური ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის კუთხით დასაქმებულთა დაცვის სტანდარტი საკმაოდ მაღალია, აშშ-ში დომინირებს ე.წ. „სურვილით დასაქმების“ დოქტრინა. ეს წესი როგორც დამსაქმებელს, ასევე დასაქმებულს აძლევს საშუალებას, შეწყვიტონ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა ნებისმიერ დროს რაიმე მიზეზით ან მის გარეშე. ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა დასაქმებულს ავალდებულებს, არა მხოლოდ დაასაბუთოს გათავისუფლების მართლზომიერება, არამედ, აგრეთვე, განუსაზღვრავს წინასწარი შეტყობინების ვალდებულებას. გარდა ამისა, განთავისუფლებულ დასაქმებულს უნდა მიეცეს კომპენსაცია მისი სტაჟის გათვალისწინებით, ხოლო რაც შეეხება ამერიკულ „სურვილით დასაქმების“ დოქტრინას, ის კონტინენტური ევროპული სამართლის ქვეყნებისთვის ანომალიურადაც კი მიიჩნევა, ვინაიდან კანონმდებ-

⁴⁵ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁶ ILO Recommendation No 166 on Termination of Employment Recommendation, 1982, 10.

ლობით არ არის გათვალისწინებული არც კომპენსაციის საკითხი და არც წინასწარი შეტყობინების ინსტიტუტი.⁴⁷

დასაქმებულის ქცევიდან გამომდინარე, გათავისუფლების საფუძვლად მიჩნეულია ისეთი ქმედებები, როგორცაა სუბოროდინაციის პრინციპის უხეში დარღვევა, უსაფრთხოების წესების დარღვევა, სამსახურეობრივი ვალდებულების შესრულების პერიოდში სამუშაო ტერიტორიის უნებართვოდ დატოვება, სამსახურის ტერიტორიაზე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება და ა.შ. როდესაც ხდება დამსაქმებლის მიერ მუშაკის გათავისუფლება მნიშვნელოვანი საფუძვლით, რაც განპირობებულია დასაქმებულის საქციელით, დამსაქმებელი უნდა მოქმედებდეს გონივრულობის და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით.⁴⁸ კეთილსინდისიერად მოქმედების პრინციპი დაცულია იმ შემთხვევაში, თუკი დასაქმებულის არამართლზომიერი ქცევა იმ სახისაა, რომ იძლევა გათავისუფლების საკმარის საფუძველს და მიზნად არ ისახავს დამსაქმებლის მხრიდან მუშაკის დათხოვნას სხვა მოჩვენებითი მოტივით⁴⁹. ორეგონის სასამართლომ გადანყვეტილებაში საქმეზე *Fleming v. Kids & Kin Head Start* აღნიშნა, რომ დამსაქმებელს არა აქვს უფლება ერთპიროვნულად განსაზღვროს, რა უნდა იქნეს მიჩნეული მნიშვნელოვან საფუძვლად, თუ ეს ხელშეკრულებით პირდაპირ განსაზღვრული არ არის.⁵⁰

განასხვავებენ *Baldwin*-ის⁵¹ და *Toussaint*-ის⁵² წესებს. *Toussaint*-ის წესის თანახმად, თუ დასაქმებულს არ ჩაუდენია არასათანადო

⁴⁷ Rasnic C.D., Die Kündigung, Licenciement, Recesso Dal Contrato, "Firing", or "Sacking": Comparing European and American Laws on Management Prerogatives and Discretion in Termination Decisions, *Indiana International and Comparative Law Review*, Vol. 18, №1, 2008, 19.

⁴⁸ Fabiano, M. D., The Meaning of Just Cause for Termination When an Employer Alleges Misconduct and the Employee Denies it, *Hastings Law Journal*, №44(2), 1993, 401.

⁴⁹ *Kestenbaum v. Pennzoil Co.*, 766 P.2d 280, 287 (N.M. 1988).

⁵⁰ *Fleming v. Kids & Kin Head Start*, 71 Or. App. 718, 693 P.2d 1363 (1985).

⁵¹ *Baldwin v. Sisters of Providence in Wash.*, 769 P.2d 298, 304 (Wash. 1989).

⁵² *Toussaint v. Blue Cross & Blue Shield*, 292 N.W.2d 880, 895 (Mich. 1980).

ქცევა, გათავისუფლება არამართლზომიერი იქნება, ვინაიდან არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. **Baldwin**-ის წესი კი უფრო დამსაქმებლის მხარეს იჭერს. ამ უკანასკნელის თანახმად, გათავისუფლება უნდა იყოს გონივრული, კარგად დასაბუთებული და ეფუძნებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპს, თუმცაღა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დამსაქმებლის პრეროგატივაა. **Baldwin**-ის და **Toussaint**-ის წესებს შორის განსხვავება არის ის, რომ დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის მნიშვნელოვანი საფუძვლით გათავისუფლების შემთხვევაში **Toussaint**-ი უფრო მკაცრ მიდგომას იყენებს. ეს წესი განსაკუთრებით კარგად აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როცა ხელშეკრულებით ექსპლიციტურად არის გათვალისწინებული, რომ მუშაკის დათხოვნა არ უნდა განხორციელდეს, თუ ის არ ჩაიდენს არასათანადო ქცევას. ორივე მიდგომა დასაქმებულის დაცვისკენ არის მიმართული, რომ დასაქმებულისთვის შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის გარეშე არ შეწყდეს.⁵³

დასაქმებულის არამართლზომიერი ქცევის მტკიცების ტვირთი დამსაქმებელზეა. მან უნდა დაადასტუროს დასაქმებულის არასათანადო ქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში გათავისუფლების მნიშვნელოვანი საფუძველი ვერ იარსებებს.⁵⁴ მაშასადამე, მას შემდეგ, რაც მოსარჩელე *prima facie* დაამტკიცებს, რომ ის უკანონოდ გათავისუფლეს, მტკიცების ტვირთი დამსაქმებელზე გადადის.⁵⁵

შედარებითსამართლებრივი კუთხით საჭიროა აღინიშნოს, რომ „მნიშვნელოვანი საფუძვლის“ დოქტრინა კონტინენტური სამართლის მიდგომას, კერძოდ, გერმანულ „სოციალურად დასაბუთებულ“ პრინციპს ჰგავს. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კანონმდებლობის სტანდარტი ბევრად უფრო მაღალია და დაცვის უფრო მყარ მექანიზმებს აწესებს. განსხვავებით გერმანი-

⁵³ Fabiano, M. D., The Meaning of Just Cause for Termination When an Employer Alleges Misconduct and the Employee Denies It, *Hastings Law Journal*, 44(2), 1993, 418.

⁵⁴ *Sanders v. Parker Drilling Co.*, 911 F.2d 191, 196 (9th Cir. 1990).

⁵⁵ *Pugh v. See's Candies, Inc.*, 171 Cal. Rptr. 917, 927 (Ct. App. 1981).

ისგან, აშშ-ში შესაძლებელია არბიტრაჟისათვის მიმართვა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გადასასინჯად. აგრეთვე შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში მკაფიოდ იკვეთება კერძო ავტონომიის პრინციპი, განსხვავებით ევროპული სოციალური სახელმწიფოებისგან, სადაც საჯარო ჩარევა საკმაოდ ხელშესახებია. გათავისუფლების კანონიერების მტკიცების ტვირთი გერმანულ კანონმდებლობაში დამსაქმებელს ეკისრება. „სურვილით დასაქმების“ დოქტრინის გამოყენების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი დასაქმებულზეა, ვინაიდან დამსაქმებელს შეუძლია მუშაკი ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს, თუ ხელშეკრულება სხვაგვარ მონესრიგებას არ ითვალისწინებს.⁵⁶

„სურვილით დასაქმების“ დოქტრინის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ეს წესი მნიშვნელოვან ეკონომიკურ მიზანს ემსახურება, კერძოდ, როდესაც დამსაქმებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დასაქმებული, ამ უკანასკნელს გააჩნია მეტი მოტივაცია იყოს პროდუქტიული და პირიქით, ვინაიდან დასაქმებულსაც აქვს უფლება ნებისმიერ დროს დატოვოს სამსახური, დამსაქმებელიც უფრო მეტად არის მოტივირებული სათანადო სამუშაო გარემო შეუქმნას დასაქმებულს, რათა თავიდან აირიდოს კვალიფიციური კადრების გადინება. ეს ყოველივე კი მთლიანობაში ქმნის შრომითსამართლებრივი ურთიერთობის დაცულობის და სიმყარის მეტ გარანტიას.⁵⁷

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ აშშ-ს შრომის კანონმდებლობა, განსხვავებით კონტინენტურ ევროპული სამართლის ქვეყნებისგან ემყარება მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპს, მხარეებს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, ის წა-

⁵⁶ საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, ა. ბორონის რედაქტორობით, ვ. ზალიშვილის, ნ. ჩიტაშვილის, ს. ფრუიძის, თ. შუდრას, თ. ბერიკელაშვილის, ს. ქერაშვილის, გ. ამირანაშვილის, გ. მახარობლიშვილის თარგმანი, თბილისი, 2016, XLVI-XLVII.

⁵⁷ Hackstock C., Heyroth A., *Employment at will: the legal perspective*, Values-based leadership, Section 2, Houston, 2002, 5.

რმოადგენს „ცივილური სამართლისა“ და ევროკავშირის დირექტივების ერთგვარ ნაზავს და ასახავს პლურალისტურ მიდგომას.⁵⁸

VII. შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლის კანონიერების შემოწმება

საქართველოს უზენაეს სასამართლოს აქვს ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკა, თუ რა სტანდარტის დაცვით უნდა შემოწმდეს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლის კანონიერება. სასამართლო, როგორც წესი, ამოწმებს, დამსაქმებელმა რამდენად მართლზომიერად გამოიყენა დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნის უფლება. ამისათვის კი კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება დათხოვნის უფლების გამოყენების განმაპირობებელ გარემოებებს, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას და ანალიზს.⁵⁹

ერთ-ერთ საქმეში დამსაქმებელი კომპანია ითხოვდა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, სადაც დასაქმებულთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გათავისუფლების ბრძანება უკანონოდ იქნა მიჩნეული და დამსაქმებელს დაეკისრა მათი სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში შეწყვეტის საფუძველი საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები (ძველი რედაქციით 37-ე მუხლი) იყო. მოცემულ საქმეში იყო ორი დასაქმებული, რომელთაგან ერთი განთავისუფლდა ვალდებულების განმეორებით დარღვევის, ხოლო მეორე - ვალდებულების უხეში დარღვევის გამო. ეს პირები დასაქმებულები იყვნენ სანყოფის ოპერატორის თანამდებობაზე.

⁵⁸ საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, ა. ბორონის რედაქტორობით, ვ. ზაალიშვილის, ნ. ჩიტაშვილის, ს. ფრუიძის, თ. შუდრას, თ. ბერიკელაშვილის, ს. ქერაშვილის, გ. ამირანაშვილის, გ. მახარობლიშვილის თარგმანი, თბილისი, 2016, XLIX-L.

⁵⁹ შველიძე ზ., შრომითი დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული), თბილისი, 2020, 132.

საწყობში ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა მნიშვნელოვანი სასაქონლო დანაკლისი. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ გააკეთა განმარტება, რომლის მიხედვითაც, დასაქმებულთა მხრიდან დარღვეული არ იყო თანამდებობრივი ინსტრუქციები, ვინაიდან პირველ რიგში უნდა დადგინდეს საწყობში აღმოჩენილი მასალის დანაკლისი არის თუ არა დასაქმებულთა ბრალეული მოქმედების შედეგი. ამისათვის კი უნდა განისაზღვროს, ხელშეკრულება ან/და შინაგანანესი რამდენად ითვალისწინებდა კონკრეტული ვალდებულების შესრულებას. მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი, რომ დასაქმებული გულისხმიერად უნდა მოექცეს დამსაქმებლის ქონებას და შედარებით მაღალი ანაზღაურების დანიშვნა აპრიორი არ გულისხმობს ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მოვალეობის შესრულებას. აღნიშნულ შემთხვევაში დამსაქმებელმა ვერ დაადასტურა დასაქმებულთა მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტი.⁶⁰

საგულისხმოა ის, რომ სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას, რაც თავის თავში მოიაზრებს გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლების კვლევას. ამისათვის კი სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით და ადგენს, დამსაქმებლის მიერ ხომ არ განხორციელდა უფლების ბოროტად გამოყენება.⁶¹

აგრეთვე, მნიშვნელოვანია, შრომითსამართლებრივი ხელშეკრულების მოშლისას სასამართლოს როლის აღნიშვნა მაშინ, როდესაც გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში ხელშეკრულების მოშლის ნორმატიული საფუძველი მითითებული არ არის. დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციით გარანტირებული ზოგადი პრინ-

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის №ას-348-326-2017 გადაწყვეტილება.

⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის №ას-110-2019 განჩინება.

ციპია, რაც დასაქმებულს იცავს დამსაქმებლის თვითნებობისა და არამართლზომიერი ქმედებებისაგან.⁶² ერთ-ერთ საქმეში, რომელიც შეეხებოდა დასაქმებულის მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულებას, უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა და ხაზი გაუსვა, რომ სასამართლო აღასრულებს მართლმსაჯულებას, მაშასადამე, სწორედ მას ეკისრება სადავო ბრძანების გამოკვლევის, შეფასების, სიღრმისეული ანალიზის ვალდებულება, რათა უზრუნველყოს მართლმსაჯულების განხორციელება და ყოველ კონკრეტულ საქმეში დაადგინოს, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში რამდენად არის დაცული მართლზომიერების პრინციპი, ასევე, შესაბამისობაშია თუ არა სადავო ბრძანება ნორმატიულ აქტებთან, დამსაქმებელი ბოროტად ხომ არ იყენებს საკუთარ უფლებამოსილებას და ყოველგვარი ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის გარეშე დასაქმებულს ხომ არ უსპობს კონსტიტუციითა და სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ შრომის უფლებას. მაშასადამე, შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლის კანონიერების შემომწმებისას სასამართლოს საკმაოდ ფართო მიხედულობის ფარგლები აქვს, რაც ემსახურება დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას.⁶³

VIII. დასკვნა

საქართველოს შრომის კოდექსის დღევანდელი რედაქცია ვერ პასუხობს დასაქმებულის მიერ ვალდებულების დარღვევის საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. დამსაქმებელი ხშირად სათავისოდ იყენებს კანონში არსებულ ბუნდოვან ჩანაწერს და არაარსებითი დარღვევის დროსაც კი დასაქმებულს სამსახურიდან ათავისუფლებს, რითაც ეს

⁶² C158 - Termination of Employment Convention, 1982 (No. 158), Art. 9(2)a.

⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის №ა-483-457-2015 გადაწყვეტილება.

უკანასკნელი დაუცველ მდგომარეობაში რჩება. თუმცა შეიძლება სრულიად საპირისპირო ვითარება წარმოიქმნას, თუ არაკეთილსინდისიერი დასაქმებული ზოგადი ნორმატიული ჩანაწერით მანიპულირებას მოახდენს და ამით დამსაქმებელს მისთვის მიუღებელი კადრის სამსახურიდან დათხოვნის ლეგიტიმურ საშუალებას წართმევს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი და დაცული იქნეს ჯანსაღი სამუშაო გარემო და შრომითსამართლებრივი სუბიექტების ინტერესები, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე არსებობდეს კონკრეტული, მკაფიო ნებსები, რათა სასამართლოს ჰქონდეს შესაძლებლობა იხელმძღვანელოს არა შეფასებითი ინდიკატორით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ იმპერატიული ნორმებით, რომლებიც დეტალურად მოაწესრიგებს ვალდებულების დარღვევის საფუძვლით დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხებს.

პრაქტიკაში საკმაოდ პრობლემური და ამავდროულად აქტუალურია ხანდაზმულობის ვადის საკითხი, როდესაც სარჩელი არ აკმაყოფილებს ფორმალურ ან/და შინაარსობრივ წინაპირობას, დაინტერესებულ სუბიექტს უნდა ჰქონდეს მყარი გარანტია საკუთარი დარღვეული უფლების აღსადგენად. აღნიშნულ შემთხვევაში დასაქმებულს უფლება აქვს იმავე სარჩელით განმეორებით მიმართოს სასამართლოს, თუმცა სადავოა, რა ვადა გამოიყენება სარჩელის ხელმეორედ შესატანად: **30** დღე თუ **6** თვე. უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ეს ვადა უნდა შეადგენდეს **6** თვეს, რათა დასაქმებულმა საკუთარი უფლებების სათანადოდ დაცვა შეძლოს. შრომის კოდექსის ახალი რედაქციით, სარჩელის ხელმეორედ შეტანის ვადა **30** დღით განისაზღვრა, თუმცა ძველი კოდექსის მოქმედების პერიოდში განთავისუფლების საქმეებზე სასამართლო დავები განიხილება საქართველოს შრომის კოდექსის ძველი რედაქციით. დავები, თავის მხრივ, დროში ინელევა და ეს პრაქტიკაში საკმაოდ სერიოზულ პრობლემას ქმნის. ვთვლი, რომ ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადის გამოყენება არაგონივრუ-

ლია, რადგან შესაძლოა არაკეთილსინდისიერმა მხარემ ეს გამოიყენოს ვადის გაჭიანურებისა და უფლების ბოროტად გამოყენების მიზნით. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ხანდაზმულობის შემჭიდროვებულ ოცდაათდღიან ვადას, რათა გათვალისწინებული იქნეს როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულის უფლებები და საფრთხე არ შეექმნას სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობას.

**პირგასამტეხლო, სოლიდარული პასუხისმგებლობა და
დაუყოვნებლივ აღსრულება: საქართველოს უზენაესი
სასამართლოს განჩინების ანალიზი**

I. შესავალი

2022 წლის 28 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოსარჩელე ბანკისა და მოპასუხეებს - კასატორებს შორის არსებული დავა საქმეზე **ნას-415-2020**. უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. განსახილველი დავა შეეხებოდა საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირი თანხის, პროცენტის, პირგასამტეხლოსა და საპროცენტო სარგებლის მოპასუხისთვის დაკისრებას.¹ საკასაციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში ძირითადად შეაფასა პირგასამტეხლოს დაკისრებისა და მისი შემცირების სამართლებრივი საფუძვლები, ასევე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება და უძრავი ქონების რეალიზაციის მართლობიერება.² აღნიშნული გადაწყვეტილება კარგ გამოცდილებას იძლევა იმის გასაგებად, თუ რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს შეამციროს პირგასამტეხლო, ასევე, მხარეს რატომ ერთმევა უფლება, მესამე ინსტანციაში გაასაჩივროს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რაც სააპელაციო სასამართლოში არ გაუსაჩივრებია.

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მაგისტრანტი.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2022 წლის 28 თებერვლის **ნას-415-2020** გადაწყვეტილება, პარ. 1.

² იქვე, პარ. 15.

II. ფაქტობრივი გარემოებები

2014 წლის 12 დეკემბერს ბანკსა და მსესხებელს შორის დაიდო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკმა მოვალეზე ლიმიტად დაუშვა 500 000 აშშ დოლარი ან მისი ეკვივალენტი ლარი.³ ბანკმა მსესხებელს კრედიტად მისცა 11 000 ლარი, 23 თვის ვადით, წლიური 17 % განაკვეთით, სადაც ასევე გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.5 %-ის ოდენობით.⁴ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად კრედიტორსა და სამ თავდებ (შემდგომში მოპასუხეები) პირს შორის სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები დაიდო, რომელთა საფუძველზეც თითოეული თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ზღვრად 50 000 დოლარი განისაზღვრა.⁵ 2014 წლის 12 დეკემბერს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში მდებარე მოვალის უძრავი ქონება⁶.

სადავო ფაქტობრივ გარემოებად მოპასუხეებისთვის მიიჩნეოდა საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროცენტის - 833.95 ლარი, პირგასამტეხლოს - 414 ლარი და საკომისიოს - 477 ლარის დაკისრება, ასევე კასატორები სადაოდ ხდიდნენ სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას და საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრებას.⁷

III. სასამართლო დავის ისტორია

2018 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.⁸ კრედიტორი სარჩელით ითხოვდა საბანკო კრედიტისა და სოლიდარული

³ იქვე, პარ. 1.

⁴ იქვე, პარ. 2.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, პარ. 4.

⁷ იქვე, პარ. 9.

⁸ იქვე, პარ. 8.

თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანებების, 10 951.09 ლარის, მოპასუხეებისთვის სოლიდარულად დაკისრებას და მოსარჩელის მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების დაფარვის მიზნით იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციას, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მსესხებლის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი სხვა ქონების სარეალიზაციოდ მიქცევას და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას.⁹ 2018 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. არ დაკმაყოფილდა მხოლოდ მოსარჩელის მოთხოვნა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხეებისთვის სოლიდარულად 3726,14 ლარის დაკისრების თაობაზე.¹⁰ სასამართლომ გაიზიარა მოპასუხეთა პრეტენზია პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე და მოპასუხეებს იგი ათჯერ შეუმცირა¹¹.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება.¹² თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მაინც არ დააკმაყოფილა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვა უცვლელად.¹³ სასამართლომ ასევე იმსჯელა საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებაზე და ყურადღება მიაპყრო იმ განჩინებას, რომლითაც შეწყდა საქმის წარმოება პირველი მოპასუხის მიმართ.¹⁴ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, რომელსაც საფუძვლად დაედო მოპასუხეთა

⁹ იქვე, პარ. 7.

¹⁰ იქვე, პარ. 8.

¹¹ იქვე.

¹² იქვე, პარ. 9.

¹³ იქვე, პარ. 10.

¹⁴ იქვე, პარ. 16.3.

ნარმოდგენლის მიერ ძირი თანხისა და პროცენტის დაკისრების ნაწილში სარჩელის ცნობა და პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება.¹⁵ სააპელაციო სასამართლომ ყურადღება ასევე გაამახვილა გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნაზე და უტყუარად მიიჩნია, რომ მოპასუხეებსა და მოსარჩელეს შორის დადებული ხელშეკრულება აღნიშნულ მოთხოვნას ითვალისწინებდა¹⁶.

მოპასუხეებმა საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მათ მოითხოვეს ამ განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება.¹⁷

IV. საკასაციო სასამართლოს განმარტებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ივლისის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.¹⁸ 2022 წლის 28 თებერვლის განჩინებით საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, ვინაიდან საკასაციო საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის ვერცერთ საფუძველს ვერ აკმაყოფილებდა¹⁹.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მთავარი განხილვის საგანია ის, თუ რამდენად სწორად დაკმაყოფილდა სარჩელი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროცენტის, პირგასამტეხლოს, საკომისიოსა და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მიქცევის მოთხოვნათა ნაწილში.²⁰

¹⁵ იქვე, პარ. 10.2.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე, პარ. 11.

¹⁸ იქვე, პარ. 12.

¹⁹ იქვე, პარ. 14.

²⁰ იქვე, პარ. 15.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პროცენტისა და საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სესხის ძირითანხის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების პროცესუალური საფუძველი შექმნა პირველ ინსტანციაში მოპასუხეთა წარმომადგენლის მიერ სარჩელის ცნობამ. ცნობასთან დაკავშირებით მოპასუხეებს პრეტენზია არც სააპელაციო საჩივარში და არც საკასაციო საჩივარში არ დაუყენებიათ.²¹ უზენაესი სასამართლო მიუთითებს საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციურობის პრინციპზე, რომლის თანახმადაც, თავად მხარეები განსაზღვრავენ დავის საგანს, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლზე, რაც აღიარებას განსაზღვრავს.²² ამის საფუძველზე, უზენაესი სასამართლოს მსჯელობით, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხისთვის პროცენტის დაკისრება მართლზომიერია.

რაც შეეხება საკომისიო ანაზღაურების შესახებ საკითხს, მისი მხარისთვის დაკისრების საფუძვლიანობა თავად საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ვინაიდან მოპასუხეებს ამ ფაქტის უარმყოფელი არანაირი მტკიცებულება სასამართლოში არ წარუდგენიათ, ასევე ამ გარემოებას არც საკასაციო საჩივრით არ შედავებიათ, უზენაესი სასამართლოსთვის აღნიშნული გარემოება სავალდებულოა. ამ მსჯელობის დასასაბუთებლად სასამართლო მოიხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე, 316-ე და 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ნორმებს.²³

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილში, რომელიც პირგასამტეხლოს მოთხოვნას ეხება. მისი განმარტებით, პირგასამტეხლოს მოთხოვნა გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 417-ე, 418-ე მუხლებიდან.²⁴ დამატებით განიმარტება, რომ

²¹ იქვე, პარ. 16.1.

²² იქვე.

²³ იქვე, პარ. 16.2.

²⁴ იქვე, პარ. 16.3.

პირგასამტეხლო - ეს არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ის ფულადი თანხა, რომელსაც მოვალე ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის უხდის კრედიტორს. პირგასამტეხლოს შესახებ მხარეთა შორის შეთანხმება წერილობით ფორმას მოითხოვს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პირგასამტეხლო - ეს არის ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, რომლის გადახდის საფუძველიც ვალდებულების დარღვევისთანავე წარმოიშობა.²⁵ პირგასამტეხლოს მოთხოვნა ზიანის მიყენების ფაქტზეა დამოუკიდებელია, რაც იმას გულისხმობს, რომ მხარეს მიყენებული ზიანის მტკიცების ტვირთი პირგასამტეხლოს მოთხოვნისთვის დამატებით არ ეკისრება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის აქვს, მიუხედავად იმისა, მას ზიანი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად მიადგა თუ არა.²⁶ პირგასამტეხლოს სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლო შესადარებლად მოიხმობს საქმეებს №ას-1373-2018 და №ას-848-814-2016 და მოცემულ გადანყვეტილებებშიც ანალოგიურ მსჯელობას ავითარებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს ყოველთვის აქვს უფლება, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. თუმცა აღნიშნული, სასამართლოს განმარტებით, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველთვის მოცემული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით წყდება²⁷. უპირველესად, სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობას, ვალდებულების შესრულების ღირებულებას და, რაც მთავარია, ამ ვალდებულების შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობას პირგასამტეხლოს ოდენობასთან. სასამართლომ შეუსაბამობის კრიტერიუმებად შეიძლება ჩათვალოს, მაგალითად, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე, პარ. 16.3.

გადაჭარბება, ზიანის ოდენობა, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა, შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი და ა.შ.²⁸ აღნიშნულ გარემოებებზე საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს თავის 2014 წლის 8 მაისის №ს-176-157-2014 გადაწყვეტილებაში. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ პირგასამტეხლოს ოდენობა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი ეს უფლება ხელშეუხებელია.²⁹ მოპასუხის შესაგებლის არსებობისას, სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე უფლება აქვს, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულობა ვალდებულების შეუსრულებლობასთან მიმართებით. საკასაციო სასამართლო მოცემული მსჯელობიდან ასკვნის, რომ პირგასამტეხლოს შემცირება დამოკიდებულია საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივ ანალიზზე.³⁰ საკასაციო სასამართლო იზიარებს როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციების მსჯელობას პირგასამტეხლოს შემცირების მართლზომიერებასთან დაკავშირებით.³¹ იგი დამატებით აღნიშნავს, რომ მოპასუხისთვის ამ ოდენობით პირგასამტეხლოს დაწესება ირაციონალური იყო თავად ვალდებულების დარღვევის შინაარსიდან და ხარისხიდან გამომდინარე³².

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე. მან დამატებით განმარტა, რომ მხარეებმა პირდაპირ ხელშეკრულებით გაითვალისწინეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება, რის საფუძველდაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილზე მიუთითა. მოცემული ნაწილის ადგენს, რომ მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებუ-

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე, პარ. 16.3.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

³² იქვე.

ლი გადანყვეტილების დაუყოვნებლივ მიქცევა უპირობოდ უნდა შესრულდეს.³³

საკასაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა კასატორების პრეტენზიის იმ ნაწილზე, რომლითაც მსესხებლის სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის შესალებლობა დგინდებოდა. პალატა აღნიშნულს არ იზიარებს სწორედ იმის გამო, რომ გადანყვეტილება, რომლითაც დადგინდა მოპასუხის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი სხვა ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი სრულად ვერ დააკმაყოფილებოდა, მოპასუხეებს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ.³⁴ შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს მოპასუხეების ამ მოთხოვნის განხილვის პროცესუალური უფლებამოსილება არ აქვს³⁵. აქვე პალატა მოიხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლს, რომლის პირველი ნაწილიც ადგენს იპოთეკარის მიერ უძრავი ქონების რეალიზაციის მართებულობას იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნას. ამიტომ, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის არარსებობის შემთხვევაში, მითითებული მოთხოვნა სამართლებრივად მაინც ვარგისი იქნებოდა³⁶. მისი განმარტებით, ამის საფუძველს იძლევა მხარეთა შორის შეთანხმება, რომ თუ უძრავი ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა ვერ დააკმაყოფილებდა კრედიტორს, იგი უფლებამოსილი იქნებოდა აღსრულება მოვალის სხვა ქონებებზეც მიექცია³⁷.

ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა არსებითად სწორია, ხოლო კასატორმა ვერ გააქარწყლა გასაჩივრებული განჩი-

³³ იქვე, პარ. 16.4.3.

³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2022 წლის 28 თებერვლის №ას-415-2020 გადანყვეტილება, პარ. 18.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე.

³⁷ იქვე.

ნების არამართებულობა, უზენაესმა სასამართლომ სამართლიანად ჩათვალა, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის კანონისმიერი დაფუძველი არ არსებობდა.³⁸

V. ანალიზი

სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზისას მნიშვნელოვანია, შეფასდეს თავად სასამართლოს განმარტებები და არგუმენტაცია მოცემულ საქმეზე.

უპირველესად უნდა აღინიშნოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი დისპოზიციურობის პრინციპი, რომელიც მხარეებს უფლებას ანიჭებს, თავად განსაზღვრონ დავის საგანი და სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები.³⁹ იმ შემთხვევაში კი, თუ მხარე სარჩელის რომელიმე ნაწილს ცნობს, ეს მისი აღმჭურველი უფლებაა.⁴⁰ ცნობა საკასაციო სასამართლომ გაუთანაბრა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებას.⁴¹ ამ ნორმის თანახმად, ერთი მხარის მიერ საქმის რომელიმე ფაქტობრივი გარემოების აღიარება, დადასტურება, რომელზეც მეორე მხარე თავის მოთხოვნებს ამყარებს, სასამართლომ შესაძლოა, საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდოს.⁴² შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა მართლზომიერია, როდესაც იგი სარჩელის დაკმაყოფილების პროცესუალურ საფუძვლად პირველ ინსტანციაში მოპასუხეთა წარმომადგენლის მიერ სარჩელის გარკვეული ნაწილის ცნობას მიიჩნევს. საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ყურადღება გამახვილე-

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2022 წლის 28 თებერვლის №ას-415-2020 გადაწყვეტილება, პარ. 21.

³⁹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 4.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2022 წლის 28 თებერვლის №ას-415-2020 გადაწყვეტილება, პარ. 16.1.

⁴² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი.

ბული აქვს დისპოზიციურობის პრინციპზე⁴³. სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე საქმის განხილვისთვის გადამწყვეტ როლს ასრულებს მხარის ნება ისე, რომ სასამართლოს უფლებამოსილება მხოლოდ და მხოლოდ მხარის მიერ დისპოზიციურობის ფარგლებში გამოვლენილი ნების შესწავლისა და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე ხორციელდება.⁴⁴ მხარის მიერ სარჩელის, თუნდაც რომელიმე ნაწილის ცნობა, ფაქტობრივად ამ ნაწილში დავის საგანს აუქმებს⁴⁵.

სასამართლო საკომისიო ანაზღაურების დაკისრების ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იქიდან გამომდინარე, რომ მხარეებს ამ ფაქტის უარყოფელი არცერთი მტკიცებულება დამატებით არ წარუდგენიათ. მხარეები ამ გარემობას არც საკასაციო საჩივრით შედავებიათ.⁴⁶ შესაბამისად, სასამართლო მართებულად მიიჩნევს, რომ მას არ აქვს უფლება ყურადღება გაამახვილოს სარჩელის იმ ნაწილზე, რასაც მხარეები სადავოდ არ ხდიან. ამ მსჯელობას ასევე განამტკიცებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლი, რომელიც სასამართლოს მსჯელობისას უშუალოდ არ გამოუყენებია. ამ მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე ამ გარემოებაზე დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიას, შედავებას არ წარმოადგენს⁴⁷. აღნიშნული უზენაესი სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძვლის შემოწმებაა. საკასაციო პრეტენზიაში მხარის მიერ იმ საპროცესო დარღვევაზე

⁴³ იქვე, პარ. 16.1.

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება Nას-1049-1003-2013.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2022 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება Nას-415-2020, პარ. 16.2.

⁴⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მითითება იგულისხმება, რომელიც კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არსებობდა ან რომელთა დასადასტურებლადაც შეიძლება საქმის მასალებთან დაკავშირებით მიეთითოს.⁴⁸ საკასაციო სასამართლო მსჯელობს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებებზე, რომლებიც მითითებულია პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებებში. შესაბამისად, მას არ აქვს უფლება გამოიკვლიოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები.⁴⁹ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა მოიცავს გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლების საფუძველს. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს მხოლოდ საკასაციო საჩივრის ფარგლებში და მას თავისი ინიციატივით საპროცესო დარღვევები შემოწმება არ შეუძლია.⁵⁰ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მართებულ მსჯელობას ავითარებს მაშინ, როდესაც ქვემდგომი ინსტანციების მიერ დამტკიცებულ ფაქტებს, კერძოდ, მოპასუხეებისთვის საკომისიო ანაზღაურების დაკისრებას, მართლზომიერად მიიჩნევს. თუმცა უკეთესი იქნებოდა, თუ მჯელობისას სასამართლო დამატებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველ ნაწილსაც მიუთითებდა.

რაც შეეხება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილს, უზენაესი სასამართლო პირგასამტეხლოს სამართლებრივ ბუნებას თავის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, როგორც ვალდებულებითი მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას.⁵¹ საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლთან დაკავშირებით მართებულად მსჯელობს. მიუხედავად იმისა,

⁴⁸ ლილუაშვილი თ., ბრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 720.

⁴⁹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2015, 679.

⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2022 წლის 28 თებერვლის №ას-415-2020 გადაწყვეტილება, პარ. 16.2

რომ მხარეებს უფლება აქვთ თავად, წერილობითი ფორმით განსაზღვრონ პირგასამტეხლოს ოდენობა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს უფლება განუსაზღვრელია ან მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად მისი დაკისრება ქონებრივი შემცირების მოლოდინს უნდა უქადდეს⁵². სასამართლოს მსჯელობა მართლზომიერია იმასთან დაკავშირებით, რომ პირგასამტეხლო ზიანის ფაქტისგან დამოუკიდებელია.⁵³ მხარეს პირგასამტეხლოს მოთხოვნის დროს არ მოეთხოვება, მის მიმართ მონინალმდევე მხარის მიერ ზიანის მიყენების ფაქტი ამტკიცოს⁵⁴ მიუხედავად იმისა, რომ „კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება“⁵⁵. მხოლოდ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების უფლებამოსილება სასამართლოსთვის ერთგვარი დისკრეციაა. თუმცა როგორც გადანყვეტილებაშია ნახსენები, სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება დამოკიდებულია ფაქტობრივ გარემოებებზე, მხარის ქონებრივ მდგომარეობაზე და ვალდებულების დარღვევის ხასიათზე.⁵⁶ ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან პირგასამტეხლოს ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.⁵⁷ პირგასამტეხლოს შემცირება სახელშეკრულებო ურთიერთობებში სუსტ მხარეს იცავს, რომელიც შესაძლებელია, პირგასამტეხლოს ოდენობის შეთანხმებისას ვერ აცნობიერებდეს პირგასამტეხლოს შინაარსს, მის ეკონომიკურ და სამართლებრივ შედეგებს.⁵⁸ პირგასამტეხლოს მთავარი მიზანია „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა.⁵⁹ ზემოაღნიშნულიდან

⁵² იქვე.

⁵³ იქვე.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2022 წლის 28 თებერვლის №ას-415-2020 გადანყვეტილება, პარ. 16.3.

⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი.

⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 მაისის №ას-83-2022 გადანყვეტილება, პარ. 38.

⁵⁹ იქვე.

ნათლად ჩანს, რომ პირველი და მეორე ინსტანციების მიერ სამართლებრივად სწორადაა დადგენილი პირგასამტეხლოს შემცირების საკითხი. უზენაესი სასამართლოს მიერ კი მართებულადაა გაზიარებული მათი მსჯელობები. ფაქტობრივი გარემოებებიდანაც ირკვევა, რომ კრედიტორი ითხოვდა 10-ჯერ მეტი პირგასამტეხლოს ოდენობას, ვიდრე რეალურად უნდა მოეთხოვა. აღნიშნული კი უგულებელყოფს მოვალის სამართლებრივი ინტერესების დაცვას.⁶⁰ უზენაესმა სასამართლომ გონივრულად შეაფასა ქვემდგომი ინსტანციების მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლო, კერძოდ, 4 140.14 ლარის ნაცვად 414 ლარი, ვინაიდან იგი სესხის ძირითად თანხასთან და საპროცენტო დავალიანებასთან სრულად შესაბამისი იყო.

სასამართლომ იმსჯელა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილი მიუთითა, რომლის მიხედვითაც, თუ მხარეები სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას ხელშეკრულებით განსაზღვრავენ, გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად უნდა მიექცეს. ეს შეთანხმება გამომდინარეობს მხარეთა ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების განსაზღვრისა და კერძო ავტონომიის პრინციპიდან⁶¹. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა უპირობოდ გაითვალისწინეს, მიზანშეუწონელი იქნებოდა, თუ სასამართლო არ დაეთანხმებოდა ხელშეკრულების ამ ნაწილს.⁶² მონინააღმდეგე მხარის მიერ ხელშეკრულების ამ ნაწილის სადაოდ გახდა კი არამართებულია, ამიტომ უზენაესი სასამართლო სწორად იზიარებს ქვემდგომი ინსტანციების მიერ განვითარებულ მსჯელობას.

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2022 წლის 28 თებერვლის №ას-415-2020 გადაწყვეტილება, პარ. 10.3

⁶¹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 56.

⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2022 წლის 28 თებერვლის №ას-415-2020 გადაწყვეტილება, პარ. 16.4.3.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰქონდათ, რომ კრედიტორის სრულად დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აღსრულების მიქცევა მოვალის სხვა ქონებაზეც მოხდებოდა.⁶³ თუმცა მოპასუხეებს პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ ეს სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა, სააპელაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებიათ.⁶⁴ ანუ ივარაუდება, რომ ისინი დაეთანხმნენ ამ გადაწყვეტილებას, რაც შემდგომში სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენების საფუძველი გახდა. ამ ნორმის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის ერთ-ერთ წინაპირობა სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლაა, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება, თუ იგი მანამდე გასაჩივრებული არ იყო⁶⁵. შესაბამისად, ამ ნორმამ კასატორებს, ფაქტობრივად, საკასაციო სასამართლოში გასაჩივრების საფუძველი გამოაცალა. პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენება პროცესუალურად მაინც სამართლიანი იქნებოდა სწორედ სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.⁶⁶ ეს ნორმა იპოთეკარს უფლებამოსილებას ანიჭებს, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება სარეალიზაციოდ მიაქციოს მოვალის მიერ ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.⁶⁷ როგორც ჩანს, ეს ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა და მხარეებს უფლებამოსილებას უტოვებს, თავად გადაწყვიტონ, კანონის ამ დანაწესს ხელშეკრულებაში გაითვალისწინებენ,

⁶³ იქვე, პარ. 8.

⁶⁴ იქვე, პარ. 16.4.3.

⁶⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2022 წლის 28 თებერვლის №ას-415-2020 გადაწყვეტილება, პარ. 18.

⁶⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის პირველი ნაწილი.

თუ არა. ვინაიდან მხარეებს ხელშეკრულებაშივე ჰქონდათ დათქმა ამ ნორმის გამოყენების თაობაზე, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მართებულად იზიარებს. იპოთეკარის მიერ უძრავი ნივთის რეალიზაციის მოთხოვნის უფლების წარმოშობა დამოკიდებულია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულობასა ან არაჯეროვან შესრულებაზე⁶⁸.

VI. დასკვნა

მოცემული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მხარემ შეძლოს თავისი პროცესუალური უფლებების სწორად და დროულად გამოყენება, სასამართლომ კი ყურადღება გაამახვილოს იმ სამართლებრივ მსჯელობაზე და ფაქტობრივ გარემოებებზე, თუ რამდენად მართებულად მსჯელობენ ქვემდგომი ინსტანციები მხარის ამ უფლებაზე, ვინაიდან თითოეული შემთხვევა ინდივიდუალური და განსხვავებულია. ამასთან, მართალია, მხარეებს სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში დავის საგნის განსაზღვრის უფლებამოსილება დისპოზიციურად აქვთ მინიჭებული, მაგრამ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა შესაბამის ინსტანციაში მხარის პროცესუალური ბერკეტები მართებულად უნდა განსაზღვრონ.

⁶⁸ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 114.